

მ მ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მერვე

№ XI

ს მ ა მ ბ ე რ ი , 1901

ტ ფ რ ლ ი ს ი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის გამომცემი

1901

Доволено цензурою. Тифлисъ, 2-го Декабря 1901 г.

შ ი ნ ა ა რ ს ი

I—	„ჩემი თავბადასავალი“ — ფერია შ. აბაგვისპირე- დისა	83. 1
II—	ნატვრა. — ლექსი (ლერმონტოვიდან) დაგიწეებუდისა	11
III—	ახალი მოქმედება. — ოთხ მოქმედებიანი და შვიდ სურათიანი პიესა თხზ. ბარეტისა, თარგ. აღ. კანდუ- დაკისა (დასასრული)	17
IV—	მგოსანს. — ლექსი. კან. ნ—ქესა	49
V—	* * — ლექსი ჭინედან — სა-ნისა	50
VI—	ფილოსოფია და მისი პროგრესი. — ს. კარგა- ბისა	1
VII—	არხეოლოგიური მოგზაურობანი და ფენიფენა- ნი. — ე. თაყაიშვილისა (გაგრძელება).	23
XIII—	ქველი თაობა. — ნ. ნიკოლაძე. — არჩილ ჯარ- ჯაძისა	55
XI—	უცხოეთის მიმოხილვა. — 1. კიდევ საფრანგეთი და რუ- სეთი. 2. ჩინეთი—ჩინური მოგზაურობა, ლიხუნჩანგი და მანჩ- ჯურია. კულტუროსანთა მოქმედების შედეგი. 3. ბურების საქმე. 4. პურის ბაგი გერმანიის რეისტაგში.	73
X—	დამატება. — ფიზიოლოგია. — დ—რის ფასტე- რისა (სურათებით), თარგმანი ი. ს. ფანტავასა	1—32



„ჩემი თავ-გადასავალი“

(ფერია).

ის იყო მკრემლავი ცა ბიჭიკუნა, ცრემლვა შესწყვიტა და უმწვაო, ოდნავ მთობა მზის სხივებს აქა-იქა ადგილი. მისცა. ხარბად გამოხრილდნენ მზის სხივები და ჩაყვითლებულ არემარეს, თითქოს დიდის ხნის უნახავები იყვნენო, აღზნებით ჩაეხუტნენ. ჩემ ცხენსაც ესიამოვნა მზის სხივების გამონაჟარდება, თავისუფლად ამოიქშინა და თხელ ტალახში ფეხები მარდად ააშლაპუნა. საჩქაროდ სერზე ამიყვანა და იქ, ღრმად ამოსუნთქვის შემდეგ, შესდგა. არ გავრეკე, ორივემ სერიდან გადავხედეთ ტყეს.

ზაფხულში რამდენჯერმე გამივლია ეს გზა. ამ სერიდან გამიხედ-გამოჰიხედიო და ყოველთვის ალტაცებაში მოვუყვანივარ სურათის სიმშვენიერეს. ეხლა კი პირველ თვალის მიმოვლებაზედვე გული ჩამწყდა. ავერანებულს ჰგვანდა ტყე. თითქმის ყოველი ხის ძირი მოჩანდა. ჰხედავდი გახოლოდშობილებულ ხეებს, მკრემლავ ხეებს, და, თუ რაიმე სამოსი შეჰჩინოდათ, ისიც ჩაყვითლებულიყო, ენგი მოჰკიდებოდა და ჩამოცლას ჰლამობდა.

არ ვიცი, ჩემი ცხენი რასა ჰკრძნობდა, და მე კი უნებურად გული მეკუმშებოდა და სევდა მბურავდა; ვატყობდი ჩემ თავს, რომ ცრემლიც მეპარებოდა და იქმნება კიდევაც გადმოეხეთქნა თვალთაგან, ამ დროს რომ ცხენს მაგრად არ წაფურუტუნა და ყურები არ ეცქვიტო.

თვალთ მომდგარი ცრემლი უკუ დაბრუნდა, გული გამეშალა და მათრახი აემაღლე, რომ ცხენისთვის გაპეტკლასუნებინა...

— ვაიმეჰჰ!...— შემომესმა სწორედ ამ დროს გულსაკლავი ამოკვნესა და ხელი მაღლა დამრჩა.

ცხენმა წაიფრუტუნა ყურებ-აქვეტით და გვერდზე გახტა.

— რა მოგივიდა, შე ბრიყვო!...— შევეუტიე ცხენს და როგორც იყო დავამშვიდე.

— ვაიმეჰჰ!...— უფრო გულსაკლავი კვნესა მომესმა იმავე ადგილიდან, საიდანაც პირველად.

სწრაფ ცხენი გზის პირას ხეზე გამოვაბი და მე კი, თუმცა დიდი ტალახი იყო, მეორე ნაპირას გადავედი და ხევში ჩავიხედე; მაგრამ ვერავინ დავინახე...

— ოოჰოჰო!...— ხევიდან ამომესმა ოხვრა. ცხენს მივხედე. მეშინოდა, არ დამფრთხალიყო. ის ყურებ-დაცქვეტილი მე მიცქეროდა.

რაკი დავმშვიდდი, რომ ცხენი აღარ დაფრთხვებოდა, მაშინვე ხევში ჩავირბინე და ერთ ხის ძირას ორად წელში მოხრილი, მთლად გაზუზვნილი, ძონძებში გახვეულ დედაკაცს თავზე წავადექი...

— ვინა ხარ, შვილო?!— მაშინვე მწუხარებით მკითხა და დამაშტერდა.

— მგზავრი ვარ. დ—ს მივდივარ. შენი კვნესა შემომესმა და, აი, ამისთვის ჩამოველ აქ ხევში.— ვუპასუხე და მოხუცის გარს თვალი შემოვაფლდე.

მეგონა, მოხუცი შეშისთვის წამოსულიყო, მაგრამ იმის ახლოს გუდურა არა იყო-რა.

— წადი, შვილო, ღმერთმა გზა დაგილოცოს!

— თუ ნადირმა არ შეგკამა, სიცივე ხომ გაგაფიჩხებს, ღამე რომ აქ გაატარო?! ცხენი აქავე მყავს, შეგსომ და სოფელში მიგიყვან.

— ეეჰ, შვილო, ცხენზე ჯდომის თავი-ლა მაქვს?!

— მაშ, აი, ე ნაბადი მოიხვიე და მეც სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში სოფლიდან ბიჭებს ამოვიყვან და ხელით წაგიყვანთ.

— ოჰ, რა გულკეთილი რამა ყოფილხარ?!— ლმობიერად წამოიძახა და ნაბადში გაეხვია...

სულ ნახევარ საათს არ გაუვლია, რომ სოფლიდან ოთხი ახალგაზნდა მოვიყვანე და ჯინიც მოვიტანეთ. ცხენი სადაც წინად ება, იქავე გამოვადი და ხევში წინ ჩავუძღე.

— ი კაი აღამიანი ამ ხევში რამ ჩაიყვანა?!— გაკვირვებით წამოიძახა ერთმა მათგანმა, როდესაც ხევს ჩავუდექით.

— უთუოდ ჩაგორდა!..— სთქვა მეორემ პასუხად.

— ნეტაი, ვინ იქნება?!

— ეხლა არა ენახავთ, რალასა ჰნატრობ?— უპასუხა მეოთხემ სიცილით.

მხიარულად ჩავბობლდით ხევში და მე მაშინვე ნაბადს წავავლე ხელი და ნძრევა დაეუწყე.

— აბა, დედი, აი, ბიჭები მოვიყვანე.

„ხომ არ მოკვდა?!“ უნებურად გავიფიქრე და კანკალით ნაბადი ავხადე. პირს კატა მეცა. ნაბადში კარგა მოზრდილი კუნძი იყო გახვეული და ზედ პატარა რვეული იდო.

მაშინვე ოთხი პირი გაიღო და ისეთი ხარხარი ამოჰსკდა იქიდან, რომ ხევმა ხმა მისცა...

მთლად გაწბილებულმა ნაბადი მოვისხი და რვეული კი ჯიბეში ჩავიდე. ჩემი მეგონა.

— რალასა ვდგევართ, წავიდეთ!..— წამოიძახა ერთმა.

— უთუოდ მოვლანდა რამე?..

ბევრი სხვა რამ დასაცინი წარმოსთქვეს, მაგრამ მე თავი არ მიმართლებია. სირცხვილით ხან ვწითლდებოდი და ხან კიდევ ვყვითლდებოდი.

გონებას ვეღარ ვიკრეფდი. თითქმის მთელ ღამეს არა მძინებია. არეული დავდიოდი ოთახში და დაჯდომასაც ვერ ვახერხებდი. მალღი-მალღი მომაგონდებოდა ბებერი, მისი ჩიფჩიფი

და შემდეგ დიდი კუნძი. ამის იქით ჩემი გონება აღარ მიდი-
ოდა...

„ნუ თუ კუნძი ადამიანად მივიღე?!“ ვეკითხებოდი ჩემ
თავს, მაგრამ გარდაწყვეტილ პასუხს კი ველარ ვახერხებდი...
„მართლა!“ სიხარულით წამოვიძახე განთიადისას და გვაბანა-
კის ჯიბეებს ვეძგერე. უეცრივ მომაგონდა, რომ კუნძზე პატა-
რა რვეული ეგდო და ჯიბეში ჩავიდე. თუ ჩემი არ გამოდგე-
ბოდა, უთუოდ რვეული ამიხსნიდა ყველაფერს...

კანკალით ამოვალაგე ჯიბეებიდან ქალაღებები, უბის წიგ-
ნი და სხვა ნივთები. ერთში, მეორეში, მესამეში სულ ჩემი
ქალაღებები და რვეულები იყო. თითქმის იმედ დაკარგულმა
მეოთხე ჯიბეს მივყავი ხელი, და, მგონია, ისე არა გამახარებდა
რა, როგორც პატარა რვეულის დანახვამ გამახარა...

სათაურად „ჩემა თავგადასახვალა“ ეწერა.

„კაბუკო“, — ასე იწყებდა თავის თავგადასავლის მოთხრო-
ბას მოხუცი: „აკანკალებულის ხელით ძლივას მოვახერხე ჩემი
თავგადასავლის აღწერვა. ეცი პატივი ჩემ მოხუცებულობას
და სულ წაიკითხე.. ნუ დაიზარებ. ვიცი, დევნილი შეგხვდები
სადმე გზაში და როგორმე გადმოგცემ. ამ რვეულის გადმოცე-
მის დროს, იქმნება, რაიმე უცნაური ჩავიდინო და წინდაწინვე
ბოდიშს ვიხდი. ნუ გამკიცხავ. სხვანაირად შეუძლებელი იქმნე-
ბა. პირ-და-პირ კი სახლში ვერ მოვალ შენთან, რომ ჩუმიად
დაგიტოვო ეს რვეული. ვიმეორებ, — ნუ გამკიცხავ და ბოლო-
მდის ჩაძიოთხე. იქმნება, მას გთხოვ, ოდესმე ეს ჩემი თავგადა-
სავალი გამოამეღავნო.“

„მაშ ყური დამიგდე“.

„მე დედა ვარ მრავალი ასულისა; ყველანი მშვენიერები
არიან და ყოველ ადამიანს თან ახლავან სიკვდილამდის. სიკვ-
დილის დღეს ეჩვენებიან ხოლმე ადამიანს, წინ გადუფურცლა-
ვენ მის ცხოვრების მატთანეს და შემდეგ ბევრი ცრემლის და-
ღვრისა ქშორდებიან. მეკი მათ მოღვაწეობას თვალ-ყურს ვა-
დევნებ. საუკუნის განმავლობაში ერთხელ მაინც ჩამოვუვლი

ხოლმე და ვამხნევებ, ან ვშველი ხოლმე მათ მოვალეობის აღსრულებას...

„ჩემ სახელს არ გეტყვი...“

კითხვა შევწყვიტე და ჩავფიქრდი...

„შორით მოვდიოდი, — დავიწყე ისევ კითხვა, — და ჩემ სავარელ ქვეყანას რომ თვალი მივაელ-მოვაელე, დაენაღვლიანიდი. მომაგონდა უეტკრივ წინანდელი დრო, დრო უკიდურეს მდგომარეობისა; მომაგონდა, თუ როგორ გაშმაგებული დავრბოდი მთელი ჩემი სიცოცხლე და ვამხნევებდი ჩემ ასულთ. რა ნაირის თავ-განწირულებით ვმოქმედობდი? ბევრი სისხლის ცრემლით ფატირეთ, მაგრამ ვერა გავაწყეთ-რა.“

„დაღალულ-დაქანცული, დაღვრემილ-დაძმარებული გადავიკარგე და, აი, მხოლოდ ეხლა დავბრუნდი. იქმნება იმისთვის დაენაღვლიანიდი პირველ ნახვაზედვე, რომ წარსული მომაგონდა.“

„დრო არ იყო მოგონებისა. საჩქაროდ განვდევნე მოგონებანი და ჩავერიე ხალხში, რომელსაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა. ჯერ ვერ მივხვდი მათ მოძრაობის მიზეზს, გამხიარულებული მიველ ერთთან და ჩემ ასულს დავუძახე. მაგრამ არ მეჩვენა და არც გამომეხმაურა.“

„ხელმეორედ დავუძახე და მხოლოდ მაშინღა გამომეხმაურა კნავალით. გავცვიფრდი...“

„— რას აკეთებ, — შევეკითხე და გონს ვერ მოვდიოდი.“

„— გვიშველე, დედი!... — ძლივას ამოიკნავლა მან.“

„— მე რას გეკითხები და შენ რა პასუხს მაძლევ? — წყრომით ვუთხარი.“

„— რაი ექმნა, მე ბედ-შაემა!“

„გაცეცხლებული ხან ერთს ჩაუწყარე გულში, ყელში კბილები და ხან მეორეს, მაგრამ, შენ ნუ მომიკვდე, აინუნშიაც არ ჩაიგდეს. უფრო ბრაზი მომივიდა. „ნუ თუ ჩემი კბილები აღარ ჰბასრავენ?“ დავეკითხე ჩემ თავს და კბილებზედ ხელი გავისვი. არა, კბილები კარგი მქონდა. „წავალ, „ჯერ“

აიმ მოხუცს ჩაუსისხლიანებ გულს და შემდეგ მე ვიცი!“ — გავიფიქრე და კიდევაც შევასრულე...

„ჩქარა მოხუცთან შევიპარე. ის განცხრომით იჯდა, სწორედ თავის საქმეზე ფიქრობდა. დაეწვდი მკერდში და მაგრად დავუწყე ღრუნა...

— ხა, ხა, ხა! — ტკბილად, ძალიან გულიანად ჩაინახხარა და ხარხარით განაგრძო: „ბებრუცუნ, რით ვერ დარწმუნდი, რომ შენი კბილები საამურად გვილიტინებს და არ გვბასრავს. წავიდა ის ღრო, როცა ჰბასრავდა შენი კბილები...

„სახტად დავრჩი. ოდნავ ჩავფიქრდი. «თუ კბილები არ მოქმედობენ ამათ გასქელებულ კანზე, იქმნება სიტყვებმა მაინც იმოქმედონ». გავიფიქრე და მაშინვე სიტყვებს მივმართე.

„— ახ, რა ხუმარა ბებრუცუნა რამ ყოფილხარ?! — ხითხითითეე მიპასუხა.

„— რამ გაგაქვავათ მავრე, რომ ველარაფერს ჰგრძნობთ?!

— ბებრუცუნ, რომ ვიცინი, ეს არაფრის გრძნობაა?!

„— ეს უკვე მეტის-მეტია. — გაჯავრებულმა ძლივასლა მოეახერხე... სიტყვების წარმოთქმა და მოურიდებლივ, გაბედულად ისევე კბილებს მივმართე.

— ნუ თუ ვერ გაიგე, ბებრუცუნ, რომ შენი კბილები ჩვენს ღროში აღარ ვარგანან. ნუ ჰჯიუტობ და მომწყდი თავიდან. შენთვის არ მცალიან. ისევე ის გირჩეენია კბილის ექიმთან წახვიდე და ახალი კბილები ჩაასმევენო...

მისმა სიტყვებმა კიდევაც გამაკვირვეს. საშუალებას თვითონვე მასწავლიდა. რალა დამრჩენოდა, თუ არ მესარგებლნა.

„გმადლობ, დიდებულო გვამო. ვისარგებლებ მაგ საშუალებით და მერე კი მერძდე, გულს სულ დაგიღადრავ, თუ შენ სამარცხვინო საქმეს თავს არ დაანებებ.

— კარგი, კარგი ბებრუცუნ! — ხითხითით მიპასუხა...

„გუთხარი თუ არა კბილის ექიმს ჩემი სურვილი და ვინაობა, ალტაცებაში მოვიდა. მაშინვე სავარძელში ჩამსო და საუკეთესო ვაზები ამოალაგა...

— აბა, გენაცვა, პირი დააღე! გავსინჯავ კბილებს, იქნება რომელიმე კბილი კარგი გქონდეს.— ისეთი აღერსით მითხრა, რომ ჩემ მხრივ უნდობლობა სამარცხეინო იქნებოდა.

„— არ ვარგა! არც ეს ვარგა... უკანა კბილებიც არ ვარგა... სუყველა უნდა ამოვიღო... სათხილე კბილების იმედი მქონდა, მაგრამ არც ესენი ვარჯანან.— კბილის სარკის საშუალებით მისინჯავდა კბილებს და თან ლაპარაკობდა.

„მე კი პირდაღებული ვიყავი და თანხმობისა, თუ უარის ყოფის ნიშნად, რადგანაც სიტყვის თქმა არ შემეძლო, თვალებსლა ვჭუტავდი.

„დიდხანს უკირკიტა ჩემ კბილებს და მხოლოდ მაშინლა გამანება თავი, როდესაც პირი ნერწყვით ამევსო..

„— არც ერთი კბილი არ გამოგადგება შენი საქმისთვის. სუყველა უნდა ამოვიღო— მითხრა აღერსით კბილის ექიშმა, როდესაც სარკე პირიდგან გამომიღო.

„— მეც შაგისთვის მოვსულვარ. მხოლოდ ახალი კბილები მბასრავები უნდა გამიკეთო.

— აბა, მაგას რალა კითხვა უნდა!..— მიპასუხა და პირი დამალებინა.

„სულ ჭირის მოკმით დამიწყო კბილების დაძრობა.

„პირველ სამი-ოღენი კბილის ამოღება შემწვავა. ვიკრეულე კიდევაც, მერე კი აღარა მეყურებოდა რა. გონს როცა მოველი, კბილის ექიმი თავს მედგა და გულ-ღრძოდ ხარხარებდა.

„მისმა ხარხარმა შემაშინა. ვივრძენ, რომ ცულ რამეს მიპირობდა.

„— ახალი კბილები როდის იქნება?!— კანკალით შევეკითხე.

„— ხა, ხა, ხა!.. არას ღროს, ბებრუცუნ, არას ღროს!.

„— რაო?!

„— ნუ თუ გგონია, ისეთი სულელლი ვიყო, რომ კბილები ჩავისხა?! ძლივას ხელთ გიგდე და ჩემი ნატვრა შევასრულე. ეხლა აღამიანი თავისუფალია!.. გაუმარჯოს განთავისუფლებულ

აღამიანს, ვააშა, ვააშა, ხა, ხა, ხა, ხა!.. მართალია, ბევრს ვერ უსერავდა შენი კბილები, მაგრამ ჯერ ბევრია ქვეყანაზე, რომელთაც შენი კბილების ეშინოდა, ესლა კი... ხა, ხა, ხა... ყველას თავისუფალი მოქმედება მიენიჭება!..

„— ეგ... ეგ... ვლუღლუღებდი თავზარდაცემული..“

„— გაეთრიე, გაეთრიე!.. შენთვის არა მცალიან...— უეცრივ ხელი დამავლო და კისრის კვრით გარედ გამომისროლა.“

„ჩაფუფქვილს, დამძარებულს ცრემლები მალრჩობდნენ. აღარა ვიცოდით რა. ფეიქრობდი, თუ როგორ ამომეყარა ჯავრი. უეცრივ ვეჭილები მომაგონდნენ. სიხარულით გავექანე და შევედი ერთთან. შეეჩივლე ჩემი მწუხარება. ვუამბე ყველაფერი დაწვრილებით და ვთხოვე სასამართლოში ჩემი საქმე ეწარმოებინა...“

„— მამა ვაცხოვნე იმ კბილის ექიმისა, რომ მაგრე მოგექცა.— ასე მიპასუხა ვეჭილმა და კარი მიჩვენა.“

„— შემობრალე! ასეთ უსამართლობას...“

„— გთხოვ, მამრძანდე, თორემ მეც იძულებული ვიქნები კისრის-კვრით კბილის ექიმისავით გარედ გავასროლო...“

„ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული“ მეთქი, გავიფიქრე და ფეხ-აკრეფალი გარედ გამოვედი.

„სამართალს ვიპოვი, ვიპოვი, რადაც უნდა დამიჯდეს,“ ფეიქრობდი, მაგრამ კი ვერ მომეგონებინა, რა საშუალებით.

„ასე ჩაფიქრებული მოვდიოდი, რომ ყური მოგკარი ბაასს:“

„წააკითხე გაზეთში, რა საზიზღარი საქციელი ჩაუდენიათ? გაზეთი ძალიანა ჭკიცხავს...“

„ყური აღარ მიგდია: სიხარულით რედაქციებისკენ ვიქეცი. ვუამბე ყველას ჩემი თავ-გადასავალი და ყველგან ზრდილობიანად გულ-მტკივნელობით მითხრეს: „ვაფუწყებთ ქვეყანას მაგ საზიზღარ ამბავსო“.“

„დამშვიდებულმა დაფუწყე გაზეთებს კითხვა. გაუიდა ორი სამი დღე და ჩემი ამბავი არც ერთში არ იყო დაბეჭდილი. ისევ შემოვირბინე რედაქციები და ყველგან ზრდილობიანად მითხრეს: „ჩვენ დავწერთ, დავწერთო!“

„— სტყუოდნენ, სტყუოდნენ!..

„— მაშ თუ აგრეა, მე თითონ ვაუწყებ ქვეყანას ყველაფერს, ნე თითონ გამვლელ-გამომვლელს ვუამბობ...— ზიზლით ვუთხარი რედაქციებს და კიდეც შევუღევი ჩემი განზრახვის აღსრულებას.

„დავიწყე ქუჩა-ქუჩა სიარული და ვინც კი შემხვდა, ყველას კალთებს ვუჭერდი და ეუამბობდი, ხმა-მალოა ვყვიროდი...

„აღსრულებაში კი მომყვანდა ჩემი განზრახვა, მაგრამ შედეგი სულ სხვა მოჰყვა. თანაგრძნობის მაგიერად ზიზლი დავიმსახურე. დიდი თუ პატარა დამცინოდა, გამირბოდა, მიკიოდა და ერთ დღეს გაზეთებში, აი, რა ამოვიკითხე: „ეს რამოდენა ხანია, ქუჩა-ქუჩა დადის ერთი გიჟი ზღამიანი და გამვლელ-გამოვლელს მოსვენებას არ აძლევს, კალთებს აგლეჯს. ნამეტნავად მოსწავლეებს აშინებს. დრო არის, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს და საცოდავი საგიჟეთში მოათავსოს...“

„ტანში ერუანტელმა დამირბინა. ვიკივლე: „მე გიჟი სრულებით არა ვარ, არა! გაზეთებმა საზიზღრათ ცრუობენ!..“

„თავი შეგაწყინე, მგონი, ქაბუკო!.. ეხლა კი ჩქარა გავათავებ. ბევრი აღარა მაქვს-რა სათქმელი...

„გაზეთების შენიშვნას ის შედეგი მოჰყვა, რომ მართლა ვისიც ჯერ არს“ ყურადღება მიექცია და გამაბაწვრინეს. მხოლოდ ამას კი გეტყვი, გამოვიპარე იქიდგან და, როგორც მნახე, ტყე-ღრეში დავეხეტები, ზღამიანს ვერიდები და ჩემ ვინაობას ვმაღავ, რომ კიდეც იმ წყეულ ექიმების ხელში არ ჩამაგდონ...

„წავიკითხე გულ-მოღვინედ. შეორედ, მესამედ კიდეც გადვიკითხე და მაინც ვერა გავიგერა. იმის სახელიც ვერ გამოვიცანი...“

„მთიედღა“.

გიორგობისთვის 1-ს
1901 წ.

გიორგობისთვის 20 ჩემი ამხანაგი დავასაფლავეთ. მისმა მშობლებმა გადმომოცეს ერთი რვეული და ტირილით მითხრეს:

„ავადმყოფობის დროს ამასა სწერავდა. იქმნება დასაბეჭდად ივარგოს, გადიკითხეო...“ მეც გადვიკითხე და, თუმცა ვერა გაეიგერა, მაინც შეუცვლელად ვბეჭდავ. იმისთვის უფრო, რომ მკითხველებმა გაითვალისწინონ, თუ ავადმყოფთა ოცნება რაგვარად მუშაობს.

მ. შავჭავჭავაძე

ნ ბ ტ ვ რ პ

(ლერმონტოვიდან)

ოხ, რად არა ვარ მე ფრინველი, მინდურისა ქარი,
ვის, ესაზღვრო სიფრცინდგან რამ თავსა დამწივის!
მისებრ ზეტაში ფრენა რატომ არ შემიძლიან,
რამ სიუვარულით ვმღერდე მხოლოდ თვისუფლებისთვის?

მამინ დასაუფლეთს მე სასწრაფოდ გაგქანდებოდი,
ოქ, სად წინაპართ მამულია აჭუვავებული,
სად ნისლით მოცუფს მადღს მთებზედ უქმსა ტიხეში
იმათი ფერფლი განისვენებს დაფაჩვეული.

ოქა მკიდა ძველს კედელზედ იმათი ფარი,
გგერდსა უმშვენებს მას მახვილი ჟანგ-მოღებული,
ოქ, იმ მახვილსა და იმ ფარზედ ფრენას ვიწუებდი
და მტვერს, სქლად ნადებს, ჩემის ფრთებით გადაფაბერტუდი.

ფრთას შემოგვარადი შოტლანდიურ არფისა სიმისა,
ოქ, სვეტებს შორის, ხმა წკრიალით გაიბნეოდა;
ჩემით აღმოთქმულს მარტოდ-მარტო ვუკლებდი ვურსა,
ბოლოს თვისითვე იღუმალად ის შთაინთქმოდა.

მაგრამ ფუჭია ეს რცნება, ეს ჩემი ნატურა,
ბუნების კანონს ვერ შეუშლის ხელს ვერაფერი:
ჩემსა და ჩემის სამშობლოს ქვეყნისა შორის
თვალ-უწვდენელი ზღვები არის გადაჭიმული;

და მე, განთქმულთ გმირთ უბედური შთამომავალი,
 ვსტკნები უბრალოდ, სულ სხვა ქვეყნად, სხვა უბნულთ შორის...
 აქ დაგიბადე, მაგრამ არ გარ სულით ან ქვეყნის...
 ოხ, რად არა ვარ შინდურის ქორი თავს რამ დამწიფის!..

დაგიწევბუდი

ახალი მოქალაქეობა*)

ათხ მთქმედებთან და შვიდ სურათთან შიქსა

თხულება ბარეტისა

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

ატრეში მარკოზის სასახლეში

(ღამეა. იწვიან ღამურები. ფარდის აწევის დროს მოისმის ხმა მუზიკისა და რაიმე მხიარული სიმღერა. შემოდის მარკოზი უკანასკნელ მარცხესა პლანიდან).

გამოსვლა პირველი

მარკოზი მარტო

მარკ. რა გემართება!.. რა გემართება, მარკოზ!.. (დადის, დაჯდება, ადგება). წინეთა ხომ ლხინი, ქეიფი, დროს ტარება გიყვარდა!.. ამაყობდი კიდევ მაგეებიოთა!.. მაშ, ეხლა რა გემართება? ნუ თუ ყველა ეს ამ რიგად შემძაგდა?!.. მამა-კაცნი პირმოთნეობენ, დედა-კაცნი სკორავენ, სკრუობენ... მერმე ყველა ეს ჩემი მეგობრები!.. (იტინის) მეგობრები!.. არა, ისინი მეგობრები არიან მხოლოდ იმისა, რაც მე მაქვს, მეგობრები არიან ჩემის ქონების და არა იმისა, რაც

*) იხ. „მომბე“ № X.

თვით მე ვარ... მაკრამ... განა ეს გარყვნილობა, ეს ალვირ წაყრილი თავისუფლება იგივე არ არის, რაც გუშინ იყო? ნუ თუ ეს ქალები მხოლოდ გუშინს აქეთ გახდნენ ჩემი სტუმრები?!.. ნუ თუ ასე შემძადნენ ისინი?!.. არა, არა,—ცხადია, რომ მე საკმაოდ გამოვიცვალე. მე გამეხსნა კარები სულ უცხო ქვეყნისადმი, შე მომეინეს შუქი სულ სხვა მზის სხივებმა, რომლის არსებობაც მე წინად არ ვიცოდრი... მერმე... ყველა ამის მიზეზი ვინ არის?—ის, ის—მერცია! ნუ თუ ეს ახალი სარწმუნოება ბადებს ამგვარ მიმზიდველ არსებათა? არ ვიცი, ის ამშვენებს თავის სარწმუნოებას, თუ სარწმუნოება იმას! ო, რა რიგად მწადია გავიგო, რა არის, რაში მდგომარეობს ეს იმათი ახალი მოძღვრება, მათი სარწმუნოება! დღე-ღა-ღამე ჩემი საფიქრალი საგანი ეს არის, ნამეტურ ის, ის—ჩემი ძვირფასი მერცია! (გუჯასებიდან მოისმის ხმა-მაღალი სიცილი. შემოდის გლახრიონი უკანასკნელ მარცხენა ზღანიდან).

გამოსვლა მეორე

მარკოზი და გლახრიონი

- გლახრ. რატომ მიგვართოვე, მარკოზ?
- მარკ. აახ! იქ ნამეტანი სიცხეა.
- გლახრ. მერე, შენ ხომ ჩვენი მასპინძელი ხარ? უშენობით ყველაფერს შნო ეკარგება: სიცილსაც, ღვინის სმასაც და სიმღერასაც,—მერმე კიდევ ისა, რომ ანკარია იმ რიგად ოხრავს, იმ რიგად ხენეშის შენს აქეთ წამოსვლის გამო, როგორადაც მქედელთა საბერველი. ცოდვა არ არის? აბა, წავიდეთ მასთან! (სტენის გარეთ სიცილი).
- მარკ. მერე რა უნდა ჩემგან?

- გლაზბრ.** ვისა? ან კარიას? აი, ახირებული კითხვა თუ გინდა, სწორეთ ეს არის! კაცო, ის ხომ ეშნით-სავსე ქალია! გეფიცები ვენერას, რომ იმისთანა ლამაზი ქალი...
- მარკ.** ვიცი, ვიცი; ღმერთებს ნუ იფიცავ—არც ისინი გახლავან სრული ბედნიერებისა...
- გლაზბრ.** ეგ რაღა ფილოსოფოსობაა!.. გეფიცები ამურის ფრთებსა, მე შენი არა გამეგება რა! კაცო, ან კარია ხომ ვარდია!
- მარკ.** რომელიც გუშინ წინ მოსწყვიტეს და ახლა სკვნება კიდევ.
- გლაზბრ.** მარკოზ, მარკოზ, აბა რას ამბობ? ის მხოლოდ ახლა ჰყვავის. მისი სახე, მისი გულ-კისერი, მისი წელი, მისი სითამაძე!.. გეფიცები პლუტონსა და ტარტაროზს, რომ იგი თვით იუნონას ედრება თავის სილამაზით! წავიდეთ, წავიდეთ მასთან!
- მარკ.** წადი და უთხარი იმათ, რომ მე არა მცალია, უთხარი, რომ საჩქარო საქმებისა გამო მე არ შემძლია წამოვიდე... ერთის სიტყვით, რაც გინდა ისა სთქვი, ოღონდ თავი კი დამანებე?
- მლაზბრ.** მარკოზ, რა დაგემაართა? ნუ თუ შენ ამ რიგად მოგხიბლა იმ ქრისტიანის ქალმა?. იქნებ, ქრისტიანობის მიღება გასურდეს კიდევ! გეფიცები ჰერკულესს, რომ მთელ ქვეყანას გააკვირვებ!
- მარკ.** ეჰ, ჩემო გლაზბრიონს! როდესაც ახლანდელ დროში ჩვენ მხოლოდ ღმერთებს ვფიცულობთ და ისიც ჩვეულებისა გამო...
- გლაზბრ.** ო, მარკოზ, როგორ გეკადრება! მგონი შენ კარგად არ უნდა იყო: ან კუჭი უნდა გქონდეს ცუდათ, ან არა და ვული; თუ კუჭი—გირჩევ ექიმში მოიწვიო, და თუ გული—მაშინ უბრძანე აქ მოგვევარონ ის ქალი-მერცია; ქალები და ექიმები არაფრით არ განირჩევიან ერთიმეორისაგან: ან მოგკლავენ, ან მოვა-

რჩენენ. აბა, დამიჯერე, — უბრძანე მოგვევარონ ის ქალი (დაჯდება მარცხენა ტასტზედ).

მარკ. შენ იცი, გლაბრიონ? მთელს ჩემს სიცოცხლეში ეს პირველი შემთხვევაა, რომ არ მესმის, თუ რა მემართება, როდესაც იმ ქალს ვხედავ! მინდა გავუხუმრო, მაგრამ, როდესაც შევხედავ თვალეზში, ენა მებმება, ერთიანად ვიკარგები — მე მეშინია იმისა!..

გლაბრ. გეფიცები ბახუსსა, ერთი ღვინით სავსე თასი მთლად გაჰფანტავს მაგ შენს სიმხდალეს იმ ქალის წინაშე. უბრძანე, უბრძანე აქ მოგიყვანონ მერცია. იცოდე, უმაღლესი ჩიტები გალობას შესწყვეტენ, უმაღლესი ყურდგელს გაექცევა, უმაღლესი ღვინის სმას თავს დავანებებ, — ვიდრე ქალი უარყოფს მამაკაცის შემპარავ არშიუობას. გირჩევ, მონა გაჰზავნე იმ ქალთან და უბრძანე აქ მოგიყვანოს.

მარკ. გლაბრიონ, შენ ვერ იცნობ იმას...

გლაბრ. ვფიცავ იუნონას, ვფიცავ იუპიტერს, რომ ქალებს მე კარგათ ვიცნობ, — და ის ხომ ქალია?

მარკ. იცო, გლაბრიონ, რა გითხრა: მაგ შენს სისულელეში ხანდისხან სიბრძნის წინწყალიც გაელავს ხოლმე. მაშ, კარგი. მე გავვზავნი კაცს მერციას მოსაყვანად (ტაშის ტყვით მონას ეძახის). ეი, ბიჭო! (შემოდის მონა) ამ წუთსავე აქ მომიყვანე ის ქრისტიანი ქალი — მერცია; ჩქარა! (მონა გადის; სტენის გაჩუთ ხელახლავ ისმის მხაჩრული სიმღერა).

გლაბრ. იყავ რომაელი, მარკოზ: სიმდიდრე გაქვს, — მაშ, მოიხმარე იგი და ილხინე, ისიამოვნე!.. ჩვენ ბრძოლით დავიპყარით მთელი ქვეყანა და ახლა კი სრული უფლება გვაქვს ვიმხიარულოთ, ესვათ, ვიარშიყოთ, ვიქეიფოთ!.. ოღონდ შენ ისურვე, და მთელი რომის წარჩინებული ქალები გულის მოგვეკრიან... გეფიცები ტარტაროზს, რომ თვით უავგუსტოესი დედოფალიც — თვით პოპეიაც... (სტენის გაჩუთ, მარკ-

ჟენიკ, მოისმის ქრისტიანთა ცალობა). ეს რა არის? ნუ თუ ეს ქრისტიანებია, შენი პატიმარნი?!.. ნუ თუ იმათ სიკვდილის არ ეშინიათ?!.. ოჰ, რა სევდიანი, რა მკმუნვარე კილოთი გალობენ! ისინი ამ ცხოვრებაში მწუხარებასა პოულობენ,—და მე კი მწუხარება მეზიზღება!

მარკ. (იწყობს მარჯვენასკენ). მერცია მოლის,—წადი აქედან!

გლახბრ. დაიცა! ნება მომეცი, ერთი შეხედო და ვეიმბორო.

მარკ. შენ... აკოცო მერციას?!.. მარტო ერთი შენი შეხედვაც წაბილწავს იმას!.. გადი, გამეცალე აქედან!

გლახბრ. (გუფანაკუფად). იცი, მარკოზ: მართალია, მე სუსტნი ხასიათისა ვარ. გინდ მთვრალ ვიყო, გინდ არა, მაგრამ სიტყვა „წაბილწვა“ სწორეთ უშვერი სიტყვა იყო!.. სწორეთ ძალიან მეწყინა!..

მარკ. თუ ღმერთები გწამს, აქედან გამეცალე!

გლახბრ. მე კი წავალ, მაგრამ რად შეურაცხყოფ, რად მკადრებ უკადრისს? კარგი, კარგი! გრცხვენოდეს, მარკოზ!

მარკ. კარგი, ბატონო, მე შევცდი—გაწყენიე, მომიტევე, ბატონო! ოღონდ მომშორდი აქედან!

გლახბრ. აი!.. შენ კარგათ იცი, რომ მე შენთვის თავს არ დავზოგავ!.. ახლა აქ შეიქციე თავი!.. განა მე კი არ ვიცი, რომ ჩვენმა საზოგადოებამ თავი შეგაწყინა!.. იქ რომ ღვინო არ მეგულვებოდეს, არც მე წავიდლოდი, მაგრამ რადგანაც ღვინო არის, მეც გიახლეობი. (გადის მარცხნით, საიდანაც ხმა-მადლი სიცილი მოისმის).

მარკ. იგი მოლის და თან შექსა ჰვენს ამ არე-მარეს!.. (შეშოდის ჩერცია, ხელეში ბორკილ გაყრილი, უკან მოყვება მონა).

გამოსვლა მისამე

მარკოზა, მერცია და მსახურა

- მარკ.** (მსახურს მრისხანედ). ახსენ ბორკილი ამ წუთსავე!.. ვინ გაუბედა ბორკილის ჩამოცმა?!..
- მსახური.** საპურობილეს ზედამხედველმა, ბატონო. (აყრის ბორკილს).
- მარკ.** ეხლავ მიჰგვარე იგი ბიტურიოსს და უთხარი, რომ დასაჯიას (შონა გადის).

გამოსვლა მართხე

მარკოზა და მერცია

- მარკ.** დამერწმუნე, მერცია, ეს უჩემოდ გაუბედავთ.
- მერცია.** მე ეს სრულიადაც არ მიმიძმს, მით უმეტეს, როდესაც ეხედავ, რომ ჩემი და-ძმანი იმავე სატანჯველში არიან, როგორშიაც მე.
- მარკ.** (დაშტეკებით უცქერის მერციას) მაგრამ შენსა და იმათ შორის განსხვავება არის, მერცია.
- მერცია.** ღიახ, არის განსხვავება მხოლოდ იმაში, რომ მათ შორის არიან იმისთანები, რომელთაც ბორკილი უფრო ემძიმებათ, ვიდრე მე.
- მარკ.** მერცია, შენ სულ სხვა ბორკილისათვის ხარ შექმნილი—სიყვარულის ბორკილისათვის.
- მერცია.** რისთვის. დამიბარე?
- მარკ.** იმისთვის, რომ მინდა დავსტკებ შენის სილამაზით, მინდა გავიგონო შენი ნაზი ხმა, მინდა ვუცქირო, მაგ თვალებს, რომელნიც სულსა და გულს მინათლებენ თავის ელვარებით.
- მერცია.** შეგიძლია ერთი რამ თხოვნა ამისრულო?
- მარკ.** (საბარუდით) ოღონდ ბრძანე.

- მერცია.** მაშ, გამიშვი ისევ, აი, იქ (უჩვენებს მარჯვენისაკენ)— ჩემს ძმებთან.
- მარკ.** რაც გინდა, ისა მთხოვე, ოღონდ მაგას ნუ, მაგას ნუ მთხოვ, მერცია!.. ვერ შეგისრულებ, არ შემოიძლიან...
- მერცია.** მე კი მხოლოდ ამასა გთხოვ და იმათ განთავისუფლებას—გარდა ამისა მე არა მინდა რა.
- მარკ.** მაგ თხოვნის შესრულება არ შემოიძლია.
- მერცია.** რატომ? შენ ხომ ყოვლად ძლიერი ხარ?
- მარკ.** მე არ შემოიძლია თავისუფლება მივსცე იმათ, რადგანაც კანონი ჩემზედ უფრო ძლიერია. არ შემოიძლია აგრეთვე შენ იმათთან გაგიშვა, რადგანაც მე შენ მიყვარხარ და არა მსურს, რომ იტანჯო.
- მერცია.** მე ის უფრო მტანჯავს, რომ ჩემი ძმები შებორკილნი ჰგდიან იქ—სატუსალოში.
- მარკ.** მაგას ხომ ტანჯვა არა ჰქვიათ, —ეს მხოლოდ სიბრალუღია... მოდი, მომიახლოვდი და მეგობრები გავხდეთ, მერცია!
- მერცია.** ჩვენ არ შეგვიძლია მეგობრები გავხდეთ... განა, არის რამე საერთო ჩვენს შორის?
- მარკ.** ჩვენ ორივე ახალგაზდანი ვართ, არცერთს ცხოვრება არ გვინახავს.
- მერცია.** ჩვენ სულ სხვა შეხედულებისა ვართ ცხოვრების შესახებ: შენ გძავს იგი, რაც მე მიყვარს,—შენ სდევნი იმათ, ვისაც მე ვიცავ.
- მარკ.** რას ელოდები? რას ეძიებ, მერცია, ამ წუთისოფელში?
- მერცია.** შენ ჩემსას ვერ გაიგებ, კიდევ რომ გითხრა, რას ვეძიებ. შენ ზისდევ სიამოვნებას, სიტკბოებას, აუხორცობას და მედიდურებას, მე კი ვეძებ ჭეშმარიტ ბედნიერებას.
- მარკ.** თვით შენ არ იცი, აუ რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება! საუკუნო ბედნიერება არ ორსებობს, არის მხოლოდ სიამოვნება, განცხრომა, სიყვარული!..

- მერცია.** დიდი განსხვავებაა სიამოვნებისა და ბედნიერების შორის: სიამოვნებას თვით ეს წუთისოფელი გვაძლევს, ხოლო ჭეშმარიტ ბედნიერებას კი ის (ხელს აწეკს ზეგათ)—მაღალი ღმერთი.
- მარკ.** რომელი ღმერთი, მერცია?
- მერცია.** ერთ-არსი, მარადის მყოფი ღმერთი.
- მარკ.** შენ ქრისტიანი ხარ? (მერცია შეკრთება) ნუ თუ ჩემი გეშინია? სთქვი, ქრისტიანი ხარ?
- მერცია.** დიახ, მე ქრისტიანი ვარ.
- მარკ.** რათ მიიღე ეგ სარწმუნოება?
- მერცია.** რისთვის ბრწყინავს მზე, რისთვის ანათებს მთვარე, რისთვის ჰყვავიან ყვავილნი, რისთვის გალობენ ფრინველნი?... მისთვის, რომ ღმერთმა ასე ინება. ქრისტიანობა ასწავლის ქველობას, სათნოებას და კაცთმოყვარეობას... დამარცხებულიცა და დამმარცხებელიც, მონაცა და ბატონიც, ქალიცა და კაციც — ყველანი თანასწორ არიან ღვთის წინაშე!.. დვისაც იგი სწამს და ქველმოქმედობს, იგი ბედნიერებასაც იპოვის, არა თუ ამ წუთისოფელში, არამედ იქაც — იმ სოფელში, სადაც იმას საუკუნო ცხოვრება მოელის...
- მარკ.** (თაკისთვის). ო, — რა მშვენიერია! ნამეტურ ამ აღმაფრენის დროს? . (ხმა მადლა) აღბაღ შენ ეგ ფილოზოფია მოხუცთაგან გაგიგონია, იმათგან, რომელთაც უკვე უნახავთ, თუ რა არის ცხოვრება, — რომელთაც ამ წუთისოფელში არა დარჩენიათ რა, გარდა იმ სოფლის შესახებ ოცნებობისა. მაგრამ ცხოვრება ხომ აქაც კარგია! არ ვიცი, ჭეშმარიტი არიან, თუ არა ეს ჩვენი ღმერთები, მაგრამ საუცხოვონი კი არიან: იმათ უყვართ ღმერთი და სიამოვნება, — ჩვენც იმათ უნდა მივბაძოთ... როდის და გავიხაროთ, თუ არ სიყმაწვილეში? მე და შენ ახალგაზდანი ვართ, ჩვენს ძარღვებში მოძრაობს მხურვალე სისხლი, გუ-

ლი გულს ეძებს, სიყვარული სიყვარულს... ო, მშვენიერო, სრული ღირსი ხარ სიყვარულისა, თაყვანის ცემისა... (მოუახლოვდება).

მეგრცა. გამიშვი, გამიშვი!.. მე შენი მეშინია!..

მარკ. რის გეშინია, მერცია? მე შენ მიყვარხარ. შენ მე დამამონავე, და ახლა კი არაღის შენს თავს არ დავანებებ.

მეგრცა. გამიშვი, გვედრები, გამიშვი!.. დეე, სიკვდილიც მელოდეს, აი, იმ კარებში—მას მე თამამად შევხვდები, სიკვდილის მე არ მეშინია... მეშინია მხოლოდ შენი.

მარკ. შენ სიკვდილზედ ლაპარაკობ? განა მე მიგცემ იმას, სანამ შენ არ განიხილავ ამ ცხოვრების გემოვნებას? ხვალ ეგებ სიკვდილიც მოვიდეს, მაგრამ დღეს, დღეს კი, დეე, იყვავილოს ყვავილმა!.. დღეს კი უნდა გავიხარო შენის აქ ყოფნით, უნდა დავსტკებ ბედნიერებით, სიყვარულით!.. (მარცხნივ შემოდის ანკარა, ხელში უჭირავს კარდი; მიდის მარჯოზისაკენ, მეგრცას კერ ამჩნევს).

გამოსვლა მახუთე

ოგინიკე და ანკარა

ანკარ. აა, როგორც იქნა, მოგნახე, ჩემო ლტოლვილო! გლაბრიონი უშენოთ დაბრუნდა და ვერაფერი გაგვაგებინა... მე შენს წასაყვანათ მოვედი, წამო, წავიდეთ!

მარკ. გთხოვ, მარტო დამტოვე (ანკარა მეგრცას შემჩნევს).
ანკარ. მარტოვო? მაშ, ეს ვინლა არის? თუ მაგას არა სთვლი? ვინ არის ეს ქალი, მარკოზ?

მარკ. ჩემი სტუმარია.

ანკარ. მაშ, ჩვენთან წამოვიდეს! აქ რა უნდა?

- მარკ.** ეს აქ იმისთვის არ გახლავს, რომ შენს ბრძანებას დაემორჩილოს.
- ანკარ.** მაგრამ, ჩემი აქ ყოფნა ხომ შენი სურვილია?
- მარკ.** მაშ, თუ ასეა,—აი, ჩემი სურვილი: წადი აქედან.
- ანკარ.** ვერ მოგართვი! მე მოველ აქ შენდა სასიამოვნოთ, დაერჩები კი ჩემდა სასიამოვნოთ. (წამოწკება მარჯვენა საწოლზედ).
- მერცია.** გთხოვ, გვევდრები, გამიშვი ისევ ჩემს საპატიმროში.
- ანკარ.** საპატიმროშიო?!.. ეგ რა დამნაშავე გეყოლია აქ?!.. (ადგება) აა, ახლა კი ვიცი, ვინც არის: ეს ის ქრისტიანი ბოძანდება, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობდნენ!.. მმმ!.. (მიჯარდება მერციას, ისევე უკან დაბრუნდება, მერმე წასვლას მოინდომებს სხვა სტუმრების დასაძახებლად). მაშ, ეს ის თვალთმაქცი ჰრძანდება, რომელმაც შენ მოგხიბლა?!. აი, სერიოც, თუ გინდათ!.. გლაბრიონ, იულია, სირენა, დაონა, აქ მოდით ჩქარა, ჩქარა და გაიგებთ, ვის გულისათვის მიგვატოვა ჩვენმა მასპინძელმა!... უბრძანეთ, რაც შეიძლებოდეს მეტი სანათი შემოიტანონ, რომ უფრო კარგათ განვიხილოთ ეს ქალბატონი! ღვინოც შემოიტანეთ—ერთი ამის სადღეგრცელოც დაფლიოთ!.. ჩქარა, ჩქარა!.. (ისტრეიგულათ იცინის.—შემოდის: გლაბრიონი, რომელსაც ხელში უჭირავს ღვინით სავსე თასი, იულია, სირენა, დაონა, ფილადემი, მეტელისი, ძონები ანთებულ სანათებით და სხვანი).

გამოსვლა მემეცხე

- ივანიკე, გლაბრიონი, ფილადემი, ქალები, ძონები და სხვა.** ივანიკე, გლაბრიონი, ფილადემი, ქალები, ძონები და სხვა.
- გლაბრ.** რა ამბავია? რა ამბავია, ა?.. კიდევ ახალი რამ სიამოვნებაა თუ? ჩვენ ისედაც მზიარულნი ვართ.. ჩემს მეტი, ძკონი, არც არავინ არის ფხიზელი.

- ფილოდ.** ო, შენმა მზემი შენზედ უფრო ფხიზელი მაინც ვარ.
- გლაზბრ.** რა ამბავია, ყმაწვილებო, ა? (ტასტზედ წამოწევა. მერცხას შეამჩნევს). აჰა, ეს აქ ყოფილა?! კეთილი!
- სირენა.** იცის რამე ამ გოგომ? თამაშობს თუ მღერის?
- აუღია.** ვინ არის ეს ქალი?
- ანკარ.** თვით გასაოცარი ქრისტიანი!..
- უგელა.** (გაკვირვებით) ქრისტიანი!..
- ანკარ.** ახლა ხომ ხედავთ, რატომ მიგვატოვეს ჩვენ საბრალონი!.. (კარდს ესვრის მერცხას). ეს ის გრძნეული გახლავთ, რომელმაც მარკოზი მოჰხიბლა. აი, ბატონებო, ეს გახლავთ ის უსულო მარმარილოს ქვა—ქრისტიანი ქალი! ხა! ხა! ხა! (კარდს ესვრის მერცხას). ვფიცავ ვენერას, ჩვენ როგორმე უნდა გაეფანტოთ ამ თვალთმაქცის თილისმა, თორემ ჩვენ მიგვატოვებენ, გულს აიყრიან ჩვენზედ!...
- ფილოდ.** არა, ანკარიავ, მე შენ არასოდეს არ მიგატოვებ, რა საკვირველია, პირველად თუ შენ არ მიმატოვებ (საზოგადო საცაღი).
- ანკარ.** აი, ბატონებო, ის ვარსკვლავი, რომლის კაშკაშმაც ჩვენ უნდა დაგვირდილოს!... ხა! ხა! ხა!
- დაანა.** რის კაშკაშიო, რას ამბობ, ქალო?!—რა აქვს მაგას კარგი?
- გლაზბრ.** ის ლამაზია..
- დაანა.** მე კი არ მომწონს მაგვარი სილამაზე.
- თეა.** არც მე.
- გლაზბრ.** მე კი მომწონს. შენ რისთვის არ მოგწონს, მე ვიცი, და მე რისთვის მომწონს—იმას კი არ გეტყვი.
- თეა.** არცა მსურს, რომ მითხრა.
- იუგაბ.** ფუ!.. რა უშნო სილამაზეა!..
- მეტეკა.** ვფიცავ მარსს, რომ ყოველ გამოგანდაკებულ სახეს უფრო მეტი სიცოცხლე აქვს, ვიდრე ამ ქალსა.
- დაანა.** სწორედ არ მესმის, რა მოეწონა მარკოზს ამ ქალისა?!..

ფილდორ ტურთა სახე.

ანკარ. ტურთა სახე?!.. განა ცოტანი არიან ჩვენში ტურთა სახის ქალები? ეგ გრძნეულია, აი, რა! ამბობენ, რომ ეს ქრისტიანები სულყველა თვალთმაქცი არიანო; აბა, ერთი მაგანაც კეიფენოს რაიმე მისნობა, რაიმე სასწაული!

დაანა. განა ეს სასწაული არ არის, თუ კი მართალია, რომ მარკოზს ეგ უყვარს?

ანკარ. მარკოზს... უყვარს... ეს?!.. ხა! ხა! ხა! შეიძლება, რატომაც არა, მაგრამ ერთის ან ორის საათით, ყოველ შემთხვევაში მაელი დღით კი -- არა! (მეჭვას) საბრალო ჭკუის კოლოფო! მარკოზი ძველ ფესხა-ცმელთ უფრო მოიგონებს, ვიდრე შენ, საცოდავო! უყვარსო! ხა! ხა! ხა! შენ უბედურო, შენა ფიქრობ, რომ დიდ ხანს გასტანს მაგის შენდამი სიყვარული?... რას დადუმებულხარ? სთქვი, როგორ ფიქრობ, მალე მიგატოვებს, თუ არა? (საზოგადო სიცილი).

დაანა. როდესაც შენ მარკოზმა მიგაბრძანოს, მაშინ გვიამბე, რა ნახა შენში იმან კარგი?

მარკ. ამოდენი ხანია გიცქერთ, და ჭკუიდან მშლის ეს თქვენი უსინდისო საქციელი!.. თქვენ იმის ღირსნიც არა ყოფილხართ, რასაც მე თქვენზედ წინაღ ვფიქრობდი!.. აბა, მითხარით, რათ შეურაცხყოფთ, რათა ჰკბენთ, რათ აწამებთ ამ უმანკო არსებას?!.. რა დაგიშავათ?.. ანკარია, შენ მაინც გააჩერე ეგ შენი ენა,

ანკარ. ენა გავაჩერო?! მაშ, შენ ამისთვის მოგვიწვიე აქ? ჩვენ ეს არ ვიცოდით!..

ტლბარ. მე არ შემიძლია ენა გავაჩერო, ხანამ ეს ღვინო არ დამარჩობს.

ანკარ. მე კი მხოლოდ მაშინ გავაჩერებ, თუ ჩემს ტუჩებს ბეჭედს დააკრავენ.

- დაბნა.** ო, რა ზიგად სწაღია ახლა მარკოზსა, რომ თავის ტუჩებით ბეჭედი მიარტყას იმის ტუჩებსა!..
- ანკარ.** მართალია, ქრისტიანო, შენ ესა გსურს? აბა, შეხე მარკოზს რა ლამაზია! მე იმისთვის ბევრჯელ მიკოცნია, ო, რა ტკბილია მისი ტუჩები, რომ იცოდე!.. რას დადუმებულხარ? მუნჯი ხარ? აუ გძინავს? მაშ, ჩვენ ვაგაღვიძებთ!.. ამას სძინავს, მოიტათ ღვინო, ვსვათ, ვიმხიარულოთ!..
- ფეკლა.** მაშ ვიმხიარულოთ! სიამოვნება თვით ცხოვრებაა! (თავაშობენ და იმღერაან):

„მოდო, აქეთ მომეშურე, სიამოვნება ჩვენ გვიწვევს,
 „ფიცხთა გულის ნდომათა მოვკლათ ჩვენ წყურვილი!
 „სუნელოვან ღვინოში და ამბორის ყოფაში
 „ჩვენ ვიპოვით დათრობას, ვიპოვით ბედნიერებას!
 „ო, მოდი მომეც—დავსტკბე შენის სილამაზითა!
 „ო, მოდი, გამაგონე შენი ტკბილი ხმა!
 „ო, მოდი, ძაკოცე, ჩუმათ მითხარ: „შენი ვარ!“
 „ო, მოდი, მაკოცე!“

(ამ სიმღერას გათავებისთანავე სცენის გარეთ, მარჯვნივ, მოისმის ქრისტიანთა გალობა).

- დაბნა.** ეს რაღა არის?..
- გლაბრ.** ეს დატუსაღებული ქრისტიანები გალობენ.
- ანკარ.** ამ ქალის თანამონაწილენი? მარკოზ, უბრძანე გაჩერდენ.
- ფეკლა.** მარკოზ, გააჩერე, გააჩერე!
- ანკარ.** ისინი ჩვენ სიამოვნებას გვიშლიან! ოხ, მთელს ტანში ერუანტელი მივლის!.. გვევდრები, მარკოზ, უბრძანე გაჩერდენ.
- მარკ.** არასოდეს! ეგ არასოდეს არ იქნება! დეჲ იგალობონ! მე ესა მსურს! ეს არის ბრძოლა ძველსა და

ახალ ღმერთებს შორის!.. დეე, იბოძოლონ! ბოლოს
კი დაენახავთ, ვინ ვის დაამარცხებს!..

ანკარ. მაშ, ჩვენ დაფარავთ იმათ ღრიალს ჩვენის მხიარული სიმღერით! გაუმარჯოს სინარულს: ეი, ღვინო, ღვინო!

გლაბრ. ვფიცავ აპოლონს, მოგვედი, მეტი აღარ შემიძლია!.. ასე მგონია, ვითომც კიანჭველები დარბოდენ მთელს ჩემს ტანზედა!..

დაანა. მე მზათა ვარ ვიტურო..

ანკარ. ეს ამ გრძნეულის ბრალია! მოჰკალით, მოჰკალით ეგ! ეგ თვალთმაქცია!

დაანა. სჯობია ღვინო დავალღვეინოთ! აბა, გლაბრიონ, მიეცი ღვინო!

გლაბრ. (მიწოდებს მერცხას ღვინოს სკესე თასს) აჰა, დალიე და გამხიარულდი! ხე... უი ერთია—ღღეს ან ხვალ მოგვედებით!

მერცხა. ჰოი, საცოდავო! შენ ღღესაც მკვდარი ხარ, იმიტომ რომ სცხოვრობ ცოდვებსა და საცრუეში.

გლაბრ. კარგია, დალიე!

მერცხა. არა მსურს!—ვაი, თქვენი ბრალი მაცდურნო! ვაი, თქვენი ბრალი, ცოდვებში დაღუპულნო! ეძიეთ ნათელი,—იგი ინათებს თქვენთვისაც, თუ კი თქვენ თქვენს ცოდვებს მოინანებთ.

ანკარ. გააჩერეთ ეგ თვალთმაქცი! გლაბრიონ, მიეცი ღვინო!

გლაბრ. აჰა, დალიე! (ღვინოს მიაწოდებს მერცხას).

მერც. მე ვსთქვი—არ დაფლევ-მეთქი.

გლაბრ. (ხელს მოკიდებს მერცხას). კაცი არ ვყოფილვარ, თუ შენ ეს არ დაგალღვეინო! გეფიცები ტარტაროსსა, რომ დაღვე-მეთქი. დალიე, დალიე, ჰო!

მარკ. (გაბრაზებული წამოხტება და ხელს კრავს გლაბრიონს). კმარა!.. თქვენ გადააქარბეთ ყოველ გვარ ზომას,—მეტის მოთმენა აღარ შეიძლება!.. აბა, გაბედოს!

- ვინმემ ამის ხელის შეხება, და მაშინ, ფეიცავ იუპიტერს, იგი გაიგებს, თუ ვინა ვარ მე!..
- ანკარ.** აი მასპინძელიც, თუ გინდათ!.. იგი შეურაცხვეყოფს ჩვენ ვიღაც ოხერ-ტიალის გულისათვის! ნამდვილათ, ჭკუაზედ შეიშალა!..
- ფეკლა მარკ.** ჭკუაზედ შეიშალა!.. ერთი მითხარით, რა დაგიშავათ ამ ქალმა, რომ ამ რიგათ ლანძღავთ და დასცინით? დამერწმუნეთ, რომ თქვენთან შედარებით—ეს უწმინდესი სულია! თქვენ იმის ღირსნიც არა ხართ, რომ ამასთან ერთათ ისუნაქოთ ერთი და იმავე ჰაერით, იმიტომ რომ თქვენს სუნთქვას თან მოსდევს გარდამდები სენი! თქვენი ყოფაქცევა—გარყენილება, ლოთობა, ბიწიერება ჭკუაზედ შეშლის ადამიანს!.. კმარა! ლხინი გათაედა. შეგიძლიათ მიბრძანდეთ! მშვიდობით! თავი დამანებეთ, გთხოვთ მიბრძანდეთ და თანვე წაილოთ ეგ თქვენი გარდამდები სენი! (ფეკლანი გადაიან და გაიძახიან: «მარკოზო, ჭკუაზედ შეიშალა, გაგაყდა!»).

გამოსვლა მეზვიდე

მარკოზი და მეგრცა

- მარკ.** (სიჩუმე). ხო ხედავ, მეგრცია, მე სახლიდან დავითხოვე ჩემი სტუმრები, კმაყოფილი ხარ?
- მეგრც.** უფრო კმაყოფილი დავრჩები, თუ მე გამაგდებ აქედან. იმათ მე ვუშლიდი ხელს და არა ისინი მე.
- მარკ.** არა, გრძნეული ხარ, თუ არა, მე ეს არ ვიცი, მაგრამ ის კი არის, რომ შენ საუცხოვო რამ ხარ!.. შენ ხარ ცივი, მაგრამ მოკაშკაშე ვარსკვლავი! შენზედ გავცვალე ყველანი, და მაგიერი უნდა გადამიხადო, უნდა მანუგეშო! ოჰ, რა რიგად მიყვარხარ! მე შთაებერაე სიცოცხლეს შენს სილამაზეს: იძულებულ გაგხდი—

კოცნაზედ კოცნითვე მიპასუხო, ალერსზედ—ალერსით,—და კიდევ რომ შენი კოცნა სიკვდილი იყოს, მე მზადა ვარ მოგვედე შენთან ერთად.

მერც. (შეშანებულად). რას ამბობ?! შენ მხეცი ხარ, თუ ადამიანი?!

მარკ. დიაღ, მე ადამიანი ვარ. ადამიანში ყოველ მხეცურს გამოიწვევს შენი სიძულილი, მაგრამ ყოველი ადამიანური მხეცში დამონავებულია შენის სილამაზით! ეი, ბიჭებო! (შემოდინს მონება) დააქრეთ ლამპარნი! (ლამპართ დააჭრებენ) არაფინ შემოუშვათ! კარები დაკეტეთ! (მონება გადაინ).

მერ. (გასდგეს მათ) წამიყვანეთ, წამიყვანეთ, ღვთის გული-სათვის, ნუ დამტოვებთ აქ! (დაიწოქებს). ოჰ, მარკოზ, თუ ადამიანის გული გაქვს, შემობრალე, გამიშვი!

მარკ. (მიუახლოვდება) არა, შენ ჩემი მონა ხარ! შენ ჩემი ხარ სულითა და ხორციით.

მერც. (წამოდგება და განსუად გადაგება) ოქით! ჩემს სულს შენ ვერ შეეხები: ვინც მე იგი მომცა, ისვე შეინახავს იმას წმინდათ, შეუბღალავად!

მარკ. სულითა და ხორციით შენ მე მეკუთვნი! მეც შენი ვარ, მერცია!.. ყველა ეს, რასაც შენ აქ ხედავ: მთელი ჩემი სიმდიდრე, ჩემი ქონება, თვით მე შენ გეკუთვნი! სიყვარული თვით ღმერთებმა გვიბოძეს, სიყვარული თვით ნეტარება! აქ ხომ ჩემს ხელში ხარ, მშველელი არაფინა. გყავს... მაგრამ მე მაინც გვედრები, მერცია, გვედრები—შემიყვარე! (დაიწოქებს) შემხედე, მე—მარკოზ დიდებული, რომის პრეფექტი, ტირანი, შენი ბატონი—მონასავით მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე და ვეამბორები შენს კალთას!.. შემიყვარე, მერცია, და ყელამდის ოქროში ჩაგვამ, შეგამკობ იმისთანა ძვირფას რამეებით, როგორიც არა აქვს თვით კეისარის მეუღლეს—პოპეიას!. (მოუხეკება მერციას).

- შერც. შემიბრალებ, შემიბრალებ, მარკოზ!
 მარც. აარა, არა, შენ შემიბრალებ მე!.. შეიწყალე ჩემი სი-
 ყვარული (შერცა გამოუსხლტება მარკოზს და გააქ-
 ტება. მარკოზი უკან დასდგეს). ვერსათ ვერ გამექცევი,
 მერცია, ჩვენ მარტონი ვართ, მარტონი!.. ო, გვეე-
 ღრები — შემიყვარე!
- შერც. გამიშვი! გამიშვი! შენ ბოროტი სული ხარ და არა
 ადამიანი!.. შორს ჩემგან, შორს-მეთქი, მაცდურო!
- მარც. ო, შემიყვარე, მერცია, შემიყვარე!
- შერც. ო, ღმერთო, შენ მიშველე!
- მარც. შემიყვარე, მერცია! სიყვარული ყოვლათ ძლიერია!
 შენ ხომ არასოდეს არ გამოგცილია ეს გრძნობა!..
 მაშ გამოცადე! არავის ტუჩები შენს ტუჩებს არ შე-
 ხებია, არავის ასე გაშმაგებით არ ყვარებიხარ, ასე
 არ უცია თაყვანი შენის სილამაზისათვის, რო-
 ვორც მე, მერცია! ო, რომ იცოდე, რა ლამაზი ხარ,
 მაშინ თვით შენ გახდებოდი ღმერთად, და ყველა
 ჩვენი ღმერთი მუხლს მოიდრეკდა შენს წინაშე,
 თაყვანს გცემდა!.. ო, შემიყვარე, ჩემო სიხარულო,
 ჩემო სიცოცხლე! შემიყვარე, ჩემო ბედნიერება,
 ჩემო მშვენიერო ღმერთო! ო, შემიყვარე, გვეეღ-
 რები!
- შერც. რა მემართება?!.. ძალა მეკარგება!.. დავიღუპე!...
 (გულს მიეკრძას მარკოზს, მაგრამ უცბათ გამოუსხლ-
 ტება და განზუდ გადაგება. ასმას ქრისტიანთა გალობა).
 არ მომეკარო! შორს ჩემგან, სულთ ბოროტო!
 ღმერთო ჩემო! (ხელეხს; ააშკარს; ზეკით) შენა ხარ
 ჩემი მფარველი! (მარკოზი გაიწეოს იმისაკენ, მაგრამ ამ
 დროს ზეკიდან თავს დაადგება შერცას ნათელი და
 მარკოზი, როგორც მოწყვეტილი რამე. უკან დაიხივს
 და ჩაიხივებს).

(ფარდა)

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

(ატრაუში კეისარის სასახლეში. ნერონი ზის სამეფო ტახტზე და კითხულობს სათეატრო მოქმედების უწყებას. იმის უკან დგას რამ ბავშვი, გვერდით უზის შაპეა; შაპე-ას ქვევით ზის კერონიკა; მარცხნივ დგას მეტელსა).

გამოსვლა პირველი

ნერონი, შაპეა, კერონიკა, მეტელსა, რამ ბავშვი

- შაპეა.** კეისარო, შენ გატაცებით ჩაპყურებ მაგ უწყებას და გაჩუმებულხარ; ჩვენ კი მოკლებული ვართ იმ ბედნიერებას, რომ გავიგონოთ შენი ღვთიური ხმა.
- ნერონ.** პოპეია, დღეს ცირკში თამაშობა იმართება: საუცხოვო თვალის სეირი იქნება! ეტლებით ქენება, ქვეითთა სირბილი, გლადიატორები... მაგრამ ყველაზედ უფრო სასეირო — ლომნი, ვეფხნი, და 200 ქრისტიანი!.. ო, საუცხოვო რამ სანახავი იქნება!.. მეტელოს, მხეცნი ხომ კარგათ მოამზადეთ?
- მეტელ.** დიახ, კეისარო (თაყვანს სცემს).
- ნერონ.** მძლავრნიც არიან?
- მეტელ.** რომში არასოდეს არ ყოფილან ამისთანა მხეცნი, კეისარო! ისინი ჩვენ შევკრიბეთ შენს სახელმწიფოს ყოველ კუთხიდან.
- ნერონ.** როდესაც მზე გადისრება, ჩვენ ეიხილავთ ცოცხალ სანათებს ამფითეატრის გარეშემო, ოც-ოც ნაბიჯის მანძილზედ ერთმანეთისაგან: უბრძანე, შეპკრან ყველა ქრისტიანი, გარს შემოუწყონ ჩალა და ბზე.

გადასხან ზეთი და მერმე ცეცხლი წაუკიდონ. ო, ამგვარი თვალის სერიი ჯერ არასოდეს არ ყოფილა რომში!.. მთელი ხალხი აღტაცებაში მოვა, როდესაც დანახავს ანთებულ ცოცხალ სანათებს!.. უბრძანე აგრეთვე, რომ ნიკაბთ ქვეშ ჯოხები შეუყენონ, რომ ვეღარ გაანძრიონ თავები: მაშინ უფრო კარგათ დავინახავთ იმათ სახეებს. (შემოდის ტიჭელანი პირველ მარცხენა პლანიდან).

ბამოსვლა მორაე

იგინიკე და ტიჭელანი

ნეკონი. ტიჭელინ, შენა ხარ? აბა, რას იტყვი?

ტიჭელ. ქრისტიანი ქალი, როგორც მიბრძანე, უკვე დავაპატიმრე.

ნეკონ. აჰა! კეთილი.—უნდა იმისაგანაც გააკეთოთ ცოცხალი სანათი და დასდგათ პირდაპირ იმ ადგილისა; სადაც მარკოზი იჯდომება. ამბობენ, ის ძალიან გულგრილიდ ეპყრობოდა მარკოზსა, და როდესაც ცეცხლს წაუყუიდებთ, მაშინ კი ვნახავთ, როგორი ალითაც აინთება! ხე! ხე! ხე! ა? რაო! რას ამბობს?

ტიჭელ. ვინა, ღვთის მსგავსო?

ნეკონ. ვინა და მარკოზი, მარკოზი!

ტიჭელ. იგი სწყევლის რომს... მაგრამ ეს წყევლა ხომ შენც გეხება, კეისარო!

ნეკონ. რაო? მე?!

პაპეია. მიუტევე, კეისარო! ის ქალი ხომ გამოგლიჯეთ ხელიდან! მაშ, რა გასაკვირველი იქნება, კიდევ რომ იგი ასე მოიქცეს? მაგრამ იცოდე, კეისარო, ის ყოველთვის შენი ერთგული მონა დარჩება.

ნეკონ. შენის აზრით? ხომ არა სცდები, პაპეია?

- ზაპეია.** მე იმას ვიცნობ, კეისარო: იგი ფიცხია, მაგრამ ბოროტის განმზრახი კი არა.
- ნერან.** კეთილი, კეთილი.—მართალია, მარკოზს ჩვენ ვერ მოვრჩებით... მაგრამ ის ქალი? ა? რაო? არ სტიროდა, გული არ შეუწუხდა, არ გვედრებოდათ შემობრალეთო? ა? რაო?
- ტიჭენ.** არა, ღვთის მსგავსო! იგი მშვიდობიანად იყო და თავის სიმართლევად ლაპარაკობდა.
- ნერან.** რა ფანატიკოსები არიან?! არა, რას მოელოიან ამ სიკვდილისაგან, სწორედ არ მესმის?! ისინი ისე მიდიან სიკვდილზედ, როგორც ჩვენ ლხინში,—ვითომც სიკვდილი სასიხარულო რამ იყოს და არა საშინელება! რას მოელოიან! ა? რაო?
- გერან.** თუ ნებას მიბოძებ, ღვთის მსგავსო, მე მოგახსენებ: მე გავიგე, რომ ისინი მოელოიან მკვდრეთით აღდგომას.
- ნერან.** ა? რაო? რისი აღდგომაო, რას ამბობ?—მაშ არავინ იმათგანი შებრალებას არ გეხევეწებოდა, არ სტიროდა, არ ღრიალებდა? რაო? მაშ, ვნახოთ, როგორ გუნებაზედ დადგებიან, როდესაც ცეცხლს წაუკიდებენ?... (ტიჭელიანი მიდის მარცხნისაკენ. შემოდის მონა ჰირკელ მარცხენა პლანიდან).
- მონა.** პრეფექტსა სურს ნახვა ღვთის მსგავსის კეისარისა.
- ნერან.** (შეხდავს ზაპეიას) ა? პოპეია, შემოვიდეს—არა?
- ზაპეია.** შემოვიდეს. (მონა გადის; შემოდის მარკოზი).

გამოსვლა მისამე

იგინიკე და მარკოზი

- მარკ.** სალომი კეისარს! სალომი დედოფალს! (მიუახლოვდება მათ).
- ნერან.** რა გინდა, მარკოზ?

- მარკ.** მოწყალება, დიდებულო კეისარო.
- ნერონ.** „მოწყალება, მოწყალება!..“ როგორ არ მოგწყინდათ, სულ მოწყალებას თხოულობთ?.. კარგია, ჰო, სთქვი: ვისთვის არის საჭირო ჩემი მოწყალება?
- მარკ.** ერთ ყმაწვილ ქალისათვის, ღვთის მსგავსო.
- ნერონ.** ქრისტიანისათვის, არა?
- მარკ.** დიახ, იმისათვის, ღვთის მსგავსო.
- ნერონ.** იგი დამნაშავეა, მარკოზ.
- მარკ.** რა ბრალსა სდებენ, კეისარო?
- ნერონ.** ეე, განა შენ არ იცი? იმ ბრალსა სდებენ, რომ ის ქრისტიანია.
- მარკ.** ვინა სდებს მაგ ბრალს, კეისარო?
- ნერონ.** ვინა?—ტიჭელინი და... სხვებიც.
- მარკ.** სხვები? (შესუბრალობს და ვერონიკას) ექვიან ქალს, ღვთის მსგავსო, არ შეუძლია ქეშმარიტათ მოწმოს.
- ნერონ.** შენ ვის შესახებ ამბობ? ვერონიკა, ეს შენა ხარ?
- ვერონიკა.** დიახ, მე ვარ, ღვთის მსგავსო. მე მინდა ვიხსნა ეგ იმ ქრისტიან ქალისაგან, მინდა ვიხსნა შენი ერთგული მონა.
- ნერონ.** გესმის, მარკოზ? ვერონიკას სურს—ვიხსნას შენ.
- მარკ.** მე მგონია, კეისარო, რომ იმ ყმაწვილ ქალის წინააღმდეგ ყველა ჩვენს ქალებს პირობა შეუკრავთ.
- ტიჭელ.** აქ საქმე ქალებზე არ არის. შენ კარგათ იცი, მარკოზ, რომ ის ქალი შეიპყრეს იმ დროს, როდესაც მთელი ქრისტიანობა დანაშაულს ჩადიოდა.
- მარკ.** რა დანაშაულს, ტიჭელნი? ებრაელნი თავისუფლათ ლოცულობენ თავის სინაგოგებში ტიბერის გალმა, და ქრისტიანთ კი სდევნიან; აი, ამიტომაც ისინი ფარულათ თავს იყრიან და თავის ღმერთს ევედრებიან; ვის რა ვნება აქვს აქედან?
- ტიჭელ.** ლოცვა მხოლოდ მიზეზია, მხოლოდ იმის საშუალებაა, რომ დაფარონ თავისი განზრახვანი, რომელნიც

მიმართულნი არიან წინააღმდეგ კეისრისა და რომისა.
შენ ეს კარგათ იცი, მარკოზ.

მარკ. შენ ეს კარგათ იციო! განა შენ მოგანდე რამე, ტიპელინ? თუ შენ ჩემი მსაჯული ხარ და ჩვენებას მართმევ?

ტიპელ. რასაკვირველია, მე შენი მსაჯული არა ვარ, მაგრამ ეს ქრისტიანები...

მარკ. შენ ეს იცი, ტიპელინ, რომ მთელს სახელმწიფოში იმათთანა სათნო ქვეშევრდომნი კეისარს არაფინა ჰყავს? ამაში მე დარწმუნებული ვარ.

პაპეა. მაშ, შენ იმისთვის დაიკავე კავშირი იმ ქალთან, რომ მაგგვარი რწმენა მიგელო, არა, მარკოზ?

ნერონ. კიდევ რომ სათნონი იყვნენ, მერმე რა?.. „სათნონი! სათნონი!“ რა არის სათნოება?—თავმომწონეობა, პირმოთნეობა, ფარისევლობა და მეტი არაფერი! ეს სათნოება არჩობს მთელს ამ წუთისოფლის სიხარულსა და სიამოვნებას. ეს ქრისტიანები რალაც დაწყველილი ფანატიკოსები არიან, იმათ უნდათ რალაც ახალი სამეფო დააარსონ.

მარკ. არაქვეყნიერი სამეფო, კეისარო!

ნერ. „არა ქვეყნიერი სამეფო!“... მაშ, სხვა რა გვარი სამეფო უნდა იყოს, თუ არა ქვეყნიერი?!.. ეგ მიქარვა არის! მე ყოველთვის მელაპარაკებოდნენ, რომ ისინი მემამოხენი არიანო. ა? რაო?

მარკ. ტყუილი მოუხსენებიათ შენთვის, კეისარო. მაგას არაფინ არ იტყოდა, გარდა მოსყიდულ ხალხისა.

ნერონ. (შეხედავს პაპეას) ეე, კმარა ამაზედ ლაპარაკი!.. მე კეისარი ვარ, მე სრული უფლება მაქვს სიკვდილ სიცოცხლებზედ!.. მე გადავსწყვიტე, მარკოზ: ის ქრისტიანი ქალი მოკვდება დღეს სხვებთან ერთათ. მომისმინე, კეისარო, მომისმინე მოთმინებით! შენ კარგათ იცი, რომ მე შენი ერთგული მონა ვარ.

მარკ.

პირმოთნენი შენ ბევრი გყავს, ნამდვილი მეგობრები
კი—ცოტა...

ნერან. რაო? რა სთქვი?

მარკ. მე მართალს მოგახსენებ, კეისარო. ძალიან ბევრი,
უშეტესი ნაწილი გემსახურება შენ იმისთვის მხოლოდ,
რომ აქედან თავისთვის სასარგებლო რაზე გამოიტი-
ნოს, გემსახურება შიშისა გამო და ძალიან ცოტანი
სიყვარულისა გამო. ხალხი ძლიერ შევიწროვებულია
გარდასახადებისაგან: ჯარმა არ იცის, თუ რა არის
მოსვენება,—მთელი რომი გწყევლის შენ...

ნერან. მარკოზ!.. ფეიკავ იუპიტერს, შენ მეტის-მეტ ნებას
აძლევ შენს თავს!..

მარკ. თუ მე კეისარს სიმართლეს მოგახსენებ, ნუ თუ ეს
იმასა ნიშნავს, რომ მისი უსიამოვნება ან რისხვა
გამოვიწვიო?

ნერან. რის სიმართლე? რას ნიშნავს სიმართლე?

მარკ. დედოფალო, შენ მოგმართავ: მრაცხ თუ არა კეი-
სრის ერთგულ მონად?

მამ. სრულ ერთგულ მონად, მარკოზ.

ნერან. ჰო, კარგია, კარგი. განაგრძე!

მარკ. მაშ, მე ბოლომდისვე გულ-გაშლილად, სწორის გუ-
ლით მოგახსენებ ყოველივეს: გახსოვდეს, კეისარო,
რომ თვით სამარემდის კაცი ვერ იტყვის, ბენიერი
ვარო! ვინ იცის, თუ რა მოგველის? ადვილათ შეიძ-
ლება, დიდებას უკან მოსდევდეს უბედურება და
სასოწარკვეთილება—და, აი, მხოლოდ მაშინ შეიძ-
ლება სცნო ადამიანმა შენი ერთგული მეგობრები.
ვინ იცის, თუ რა მოგველის შენც, რომო? მომავალი
ღმერთები ჩვენ ამას გვიმალავენ... მაგრამ, აი, კეი-
სარო ჩემი ერთგული ხელი, რომელიც მზად არის
გემსახუროს თითქმის მაშინაც, კიდევ რომ სიკვდი-
ლი მომელოდეს!..—მაშ, მაჩუქე, კეისარო, იმ ყმა-
წვილ ქალის თავი! არასოდეს, არასოდეს შენთვის

მე არაფერი ზრ მითხოვნია,—ნუ თუ უარს მეტყვი იმისთანა მცირეზე, როგორც საბრალო ქალის სიცოცხლეა?!.. (დაიჩქარებს)

ნერან. ა, პოპია, რა ვქნათ?

პოპია. არ შეიძლება.

ნერან. არ შემიძლია, მარკოზ. მთელი ეს საზიზლარი ავაზაკთა ბრბო მტერია არა თუ ჩემი—კეისარისა, არამედ მთელი რომისა!.. რას არ ამბობენ იმათ შესახებ? იმათ ბრალსა სდებენ საზარელ დანაშაულში, თითქმის ცეცხლის გაჩენაშიაც: იმათ განუზრახავთ მთელი რომის ცეცხლით გადაწვა.

მარკ. მაგის დამტკიცება არავის არ შეუძლია, კეისარო.

ტიტუსი. მე შემიძლია, მარკოზ.

ნერან. ახლა შენ, მარკოზ, არაფერს არ აქცევ ყურადღებას: შენ მოხიბლული ხარ. ის ქრისტიანია და უნდა მოკვდეს!

მარკ. მაგრამ, კეისარო, თავის თავათ ქრისტიანობა ხომ დანაშაული არ არის!..

პოპია. მარკოზი მეტისმეტი დატინებით ითხოვს ამას; შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ თვითონ ეგ გაქრისტიანებულიაო.

მარკ. დედოფალო, შენ რომ მისი სიმშვიდე, გულკეთილობა იცოდე, მაშინ თვით შენ გახდებოდი მისი მფარველი

პოპია. ნუ თუ ამ რიგათ გიყვარს იგი?

მარკ. სულითა და გულით; უდიდებულესო.

პოპია. მართლაც, რომ თვალთმაქცნი ყოფილან ეს ქრისტიანები, თუ კი შენ ასე ადვილათ გაგხლოართეს თავის ბადეში!

მარკ. ტყუილს ამბობენ იმათ შესახებ, უავგუსტოესო.

ნერანი. ის ხომ მართალია, რომ ის ქალი ქრისტიანია?

მარკ. კიდევ რომ ქრისტიანი იყოს,—მაჩუქე მასი თავი, კეისარო! ეს იმისთანა მცირე რამ არის, იმისთანა,

რომ საკმარისია ერთი, მხოლოდ ერთი სიტყვა
ბრძანო, და ამით მე შენ მაჩუქებ მთელ ქვეყანას!

ნერონ. ეჰ, პოპეია, მე მგონია... ა? რას იტყვი?
პოპეია. არ შეიძლება.

ნერონ. არ შემიძლია, მარკოზ, არა.

მარკ. შენ კი შეგიძლია, კეისარო! კარგად იცი, ღვთის
მსგავსო, მე არასოდეს არ დამიშურავს შენთვის ჩემი
სიცოცხლე, ჩემი სიძლიდრე. კეისარის ნება ჩემთვის
კანონი იყო... და, აი, ამ ნების შესასრულებლად
ასობით და ათასობით დაღუპულან ქრისტიანები:
ქმრებს მოაშორეს თავისი ცოლები, მშობლებს—თა-
ვისი შვილები, არენაზე მათი სისხლი მდინარესავით
სდიოდა... აქნამდის ყველა ეს სამართლიანი მეგო-
ნა,—მაგრამ უბრალო ყმაწვილმა ქალმა ამიხილა თვა-
ლი, და ახლა კი ნათლად ეხედავ, რომ ქრისტიან-
ობა მკვლელობა არ არის, ქრისტიანობა ავ-ზორც-
ობა არ არის, არ არისს ღალატი,—არამედ ეს
არის სიყვარული და მშვიდობა, თავგანწირუ-
ლება და სიქველე. ღვთის-მსგავსო კეისარო, ჩე-
მის გულისათვის, რომის გულისათვის, თვით სა-
კუთარ შენის ბედნიერების გულისათვის, მომეც, მა-
ჩუქე იმ ქალის სიცოცხლე, მხოლოდ მისი, კეი-
სარო!

ნერონ. პოპეია, რა ექნათ? ა?

პოპეია (ადგება). არა, მარკოზ. შენ უნდა გესმოდეს: არ იქ-
ნება სამართლიანი, რომ ერთს ქრისტიანთაგანს ვა-
პატიეოთ და სხვები კი დავსაჯოთ. არაღის არ შეუძ-
ლია აღიაროს ქრისტიანობა—არც ქალსა და არც
კაცს, ერთის სიტყვით, ვისაც კი უნდა სიცოცხლე.
კეისარის განჩინება უკვე გამოვიდა და მისი უკან
დაბრუნება არაფრის გზით არ შეიძლება.

მარკ. მაშ, იგი უნდა მოკვდეს?

- ზაბეა.** თუ კი ის უარ ჰყოფს თავის სარწმუნოებას, უარ-
ჰყოფს მთელის ხალხის წინაშე, მაშინ შეიძლება ვა-
პატივით.
- ნერან.** ჰო, რასაკვირველია, მაშინ ცოცხალი დარჩება...
როდესაც უარჰყოფს, მაშინ იცოცხლებს, დიახ, დიახ!
- მარკ.** თუ არ ჰქნა?
- ნერან.** მაშინ უნდა მოკვდეს! (მარკოზა ადგება; ადგება ნერან-
ნიც). კმარა, მე ვსთქვი და გათავდა! ა? რაო?!..
(გადის მარჯვნივ. უკან გაყვებიან ზაბეა, ტაქელინი,
მეტელისი და სხვანი, გაკდა მარკოზისა და კერანიკისა,
რომელიც უკან გაყვება ზაბეას და მერე ისევე მო-
ბრუნდება).

გამოსვლა მართხი

მარკოზა და კერანიკა

- მარკ.** (კერანიკას ვერ ამჩნევს) ნუ თუ არსაიდან არაერთარი
ხსენა აღარ არის?!.. ნუ თუ კაცის ჭკუა იმისთანას
ვერაფერს გამოიგონებს, რომ მისი დახმარება შეიძ-
ლებოდეს?!.. მოდი, ვცადო, იქნება უარჰყოფს თავისი
სარწმუნოება!.. არა, მე ვიცი, იგი თვით სიკვდილ-
ამდის არ უღალატებს იმას!.. სიკვდილი?!. მერცია
და სიკვდილი?!.. ო, რა საზარელი გასაგონია ეს
სიტყვა?!.. ო, წყეულიმც იყოს ის ქალი, რომელმაც
იგი გასცა! იყოს წყეული უკუნითი უკუნიამდე!..
- კერან.** მარკოზ!.. მარკოზ!..
- მარკ.** აჰა, შენ აქ ბრძანდები, ჯალათო? ახლა ხომ დას-
ტები იმ ბოროტებით, რომელიც შენ ჩაიღინე! შენა
და ჰოპეიამ გადასწყვიტეთ მისი სიკვდილით დასჯა,
არა? ერთი მითხარი, რა დაგომავათ საცოდავმა?
- კერან.** იმან წამართვა მე შენი თავი... მე მინდოდა მესხნა
შენი თავი, კვლავ დამებრუნებინა კეისარის წყალო-

ბა... მე მეტსაც ვფიქრობდი... ჩემს წარმოდგენაში მე შენ გხედავდი... ყველაზედ მაღლა.. (ჩუმად მაიხედავს) შეიძლება ამ სასახლეში... სამეფო ტახტზედ... და შენ.. შენ კი გონება დაჰკარგე, შენ არ გესმის, რასაც ლაპარაკობ, რასაც ჩაღიხარ!.. გონს მხოლოდ მაშინ მოხვალ, როდესაც (ზიზღით) იგი მოკვდება!

მარკ. როდესაც იგი მოკვდება, მაშინ მეც მოკვდები იმასთან ერთად!

გერან. შენ იცოცხლებ, თუმცა იგი მოკვდება! იცოცხლებ მეთქი.

მარკ. მე.. ვიცოცხლებ, თუ მერცია... მოკვდება... არასოდეს! გესმის, არასოდეს-მეთქი! იცოდე: ვერც ერთი იმათგანი, ვისაც კი მისი სიკვდილი სწყუროდა, ცოცხალი ვერ გადამირჩება: ვერც შენ, ვერც ტიჭელინი, ვერც ლიცინიოსი, ვერც პოპეა, ვერც თვით კეისარი! გესმის? ვერც ერთი ვერ გადამირჩები, თუ მერცია მოკვდა!

გერან. შენ ჭკუაზედ შეიშალე, მარკოზ!... შენ ჰბოდავ... აბა, რა შენი ამხანაგია იგი?

მარკ. იგი იყო ჩემის სულის საუკეთესო ნახევარი, იმან მე შაჩენა გზა ნათელისა და ჭეშმარიტებისადმი, — და თუ იგი მოკვდება, თან წაიღებს ჩემს გულსა და ჩემს სულს (მიდის მარცხნისაკენ).

გერან. მაშ, მოკვდეს იგი!..

მარკ. იგი არ მოკვდება, ვერონიკა! მე იმას გამოგგლეჯთ ხელიდან! მე იმას ვიხსნი! მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ არ არის იმისთანა ციხე და ბორკილი, იმისთანა კანონები, რომელთაც შეეძლოსთ მერციას წართმევა! წადი, წადი და ყველა ეს ჩემი ნათქვამი ნერონს გადაეცი, მოახსენე ახლავ, ახლავ... და იყავ წყეული სამუდამოდ! (გადას, შირკელ მარცხენა პლანდანს).

გამოსვლა მისუთე

გერანია მარტო

გერან. მარკოზ, მარკოზ, მობრუნდი—გამიგონე! უგუნურო, სულელო! (სტირის) მარკოზ! მარკოზ! (წაიჭტეკა იქით, საითაც მარკოზი გავიდა).

ფარდა

სწრათი მორაე

(სცენის უგანასკნელი კედელი წარმოადგენს ამფითეატრის გარეთი შესედულობას, ამ კედლის შუაში—ფართო და მაღალი კარებია, რომელთა რიგ მხრივ დგას დარაჯი. რომელსაც ეს კარები გაიღება, მოსჩანს ცირკის აკნა, რომელიც განათებულია შხის სხივებით. კარები მარჯვნივ და მარცხნივ. იქით-აქეთ დაჩოქილი არიან ჯგუფ-ჯგუფად დაუოფილი ქრისტიანები—მამაკაცნი, დედაკაცნი, ბავშვები—და გალობენ).

გ ა ლ ბ ა

„სულთა გზა-დაკარგულთა მოძღვარო!
გემთა ქარიშხალთან მბრძოლელთა ნავოსალოარო!
წყლულთა მკურნალო, —დაგვეხმარო გვედრებით!
გზას დაგვაყენე! შენ მოგვივლინე დილის ცისკარი!
ყოფლად მკურნალო, დაგვეხმარო გვედრებით!
გვედრებით—გზა გვიჩვენე, სახლს მიგვიყვანე!“
(შემოდან ტიჭელნი და ლიცინიოსი მარცხენა კარებიდან).

გამოსვლა პირველი

ტიჭელნი, ლიცინიოსი და სხვ.

ტიჭელ. (მიმართავს უმაწვილ კაცებს) თქვენ აღექით და აქეთ გადმოდით! (ადგებიან და გადადიან მარცხენა მხარისაკენ—ქვევით) თქვენ კი აქეთ დადექით! (მოხუცნი მი-

დაინ მარცხენა მხარესკენ). (ლიცინიოსს) ეს ბებერი ძაღლები გლადიატორებისათვის... ლომებსა და ვეფხვებსაც გვარიანი ლუკმა ექნებათ! ეს დედაკაცები, აი, იმ ბავშვითურთ (უჩვენებს ღუციოსზედ, რომელიც ზის მერცხას გაკრდით) ლომებს! ა, შენც აქ ბრძანდები? ეს ის ქალი გახლავთ, რომლის ხნისთვისაც მარკოზი ასე თავგამოდებული ზრუნავდა კეისართან. (მერცხას) შენი მიჯნური, შენი საყვარელი სადღა არის? რად არ გშველის? მიპასუხე!

მერცხა. მე საყვარელი არა მყავს.

ტიჭელ. მაშ, რა არის შენი მარკოზ დიდებული?

მერცხა. მე არა ვიცი რა იმის შესახებ.

ლიცინ. როგორც სჩვევია მარკოზს, ისეც მოიქცა: გაეთამაშა და მიატოვა.

მელსი (წამოხტება გაბრაზებული). შენ სტყუი, ტირანო! უკან წაიღე შენი სიტყვები, უკან წაიღე-მეთქი, თორემ ვფიცავ პატიოსნებას... (ორი კაცი დააკაკებს იმას, ან მოუშვებს ტიჭელისზე).

მერცხა. დამშვილდი, მელოს! რაც უნდა, ისა სთქვას—მე იგი ვერ შეურაცხმყოფს.

ლიცინ. დაიცა, დაიცა! ნუ ცხარობ! აი, ახლავ მიგაბრძანებენ იქ, ხომ იცი? (უჩვენებს დად კარებსზე.—მერცხას დაცინვით). შენ იცი, რომ ამაღამ ვახშმათა ხარ მიპატიებულნი, აი, იქ—ლომებთან?...

მერცხა. ჩემთან იქნება ჩემი უფალი.

ლიცინ. (ღუციოსს) შენ, პატარა მორიელავ, როგორ ბრძანდები? შენი სიმამაცე გაჰქრა? შენი მზეც მალე ჩაესვენება... (ღუციოსი შიშისაგან განკაღს დაიწყებს)... აჰა, კიდევ კანკალებ?

მერცხა. ეს გამხნევდება, როდესაც ამის უკანასკნელი უამიც მოაღწევს. (ისმის საყვირთ ხმა მარჯვნივ).

ტიჭელ. გლადიატორები მზათ არიან. აბა, კარები გააღეთ! (დაჩაჯი დად კარებს გააღებს) მიბრძანდით! (შედიან მამა-გაწნი, უკან გაჭეუბიან დედა-გაწნი და ბავშვები, გა-

და ჯუციოსისა და მერცხასა. კულისებიდან მოისმის კივილი, ჭეივილი, საუკიროთ ხმა. მელოსი კარებთან შეჩერდება და შეხედავს მერცხას, რომელიც მას ხელით უჩვენებს ცაზედ; მელოსი თავს ჩაღუნავს და შედის).

მერცხა. განმხნეველით, ძმანო და დანო, ნუ გეშინიათ! ღმერთი მოწყალეა! (ტიჯელინი და ლიციოსისი გაკვირვებით მარცხნივ, დაჩაფი დიდ კარებს მიხურავს).

გამოსვლა მმორა

მერცხა და ჯუციოსი

მერც. ო, შემოქმედო, შენ უშველე, შენ გაამხნევე საცოდავნი! (ჯუციოსი მიდის სკამისაკენ) რა დაგემართა, ლუციოს?

ჯუც. მე შეშინია, მერცხა! (სტირის) მე უნდა მოვკვდე, მერცხე ასე ყმაწვილი?!.. უნდა მოვკვდე ამაღამ!.. უნდა დავსტოვო ეს მშვენიერი ქვეყანა?! (სტირის).

მერც. მერცხე რა? შენ სტოვებ ამ ქვეყანას, სამაგიეროთ მიღიხარ სულ სხვა ქვეყანას, უფრო ბრწყინვალეს, უფრო მშვენიერს, სადაც არ არის არც ტანჯვა, არც მწუხარება... იქ არის საუკუნო ბედნიერება, სიწმინდე და სიწრფელე!

ჯუც. მაგრამ წამება, მერცხა, წამება?!.. (სტირის).

მერც. ნუ ფიქრობ იმაზედ! შენ მხოლოდ იფიქრე შენს უკვდავ სულზე! ახსენე უფალი ღმერთი, როდესაც შენი ჯამი დადგეს!

ჯუც. როგორ გავბედო მისი ხსენება?!.. მე ხომ გაგეციოთ თქვენ; გიღალატე შენ, მერცხა!..

მერც. კმარა, ლუციოს! სულითა და გულით შენ ერთგული ხარ ჩვენი, მხოლოდ სხეული გაქვს სუსტი!.. რა ვუყოთ, დამშვიდდი, ლუციოს!

ჯუც. კი, კი... მაგრამ მე სულ-მოკლე ვარ... მე არა მაქვს შენი სიმამაცე, მერცხა!..

მერც. ჩემი სიმამაცე განაძლიერა ჩემმა სარწმუნოებამ.

გრწამდეს შენც უფალი ღმერთი და გამაგრდები ისე, როგორც მე. (ისმის კულისებიდან საუვირთ სმა და ყვირილი: ლუციოსი ადგება და მიდის კარებისაკენ, მაგრამ შეშინებული უცბათ მობრუნდება მერცხასთან).

ლურ.

(დაეცემა მუხლებზედ მერცხას წინ) მერცხა! მერცხა! მეშინია!...

მერცხა

ნუ გეშინია, ლუციოს! სულმოკლეობას ნუ დაემონავები! შენ ყოველთვის მეუბნებოდი მიყვარხარო, მაშ, გაფიცებ მაგ შენს ჩემდამი სიყვარულს, გამაგრდი, ნუ გეშინია!

ლურ.

რა ვქნა, რა ვქნა, მერცხა?...

მერცხა

მომეც პირობა, რომ არ შეგეშინდება, პირობა მომეც!...

ლურ.

(ზე წამოხტება გამბედავით) გაძლევ, პირობას, მერცხა, გაძლევ!.. შენ მართალი ხარ. შენა ხარ ჩემი ერთად ერთი ჭირისუფალი!.. მე ვგრძნობ, რომ მაცხოვარი მოახლოვდა.. ჩემი შიში გაჰქრა, მე აღარაფრის არ მეშინია!.. (ნელა მიდის დიდი კარებისაკენ, რომელსაც დაწაფი გააღებს; კულისებიდან მოისმის კიჟინა და საუვირთ სმა. ლუციოსი შეხუდავს მერცხას, მერმე გულზედ ხელებს დაიკრუფს და შედის აჩვენაზე. დაწაფი კარებს დახურავს. ამ დროს შემოდის მარკოზი).

გაოსვლა მისამი

მერცხა და მარკოზი

მარკ.

(ნაზად) მერცხა! (მერცხა შეშინებული წამოხტება, მაგრამ შეჩერდება) მერცხა!

მერც.

რა გინდა ჩემგან?

მარკ.

მე მოველი იმისთვის, რომ ვიხსნა შენ.

მერც.

მიხსნა? რისაგან?

მარკ.

სიკვდილისაგან.

მერც.

როგორ?

მარკ.

მე ვთხოვე ნერონს, რომ შენთვის ეპატიებია.

- მერც. მერე?.. იმან მაპატივა?
- მარკ. გაპატივა, მხოლოდ ერთის პირობით...
- მერც. რა პირობით?
- მარკ. იმ... იმ პირობით, რომ შენ... შენ უარჰყო შენი ცრუ სარწმუნოება,
- მერც. ჩემი სარწმუნოება ჭეშმარიტია, სამარადისო — და არა ცრუ.
- მარკ. სამარადისო?!... სამარადისო არა რა არის, მერცია: ამ წუთისოფლის იქით აღარაფერი არ არის, ყოველივე აქვე თავდება. ხალხნი მოდიან და მიდიან, პოულობენ თუ მწუხარებასა, თუ სიხარულს — და მერე კი საუკუნო განსვენებას მიეცემიან.
- მერც. შენ დარწმუნებული ხარ იმაში, რასაც ლაპარაკობ? აბა, დაეკითხე შენს თავს: ხომ არა გრძნობ შენშივე რაიმე საიდუმლო ხმებს, რომელნიც გეუბნებიან, მომავალი ცხოვრება არისო?
- მარკ. ყველა გაშმაგებით ისურვებდა მომავალ ცხოვრებას, რომ იგი მართლა იყოს და იყოს უკეთესი სააქაო ცხოვრებაზე.
- მერც. საიქიო სააქაოზედ უკეთესია, თუ კი ამ წუთისოფელში ცხოვრობდი ადამიანი პატიოსნათ, კეთილსინდისიერათ... მერე შენ ასე სცხოვრობდი, მარკო?
- მარკ. არა. — მე შენ მასწავლე, თუ რა არის პატიოსნება, ჭეშმარიტება, სიკეთე... მე არ ვიცოდი, თუ რა იყო ცოდვა, სანამ შენ არ შეგხვდი... არ ჰქონდა საზღვარი ჩემს სურვილებს, სანამ არ ვცან შენი უმანკოება, შენი სიწმინდე... ან კი საიდანა გაქვს ეს უანგარო ჭველობა?
- მერც. თუ ჩემში კარგი რამ მოიპოვება — ყველა ეს ღვთისაგან ნაბოძებია... მე ვცოცხლობ იმის წყალობით და ეს წყალობა მიეცემა ყველას, ვინც კი იმას ირწმუნებს.
- მარკ. შენ მაგაში დარწმუნებული ხარ?
- მერც. მე ვგრძნობ ამას და მრწამს კიდევ.

- მარკ. შენ არა გაქვს მაგის დასამტკიცებელი საბუთი.
- მერც. (გუჯუჯუდ ხელს დაადებს) მაქვს, როგორც არა—და ყველა ისინი, აი, აქ არიან, ჩემს გულში.
- მარკ. შენ ისე გრწამ, როგორც ყველასხეას. ხომ ყოველ სახლსა ჰყავს თავისი ღმერთები: ზოგი თაყვანსა სცემს ქვის გამოხატულებას და იმას თავის ღმერთს უწოდებს, ზოგი მზეს, ზოგი მთვარეს, ზოგი ხეს, ზოგი წყალს... ყოველი იმათგანი თქვამს, რომ იმის ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთია. ნუ თუ ყველა სცდება?
- მერც. დიახ, ყველა ისინი სცდებიან. ისინი თაყვანსა სცემენ თავის ღმერთებს იმისთვის, რომ აქედან რამე სარგებლობა მოიპოვონ, ან იმიტომ, რომ ეშინიათ დასჯისა.
- მარკ. მაშ შენ რისთვისღა სცემ თაყვანს შენ ღმერთს?
- მერც. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ღმერთი, და იმან გვიბრძანა, რათა ჩვენ გვიყვარდეს მოყვასნი ჩვენნი მისი გულისთვისვე.
- მარკ. მერე, შენ გინდა მოკვდე, მერცია? მე რომ ამ რიგათ მიყვარხარ?!..
- მერც. მაგის შესახებ ნურათყვარს მერცია! შენ გინდა დაღუპო ჩემი სული, როგორც ეს წინაღვე გინდოდა.
- მარკ. არა, მერცია. მე შენ ვერ გიცნობდი, მე დაბრმავებული ვიყავი, მერცია! ახლა თვალი ამეხილა... ჩემი სიყვარული— ჭეშმარიტი სიყვარულია!.. იცოცხლე, ჩემო ბედნიერებავ, და იყავ ჩემი ცოლი!
- მერც. შენი ცოლი?!..
- მარკ. გეფიცები, მერცია, მთელს სახელმწიფოში ერთი ქალიც არ იქნება იმ პატივისცემაში, როგორშიაც შენ მეყოლები... გინდა, თუ არა გახდე ჩემი ცოლი?
- მერც. გაეხდე შენი ცოლი და უარ-ვეყო ჩემი სარწმუნოება?!..
- მარკ. დიახ, დიახ, ეგ უკანასკნელი აუცილებელი საჭიროა.
- მერც. ეგ არასოდეს არ მოხდება, არასოდეს მეთქი!..

- მარკ.** ეს უნდა იქნეს, მერცია! აბა, დაფიქრდი! თუ ცოტა ოდნავ მაინც გაქვს ჩემი სიყვარული...
- მერც.** მარკოზ, ეს წუთისოფელი ახლა ჩემზედ ძალიან შორს არის, მე სულ სხვა ცხოვრების კარებთან ვდგავარ...—მარკოზ! მე შენ შემოიყვარდი პირველ ნახვისთანავე!
- მარკ.** მერე? მერე? მაშ, თანახმა ხარ?
- მერც.** დიახ, მე სიცოცხლე მინდა, მაგრამ სარწმუნოებას კი არასოდეს არ უარ-ვყოფ, არასოდეს!
- მარკ.** მერცია! შენს ღმერთს, თუ ის მართლა არსებობს, მე და შენ ერთმანერთისთვის შეფუქნდვართ. გამიგონე: მე მაქვს დიდი უფლება, სიმდიდრე, ჭკუა და ძალა; მთელი ქვეყანა ჩემს ფეხთ ქვეშ იქნება, თუ შენ ჩემი იქნები... ნერონი ეზიზღებათ, დღეს თუ ხვალ იგი ან მოკვდება და ან ტახტიდან ჩამოაგდებენ... ადვილათ შეიძლება სამეფო ტახტი მე დამრჩეს... დაფიქრდი, მერცია, შენ მოგეღოს დედოფლის გვირგვინი.
- მერცია.** ჩემი გვირგვინი აქ არ არის, მარკოზ; ჩემი გვირგვინი იქ არის (სკლათ ცაზე უჩვენებს).
- მარკ.** მე არ შემოძლია, მერცია, უშენოთ ცხოვრება. ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვეცადე დამეხსნა შენი თავი... წინათ მე წინააღმდეგი ვიყავი შენის სარწმუნოებისა, შენის ღმერთისა... მძიმე ფიქრები მაწუხებდნენ, საშველს არ მაძლევდნენ... ერთიანათ დამიმორჩილა რალაც ახირებულმა გრძნობამ, რომელიც ვერას-გზით თავიდან ვერ მოვიცილე... მერცია, თუ ეგ შენი სარწმუნოება ქეშმარიტია, მაშ, მითხარი, რა არის ეს წუთისოფელი? დროებითი, პატარა სადგური, არა? პაწაწა ხიდი ორ საუკუნოთა შორის:— იმისა, რომელიც ჩვენ უკვე გავიზიარეთ და იმისა, რომელიც ჩვენ აწი მოგვეღოს, არა? ო, ნეტავი ვიცოდე, თუ რა არის, რა მოგვეღოს სიკვდილის

- შემდეგ?!.. მერცია, მასწავლე, მასწავლე, როგორ მოვიქცე, რომ შენთან ერთად ვიყო?
- მერც** ირწმუნე და სთქვი: „უფალო, შენ უშველე ჩემს ურწმუნობას“. გახსოვდეს, რომ ღმერთმა მიუტევა ხალხთ იმოდენი ცოდვა, რამდენი ქვიშაც არ მოიპოვება ზღვაში. გწამდეს, რომ უფლის მოწყალებას საზღვარი არა აქვს და სლოვე ეგ ქვეყნიერი განზრახვანი და უკან გამომყვე!
- მარკ** გამოგყვე შენ, მაგრამ სად? (კულისუბიდან მოაქმის საყვირთ სმა. შემოდის ტიჭელანი მარცხენა კარებიდან).

გამოსვლა მეოთხე

იგინიკე და ტიჭელანი

- ტიჭელ** პრეფექტო, ემი უკვე დადგა. კეისარს სურს გაიგოს მაგ ქალის გირდაწყვეტილება: უარპყოფს, თუ არა თავის სარწმუნობას?
- მარკ** მერცია!..
- ტიჭელ** მიპასუხე!
- მარკ** მერცია!..
- ტიჭელ** მიპასუხე, მე შენ გელაპარაკები, ქალო!
- მერც** არ იფიქროთ, არ იფიქროთ, რომ უარ-ვყო ჩემი მწყალობელი ღმერთი,—აი, მეც მივდივარ სასიკვდილოთ... მშვიდობით, მარკოზ! (აქნაზუდ შესვლას დააპირებს).
- მარკ** (წინ გადაეღობება მარცხენა) არა, მერცია, არა! მე არ შემოძლია, მე ვერ გამოგემშვიდობები, არ შემოძლია უშენოთ სიცოცხლე!.. სიკვდილმა ჩვენ ვერ უნდა დაგვაშოროს ერთმანერთს!.. მე შევხვდები იმას შენთან ერთად!.. აბა, რა სიცოცხლეა, თუ არა ნუგეში, არა იმედი, არა სიყვარული!.. რა სიცოცხლეა, როდესაც ირგვლივ სიბნელება, ძალადობა, გარყვნილება!.. და, აი, ამ სიბნელებაში უეცრათ გამობრწყ-

ინდი შენ, ჩემო ნუგეშო!.. შენ ამიხილე თვალი, დამაყენე ჭზაზედ სულ სხვა, უმაღლეს ქვეყნისადმი, სადაც სუფევს შენი ყოველთა მწყალობელი ღმერთი!.. მე თან-და-თან შევიგნე მისი მოძღვრება!.. და აჰა, მეც მზათა ვარ: სადაც შენ წამიყვან ამ სიბნელიდან, ამ უმეცრებიდან, გარყვნილებიდან—იქ წამოვალ!.. გული განმინათლდა! ახლა სულ სხვა ვარ!.. დიახ, მე მრწამს, მერცია, მრწამს! (ტიტუსტინს) გასწი და კეისარს მოახსენე, მარკოზ დიდებული, რომის პრეფექტი, გაქრისტიანდა-თქო! (ტიტუსტინი გადას მარცხნივ).

გამოსვლა მესუთე

მერცია და მარკოზი

- მარკ. აბა, წავიდეთ, ჩემო ნუგეშო, ჩემო საცოლო!
- მერც. ჩემო სიცოცხლე!..
- მარკ. აბა, წავიდეთ ერთად ხელჩაკიდებულნი ჩვენს საქორწილო ლხინში!.. შენ მე დამამარცხე!.. (ისმის საუკრთ ხმა) წავიდეთ, მერცია, ჩემო საცოლო!.. (საუკრთ ხმა) წავიდეთ, მერცია, წავიდეთ საუკუნო ნათელისაკენ!.. (ღარაჟი დიდ კარებს გაღებს. კული-სებიდან ისმის კიჟინა და საუკრთ ხმა. მარკოზი და მერცია ხელჩაკიდებულნი შუკლან აჩენაზედ).
- (ფარდა)

მბონანს

გეტრფი შენ მაჯას, ჭაღაღღს და კაღამს;
შენ მით აღიღებ სამშობლო მხარეს,
მით უძღვნი მარად ქვეყნას საღამს
და მით იმშვიდებ სიღრცხლეს მწარეს.

გეტრფი, მგოსანი, მაგ შენ დიდებს:
შენ ხარ ვარსკვლავი ჩვენი ქვეყნისა!
ცდილობ მღვდლმარე გულთ დამშვიდებს
და წარმატებს მთელი ერისა!...

გეტრფი, მგოსანი, შენ ტანჯვა-წუხილს!
შენ მათა ქობი აწ უკვდაობას,
რამ თავს გვაშორებ ჩვენ სეტყვა ქუხილს
და წინ უღებო ჩვენს გულ-ჭკაობას!

1901 წ.

კონ. ნ—ძე





(ჰეინელან)

მე და შენ ერთად ვისხედით კლდეზედ
ღრმა ფიქრებითა გატაცებული;
ძიქს კი ჩვენს ახლას, ზღვა უნახირო
ტალღებს ისროდა კარისხეული.

ზღვას კარეშემო ნისლი ეხვია,
ჩვენს ზემოდ ცაში ტიფი სცურავდა;
ტრფობის ცრემლები, თვალთა ნადენი,
შენს შინაზებულს ხელებსა ბანდა.

სულ განაბული დავერდნე მუხლებს
და დავეკონე შენსა ხელებსა;
და ნაზ ხელიდან უხვად მასმეფდი
კულიდან ნადუღს ტრფობის ცრემლებსა.

იმ ნეტარ წამით, უბეჯურ დღიდან,
დავჭენი, კამიქრა მხიარულება
და ტკბილ ცრემლებით, ოჭ უღმობელო,
შენ მომიწამლე მთლად მე აჩსება.

— ს ა

ფილოსოფია და მისი

პრობლემა

წინასიტყვაობა

თქმულება არის: „ვინც წინასიტყვაობას არ კითხულობს, ის იქცევა ქურდივით, რომელიც სხვის სახლში დაკეტილი კარებით მიიპარებაო“.

ჩვენ გვრწამს და ეხედავთ, რომ ჩვენი ერი განვითარების გზას ადგია, ის კაი ხანია შედგა ამ გზაზე და მისი გაჩერება ყოველად შეუძლებელი საქმეა. იგი ვითარდება საზოგადოებრივად და ქონებრივად, ზნეობრივად და გონებრივად. მისი ძველი ზეუღლებანი თან და თან იფხვრებიან, მისი ძველი სოფლ-მხედველობა ირყევა და ირღვევა, მათ ალაგას სხვა ახალი სოფლ-მხედველობა მოდის, მათს ადგილს სხვა ჩვეულებანი იჭერენ...

ახალ დროს ახალი სოფლ-მხედველობა უნდა, სოფლ ახალ აზრებსა და სოფლ-მხედველობას ახალი სიტყვები და განახლებული ენა სჭირია.

აი, რა ორმაგი საკითხი წამოუყენა, სხვათა შორის, თანამედროვე ცხოვრებამ ჩვენი ერის მოწინავე თაობას,—აი როგორი საკითხი უნდა გადავწყვიტოთ ჩვენ, ვისაც ბედმა მე-XX საუკუნეში გვარგუნა ცხოვრება! აქეთკენ არის მიმართული ჩვენი ერის პროგრესიული ელემენტები, ამ ფერხულში უნდა ჩაებას იგიც, ვისაც არ სურს თანამედროვე ცხოვრებას ჩამორჩეს...

ჩვენ, რასაკვირველია, ძალიან შორს ვართ იმ თავმოტყუებისგან, თითქოს სავსებით შეგვეძლოს ამ დიდებულ საქმეს ვემსახუროთ. მაგრამ, თუ ჩვენ მიერ გამოჩეულმა საგანმა რამოდენსამე ახალგაზდას მაინც გაუღვიძა სურვილი ჩვენს წერილზე უფრო სერიოზულ თხზულებებს მიმართონ და ახალი დროის შესაფერი სოფლ-მხედველობა ეძიონ, ჩვენი მიზანი უკვე ნახევრათ მიღწეული იქნება; ხოლო, თუ ამასთანავე ჩვენმა წერილმა ცოტათი მაინც გაუადვილა მათ დედაენაზე განყენებული აზრების გამოხატვა (რადგან, რალა დასაფიცავია, რომ ამ მხრივ ჩვენი ახალგაზდობა,—და განა მართო ახალგაზდობა?!,—მეტის მეტათ ბორძიკობს),—მაშინ ჩვენ სავსებით დაკმაყოფილებული შეეიქნებით. *Feci, quod potui; faciant meliora potentes.*

ავტორი.

1901 წ. 12 ოქტომბერი.

დ. ახალ-სენაკი.

«ყოველივე მიმდინარეობს».
ჰერაკლიტი.

I

ცნობიერება და ცოდნა

ცნობიერება—აი, ის, დანაბამისა და სუბსტანციის მხრივ ჯერ კიდევ გაურკვეველი, მოვლენა, რომელიც უსაქიროეს იარაღს წარმოადგენს არსებობისთვის პროლოაში და, ამასთანავე, ამკობს და აგვირგვინებს ერთ უმთაერეს ნაწილს სულიერ არსებათა სამეფოსას.

ეს მოვლენა, მისი ზოგადი მომენტების მიხედვით, შეგვიძლია ავწეროთ როგორც გრძნობა და შექმნება ცოცხალი არსების მიერ საკუთარი სხეულის ცვლილებათა და, ამ უკანასკნელთა საშუალებით, იმ ცვლილებათაც, რომელნიც გარეშე წრეში ხდებიან. ამ გრძნობა-შემეცნების შედეგათ, თვითონ ცნობიარე არსების გონებაში, ჩნდებიან, გარეგან დაკვირვებისათვის მიუწვდომელნი, ნიშნები და შთაბეჭდილებანი ნაგრძნობისა, რომელნიც ლებულობენ ფორმას ცნებათა, წარმადგენათა და სხვა და სხვა-გვარის იდეებისას. ცნობიერების,—რომელიც ერთსა და იმავე დროს გრძნობა-შემეცნებაცა წრისა და სხეულის ცვლილებათა და მათი განსხვავებაცა.—ცნობიერების ამ ძირეულ თვისებათა თანახმათ, ეს ნიშნები და შთაბეჭდილებანი ერთმანეთს უღარდებიან: ემზგავსებიან და განსხვავდებიან, ანუ, უფრო ზოგადათ რომ ეთქვათ, შეიცნობებიან როგორც ერთმანეთის მზგავსნი ანუ განსხვავებულნი, „ივივენი“ ანუ „არა-ივივენი“. ამასთანავე და ამავე პროცესის

ძალით, იგინი ღებულობენ კერძო, სპეციალურ ორგანიზაციას, საურთიერთო კავშირსა და წეს-რიგს, რომელიც განსაზღვრულ დამოკიდებულებაში უდგას გარეშე წრისა და სხეულის იმ მოძრაობა-ცვლილებებს, რომელთ ნიშნებსა და შედეგებს ეს შთაბეჭდილებანი შეადგენენ. ამ პროცესების წყალობით გან-წესრიგებული და დაკავშირებული, ხოლო მეხსიერების ძალით შემავრებული და, თითქოს, პატრონის საკუთრებათ გამხდარი, გონებრივი მასალა წარმოადგენს იმას, რასაც ჩვენ ცოდნას ვეძახით, ამ სიტყვის უვრცელესი მნიშვნელობით.

ამ რიგათ, ცოდნა, თუ მას ერცელი აზრით გავიგებთ, თავისი ელემენტების მხრივ წარმოადგენს მეტათ-თუ-ნაკლებ რთულსა და სრულიად თავისებურს (სუბიექტიურს) გარდამანა-ბეჭდს გარეშე წრისა და სხეულის ცვლილებებისას; ხოლო თავისი მნიშვნელობით იგი შეადგენს პატრონისათვის ერთ უძლიერეს იარაღს და უსაჭიროეს საშუალებას გარეშე ქვეყნის იმ ცვლილებებთან შესაფერ-შესახამებლათ, რომელთა შო-რისაც იწყება, ისვენება და მიმომდინარებს ათასგვარ განსაც-დელითა და სათავდამცველო ბრძოლით მოცული სიცოცხლე-ყოველი სულიერი არსებისა. ამ აზრით ცოდნა შეადგენს საკუთ-რებას როგორც კაცისას, ისე ცხოველისას.

მაგრამ განვითარების უმაღლეს საფეხურზე, სახელდობრ, როგორც ადამიანის გონების ნაწარმოები, ცოდნა არ ჩერდება ამ უბრალო, პასივური „გარდამბეჭდვისა“ და შთაბეჭდილე-ბათა პასივურაჟვე „შეკავშირების“ პროცესებზე; არ იზლუ-დება იგი არც მარტო უტილიტარულ, საანგარო მოტივაციით თავისი ფუნქციებისა. არამედ, როგორც ძალი უმშვენიერეს პირობებში ჩაყენებული*), ის თან-და-თან ვითარდება, იმატებს და ვრცელდება, არა როგორც პასივური ძალი, შთაბეჭდილე-ბათა პასივურათვე მიმღები და შემნახველი, არამედ როგორც

*) ასეთ პირობებს წარმოადგენს, თანამედროვე მეცნიერების აზრით, უმაღლესათ განვითარებული ნერვიული სისტემა ადამიანისა, განსაკუთრე-ბით თავის ტვინი.

ძალია აქტიური, საკუთარ ინიციატივით და სურვილით გარეშე შთაბეჭდილებათა გასამრავლებლათ და შესაკრებლათ მიმართული. ამავე დროს, თუ მოაზრის სოციალური მდგომარეობაც ხელს უწყობს, ცოდნა თან-და-თან ახწვეს თავს წმინდა უტილიტარულ მოტივებს თავისდაცვისას, სცვლის მათ უფრო მაღალი, წმინდა ზნეობრივ, თავმომწონების მოტივებით, და, უკანასკნელ, თვით ამ შთაბეჭდილებათა შეკრება-განწესრიგების პროცესში ჰპოებს არა მხოლოდ იმედებს თავის დაცვისას, არამედ უღიადეს დანიშნულებას ადამიანისას და უმწვერვალეს სიამოვნებას თავის-თავათ.

აგეთია, საზოგადოთ, ის შინაგანი, ფსიხიური ნიადაგი, რომელზედაც ცენდება, იზრდება და ვითარდება კაცის ბუნების ერთი უუმაღლეს და უუფაქიზეს მოვლენათაგანი—ეგრეთ წოდებული „სიყვარულ-მისწრაფება სიბრძნისა და ჭეშმარიტებისადმი“—**ფილოსოფია**.

ახლა ვნახოთ, თუ: როდის და რა პირობებში, რომელ შინაგან ცვლილებათა და მისწრაფებათა გაელენის-ქვეშ იხადება ეს მოვლენა პირველათ და რა და რაგვარ ფორშებს ღებულობს იგი თავის განვითარების დროს, ერთი სიტყვით, როგორ ჩნდება იგი პირველათ და საითკენ მიისწრაფვის?

II

ფილოსოფია

თუ ჩვენს საკუთარს გამოცდილებას მივმართავთ, ან და ცნობილ ისტორიულ პირთა და ფილოსოფოს-მეცნიერთა ბიოგრაფიებს და ავტობიოგრაფიებს გადავთვალიერებთ, ყველგან შევხვდებით ერთ საზოგადო კანონს, საზოგადო მოვლენას. სახელდობრ, კოტათ თუ ბევრათ სერიოზული თავისჩენა იმ ინტელექტუალურ მისწრაფებისა, რომელსაც ჩვენ ფილოსოფია ეუწოდეთ, ყოველთვის ემჩნევოდა და შესაძლო ხდებოდა ადამიანის შეგნებულ ცხოვრების მხოლოდ განსაზღვ-

რულ საფეხურზე. და, სახელდობრ, მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარი პიროვნების შეგნება იმ ზომამდე განვითარდება ადამიანში, რომ ეს უკანასკნელი იწყებს უკვე საკმაოდ ნათლად გარჩევას თავის „მე“-სას გარეშე წრისა და ქვეყნისაგან, ამ უკანასკნელს უწყებს ცქერას როგორც რაღაც „გარეგანს“ და „მოპირდაპირეს“, — და როცა ჩვენი ცნობიერება, გარეშე ბუნების ან საკუთარი სხეულის და ცხოვრების რაიმე უჩვეულო ცვლილებათა ზედგავლენით, უნებლიეთ ჩერდება, ჰკრთება, ცვითრდება და იწყებს ფიქრს ამ ცვლილებათ შესახებ, — აი, მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ შეიძლება ადამიანის ცნობიერებას მკრთალათა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოველინოს ის ზოგადი კითხვები, რომელნიც ფილოსოფიურ კვლევის საგანს შეადგენენ. ასეთი კითხვებია ის, თუ: რა არის ეს გარეშე ქვეყანა? რა და როგორ წარმოებს იმაში? რას წარმოვადგენთ თვითონ ჩვენ, ადამიანები, და რა ალავი გვიკავია ამ ქვეყანაში? როგორი იყო ქვეყნისა და ადამიანის დასაწყისი და როგორი იქნება მათი ბოლო? რა აზრი აქვს მათ არსებობას და რა დანიშნულება მათ საურთიერთო დამოკიდებულებას და სხვა?...

რასაკვირველია, ფილოსოფიურ ცნობიერების განთიადის ეპოს, ფილოსოფიური აზრის პირველ გამოკრთომის დროს, არ შეიძლებოდა ეს კითხვები ყველანი ერთათ და ყველანი თანაბარის სიცხადით წამოყენებოდა ადამიანის ახლად ფეხ-ადგმულ გონებას. სავსებით და მთელი თავისი ძალ-ღონით ეს კითხვები ადამიანის ცნობიერებაში მხოლოდ თანდათან ჩნდებიან. ისინი ცხოველდებიან და ძლიერდებიან ხელ-ნელა და იმის მიხედვით, თუ რამდენათ უფრო და უფრო იფართოვებს ადამიანი გარეშე ბუნებასთან ურთიერთობა-დამოკიდებულებას, იმონებს მას და ბატონდება მასზე, ერთი სიტყვით, სცნობს საკუთარ ძალ-ღონეს და შედარებითს დამოუკიდებლობას, — ან და პირ-აქეთ, წვალდება და იჩაგრება გარეშე ბუნების და საზოგადოების რომელიმე მოვლენათაგან, სურს თავი დააღწიოს მათ და ვერ დაუღწევია. ორივე შემთხვევაში, ადამიანისთვის შესაძლო ხდება ასეთი მომენტი, როდესაც ის სოციალურ-

ეკონომიური და იდეოლოგიური ატმოსფერა, რომელშიაც იგი დაიბადა, აღიზარდა და მოქმედობს, მის ველარ დააკმაყოფილებს, მის ახალ მოთხოვნილებებს წინ გადაედობება და შეხუთავს. და, აი, სწორეთ ამ უმწვერვალეს სულისკვეთების დროს, როცა ჩვენი შინაგანი მსოფლიო თითქოს ორდება, ორ ნაწილათ იყოფა: წარსულათ და აწმყოთ, იმად, რაც იგი დღემდის იყო, და იმად, რათაც იმას სურს აწი იყოს,—აი, სწორეთ ამ მტანჯველ წუთებ ქვეშ ჩვენი ცნობიერება პირველათ ჰსვამს სერიოზულ კითხვებს კაცისა და გარეშე ქვეყნის არსებობის შესახებ, პირველათ იბადება ჩვენში მწვაფი ეჭვიანობა უოველითერზე—ეს დასაბამი ყოველი ნამდვილი ფილოსოფიისა—ექვიანობა თავისთავზე და სხვებზე, ექვი გარეშე ქვეყნის სინამდვილეზე; აქ პირველათ ისვდება კითხვები იმის შესახებ, თუ: ნამდვილათ არსებობს ეს გარეშე ქვეყანა, რომელსაც მე მივჩერებივარ, თუ ეს ყველაფერი სიზმარია და მოჩვენება? ნამდვილათ არსებობენ ეს ჩემი ნაცნობები, რომელთაც მე ველაპარაკები ან ასეთს თუ ისეთს ურთიერთობაში ვუდგები, თუ ესეც მოჩვენებაა? უკანასკნელ, ვარსებობ თვითონ „მე“ თუ არა?..

აქ კითხვების ჯაჭვი ერთბაშათ წყდება, ამას იქით წასვლა შეუძლებელია...

მაგრამ აქვე ედება საზღვარი ჩვენს ექვიანობასაც: თვითონ ის თვალსაჩინო და ექვიდაუდებელი ფაქტი, რომ ძე გეჭვიანობ, თვითონ ეს ფაქტი ეჭვიანობისა, როგორც განსაზღვრული კვეთება ცნობიერების, დახარჯვა გონებრივი ენერჯის, მთელი თავისი სიძლიერითა და სიცხადით მოწმობს და ასაბუთებს, თუ იმას არა, რომ ჩვენი სხეული ნამდვილათ არსებობს, იმას მაინც, რომ ნამდვილათ და თვალსაჩინოთ არსებობენ თვით ჩემი ცნობიერების პრაგმატიკა და მარგინალი: აზრები, გრძნობები და სურვილები,—ხოლო ამითი კი შორეულათ ასაბუთებს იმასაც, რომ ნამდვილათ არსებობენ ჩვენი სხეული და გარეშე ქვეყანა, რაგვარც აგეთნი, ესე იგი, როგორც „სხვანი“, მართალია ჩვენს ცნობიერებასთან შეკავშირე-

ბულნი, მაგრამ მის პროცეს-მოვლენათაგან განსხვავებულნი და, ამ აზრით, მისგან განცალკევებულნი და თვითარსი ობიექტები.

ასე, ანუ დაახლოვებით ასე, იწყება ხალხმე ყოველი სერიოზული ფილოსოფია; მაგრამ ისტორიას ახსოვს მაგალითები, როცა ფილოსოფია ეგვლაფერზე წინასწარ ექვ-დაუდებლად დაწყებულია (მაგრამ სრულად უქვით კი არა). ეს, ვგრეთ-წოდებული, გულ-უბრყვილო რეალიზმია.

ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევაში, ფილოსოფიური აზრის მსვლელობა, მისი უმთავრესი მიმართულება, საზოგადოთ, ყოველთვის ერთ განსაზღვრულ ტენდენციას იჩენდა და იჩენს. მთელ იმ რთულსა და მრავალფერ სუბიექტიურ მასალაში (შემეცნებათა, შთაბეჭდილებათა, ცნებათა და წარმოდგენათა სახით), რომელთაანაც ფილოსოფიას აქვს საქმე და რომელიც გარეშე ქვეყნის და საზოგადოების მოვლენათა თავისებურ-სუბიექტიურ ნიშნებსა და გარდმონაბეჭდს წარმოადგენს, — აი, ამ აწეწილ მასალაში ფილოსოფიური აზრი სცდილობს ერთობას და ერთგვარობას გამყინახას, მთელი ეს ხაოსური, არეულ-დარეული მასალა ერთს ან რამოდენსამე (დაც შეიძლება ცოცხლ) საზოგადო დასახამს დაუკავშარას*), ერთის ან რამოდენისამე საზოგადო პრინციპით შეაერთოს და გაანათოს. ხოლო ამ პრინციპის ამორჩევის დროს ფილოსოფიური შემოქმედება პირდაპირ დამოკიდებულია ფილოსოფოსის უძღაეკეს ფსიხიურ (გონებრივ და ზნეობრივ) განწყობალებაზე, რომელიც იმხანათ ფილოსოფოსის შინაგან მსოფლიოში გაბატონებულია

*) ფილოსოფიის ამგვარს მიდრეკილებას თანამედროვე მეცნიერება ვგრეთ წოდებულ „აზრთა ეკონომიის“ კანონით ხსნის. ეს კანონი თხოვლობს, რამდენათაც კი შეიძლება, შემცირებული იქნეს რიცხვი იმ საერთო პრინციპებისა, რომელთა საშუალებითაც ჩვენ გვსურს ცხოვრებისა და ქვეყნის მოვლენანი გავარკვიოთ. *Eritia non esse multiplicanda praeter necessitatem*, — ასე გამოხატა ეს კანონი უკვე ვილჰელმ ოკამმა († 1347 წ.). იხ. მ. მ. ფილიპოვის: *Философия Действительности* — გვ. 609. — Спб. 1897 г.

და რომელიც, თავის მხრივ, უმთავრესათ დამოკიდებულია და გამოწვევული (დადებითათ ან უარ-ყოფითათ) იმ საერთო სოციალურ-ფსიხოლოგიური ატმოსფერით, მთელის წინანდელის და აწმყო წოდებრივ კლასიურ და საოჯახო, სარწმუნოებრივ, ზნეობრივ და სამეცნიერო იდეოლოგიის ზედგავლენით, რომელშიაც ცხოვრობს თვითონ მოაზრე და რომელთანაც საბრძოლველათ და შესაფერ-შესახამებლათ ახლო იგი გამოდის.

ამ რიგათ, ფილოსოფია ჩვენ გვესმის, როგორც სააზრახვნა ზრახვისა, მთელი გონებრივ მასალის აღსნისა და გაერთიანებისადმი მიმართული, *) და, ამ მისწრაფებაში, მოაზრის უმთავრეს შინაგან (გონებრივ და ზნეობრივ) განწყობილებათაგან დამოკიდებული; ამ პროცესის ნაყოფად ჩვენ გვჩნება, ჩვეულებრივ, „ჩაღნა გაერთიანებული“, ან უკეთ რომ ვთქვათ, განსაზღვრული და ერთის (ან რამდენისამე) საზოგადოებრივებით გამსჭვალული სოფლმხედველობა და ცხახრების-შეგება. და, თუ ეს „გაერთიანებული ცოდნა“ ხელს გვიწყობს ქვეყნისა და ცხოვრების მოვლენები (რომლებთანაც ჩვენა გვაქვს საქმე), რამდენათაც შესაძლოა, ნათლათ დაგინახათ, წინასწარ ავწონ-გავზომოთ და პრაქტიკულ ცხოვრებაში წარმატების, შეგებადით ძათ,—იმდენათ იგი ჩვენ გვანიჭებს საარსებო ბრძოლაში უპირატესობას და გამარჯვებას, იმდენათ იგი ჩვენთვის სასარგებლოა და გამოსადეგი, ამდენათეე ის ჰარმონიულათ ეწყობა ჩვენი სულის მისწრაფებათა და მოთხოვნილებებს და, ამდენათეე, ჩვენც საშუალება გვეძლევა ამ „ცოდნის“ სასწრაფო-სინამდვილეზე, მის „ჭეშმარიტებაზე“ ვიქონიოთ მსჯელობა. ამ რიგათ: სასარგებლოება და აჩსებობისთვის ბრძოლაში გამოსადეგრობა,—აი ბოლოს და ბოლოს ულო-

*) თუ როგორ ესმოდათ სიტყვა „ფილოსოფია“ სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ფილოსოფოსებს,—ამაზე იხილეთ **О. К ю л ь п е в**: „Введение въ философію“, § 2, понятие философіи. Спб. 1901 г. изд. подъ ред. П. В. Струве.

ნიერესი საზომი ყოველი ფილოსოფიური ცოდნის „საქეშმარითისა“. მაგრამ ამ საზომს თან ახლავს კიდევ წმინდა ფორმალური საზომი, რომლის არსებითი მოთხოვნილება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ფილოსოფიური მოძღვრება, თავის კვლევა-ძიებისა და დასკვნების მხრით, არ ეწინააღმდეგებოდეს თავის თანამდროვე მეტოდებს კვლევას ძიებისას და უცვლელად განიხილოს აზრგებებისას. და რომელი მოძღვრებაც უფრო სავსებით აკმაყოფილებს ამ ორ საზომს «ქეშმარითობისას» (ერთს პრაქტიკულს და მეორეს ფორმალურს), იმდენათ ის უფრო ძლიერია სხვა. დანარჩენ მოძღვრებებზე, იმდენათ იგი ამ უკანასკნელებზე იმარჯვებს და თავის მიმდევართა წრეში „ქეშმარითი“ მოძღვრების სახელს იმსახურებს *)

ასეთი არის ფილოსოფია, და ახლა ვიკითხოთ: ემჩნევოდა და ემჩნევა რაიმე წარმატება ფილოსოფიურ სისტემათა ისტორიულ მსვლელობას, თუ, როგორც ზოგიერთები გვარწმუნებენ, ფილოსოფია დგას ერთ ალავას და იმეორებს ათასჯერ გადაღებულ ერთსა და იმავე მასალას?

III

პროგრესი ფილოსოფიაში

ამ საგნის შესახებ ფილოსოფიის მეისტორიეთა შორის სამი ტიპიური შეხედულება არსებობს.

ა) ერთი ამ შეხედულებათაგანი, რომელსაც, ჩვეულებრივ, სკეპტიკურ შეხედულებას უწოდებენ, სრულიად უარყოფს ფილოსოფიაში რაიმე პროგრესის ნიშან-წყალს. იგი გვარწმუნებს, რომ ფილოსოფიას არამც თუ არავითარი პროგრესიული ნაბიჯი არ წარუდგამს იმ კითხვების გარკვევის საქმეში, რომელსაც იგი ეხება, არამედ ვერც ვერასოდეს წარუდგამს,

*) შეადარე გეორგ ზიმმელის: „Объ отношеніи селекціоннаго ученія къ теоріи познанія,“ იხ. Дарвинистическая библиотека, вып. 1. გვ. 5—19.

რადგანაცაო — ბრძანებენ ამ შეხედულების მიმდევარნი — ფილოსოფიის კვლევა-ძიების სამთავრო არის სამთავრო „მიუწვდომელისა“ და „შეუვნებელის“,*) ხოლო მეტოდი, რომლითაც ის ხელმძღვანელობს, არის მეტოდი უვარგისი, არა-მეცნიერულ-ემპირიული, ვინაიდან „თავიანთ დასკვნებისადმი“ იგი მიიპართება მტკიცეთ დადგენილ დატებისაგან კი არა, ხილს სდებს ცნობილ ფაქტთაგან უცნობისადმი კი არა, არამედ ერთი უცნობიდან მეორე უცნობისადმი“ — და სხვა.**)

ჩვენ არ გამოეუდგებით ამ შეხედულების დაწვრილებით. გარჩევას; მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ბ-ნი ლიუისი, ავტორი ზემოთ მოყვანილ სიტყვებისა, ვერ იქცევა მთლად სამართლიანათ, ან უკეთ რომ ვთქვათ, ვერ იქცევა სულ მარჯვეთ და მოხერხებულათ, როცა ფილოსოფიას აწერს ვითომც ეს უკანასკნელი ხილს სდებდეს „ერთი უცნობისაგან მეორე უცნობისადმი“ და სხვ. ე; — ვინაიდან, უკეთუ ეს მართლა ასე ყოფილიყო, მაშინ გამოვიდოდა, რომ ფილოსოფია არსებულა მოვლენათა ასახსნელ-გასარკვევათ კი არა (იმ მოვლენათა, რომელთაც ჩვენ ცოტათ თუ ბევრათ მაინც გიწნობთ, მათი ფაქტისა მხრით მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში რომ აზროვნებაც გედაწაფერსებ მოხერხებოდა), არამედ ერთი რაღაც „უცნობის“ საშუალებით სხვა რაღაცა „უცნობის“ ასაღსნელათ და გასარკვევათ, ანუ, სხვანაირათ რომ ვთქვათ, ფილოსოფიას თვითონვე შეუქმნია, თურმე, როგორც საგანი თავის კვლევა-ძიებისა, ისე პრინციპები ამ საგნის გასარკვევ-გასაგნებათ და გასაერთიანებლათ, რაც, რასაკვირველია, აბსურდია...

მაგრამ, შეიძლება ჩვენ ვცდებოდეთ, შეიძლება ბ. ლიუისის სრულებით არ უნდოდა ის ვთქვა, რაც ჩვენ მის სიტყვებში დავინახეთ. და მართლაც მე-7 გვერდი მისი „ფილოსოფიის ისტორიისა“ თითქოს არღვევს ჩვენ-მიერ წარმოთქმულ აზრს

*) იხ. ა. გილიაროვის: „Что такое философия“... და სხვ. Вопросы Психологии и философии“ — იხ 1899 წლის მე-46 (1) წიგნში.

**) Люисъ: „Исторія философіи“, Спб. 1897 г. стр. 15.

მისი სიტყვების შესახებ. აქ ჩვენ ვკითხულობთ, რომ „როგორც პოზიტიურ ცოდნას, ისე ფილოსოფიასაც ერთი მიზანი აქვს — მოვლენათა აღსნაო“, — და ეს აზრი, თავისთავათ, საესებით ქეშმარიტია, მაგრამ იგი, ამავე დროს, რაღაც ვერ ურიგდება იმავე ავტორის დებულებას, ვითომც ფილოსოფიას მთლათ-ერთიანათ უცნობ სფერასთან ჰქონდეს საქმე, „სდებდეს ხილს; ნაცნობი ფაქტისაგან უცნობისადმი კი არა, არამედ ერთი უცნობისაგან მეორე უცნობისადმიო“ და სხე... მაგრამ, იქნება აქ სიტყვების უბრალო თამაშია და ცნებათა აღრევა? იქნება, სიტყვა „უცნობი“ ერთ შემთხვევაში სრულიად უცნობს აღ-ნაშნადეს, მეორე შემთხვევაში კი — უცნობს, მაგრამ სრულიად უცნობს კი არა, არამედ ერთი მხრით უცნობს, ე. ი. ცხოვ-რებისა და გარეშე ქვეყნის მოვლენებს? და, ვგონებ, სწორეთ-აგვითი უნდა იყოს ბ. ლიუისის ზემორე მოყვანილ სიტყვების აზრი. მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად იცვლება შეხედულება ფილოსოფიაზე და გამოდის, რომ ფილოსოფია ისე, როგორც პოზიტიური ცოდნა, მიისწრაფვის მოვლენათა აღსნისადმი, და ამ მიზნით, მსგავსად პოზიტიური ცოდნისა, აგი მიმართავს ხოლმე ჰიპოტეზებს, ჰიპოტეტიურ ცნებებს „სულის ბუნებისა“ და „ნიეთთა სუბსტანციების“ შესახებ, ხოლო ამ ჰიპოტე-ტიურ „სუბსტანციათაგან“ ხილსა სდებს სრულიად უცნობ საგნებისადმი კი არა, არამედ ქვეყნისა და ცხოვრების მოვ-ლენათადმი, რომელთაც ჩვენ ცოტათ თუ ბევრათ მაინც გაც-ნობთ. ე. ი. ამ მხრით, ფილოსოფია ნამდვილ ისე იქცევა, როგორც ის, რასაც ბ. ლიუისი „პოზიტიურ მეცნიერებას“ უწოდებს, ვინაიდან, რაკი ეს უკანასკნელი ფაქტების უბრა-ლო „შემოწმებას“ თავს ანებებს და მათ ახსნაზე გადადის, იძულებული ხდება იმწამსვე „მგონილობას“ მიჰყოს ხელი, სხვა და სხვა ჰიპოტეზებსა და ეგრეთ წოდებულ „მისაშველებელ ცნებებს“ მიმართოს. და ეს გადასვლ-გადმოისვლა ერთი ჰიპო-ტეზიდან მეორე ჰიპოტეზაზე, ერთი „მგონიობიდან“ მეორე, უფრო მტკიცე და უფრო სარწმუნო დებულებაზე, პოზიტიურ ცოდნაში, ასე გაგრძელდება სწორეთ. იმ დრომდე, სანამ არ

გამოიძვებნება ერთი მისთანა ჰიპოტეზა, მისთანა „მისაშველებელი ცნება“, რომელიც, თანამდროვე ფაქტიკურ მასალისა და სამეცნიერო საშუალებათა მიხედვით, ყველა უწინდელ ჰიპოტეზებზე უფრო სარწმუნო და უფრო დამაკმაყოფილებელი გამოდგება. ასე იქცეოდნენ ფილოსოფიური სისტემებიც და, ამ მხრით, სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, იგინი პოზიტივურ ცოდნაზე მაინცდამაინც ბევრათ მეტს არც-კი სცოდავდნენ: ისინი, როგორც პოზიტივური მეცნიერებაც, გადადიოდნენ ხედვითი ცნებაზე და ჰიპოტეზიდან ჰიპოტეზაზე კი არა, არამედ ხედვითი ცნებიდან ფაქტებზე და ჰიპოტეზიდან მოვლენებზე. და თუკი შეიძლება ზოგიერთი მეტაფიზიკ-ფილოსოფოსები გაფაქტყუნოთ რაშიმე,—ეს სულაც იმაში კი არა, თითქოს მათი სავალი გზა სრულადად ანტი-მეცნიერული ყოფილობის და გამოცდილებითი ნიადაგს მოკლებული, *)—არამედ იმაში, რომ, ანსებათად ემპირიული გზათ ძაგადა, ფილოსოფია, მეტაფიზიკოსთა და დოღმატიკ-ფილოსოფოსთა ხელში, ხშირათ ამ თავის ემპირიულ ხასიათს გეჲ ხედავდა ხოლმე, რისგამოც იგი უყურადღებოთ სტოვებდა თავის ჰიპოტეტივურ ცნებათა ემპირიულ მხარეს, მათის ემპირიული ელემენტების შემოწმებას. ამ ჯურის მოაზრენი თავიანთ მოძღვრებათა საშენებელ მასალას, რასაკვირველია, გონების სალაროდან იღებდნენ,—ეს გონება კი, როგორც თავისი ელემენტების, ისე თავისი ფორმების და პრინციპების მხრივ მთლათ-ერთიანად ისტორიულ-

*) ვინაიდან—განმეორებით ვიტყვით—ეს იმას ეგვანებოდა, ვითომც ფილოსოფია თავის „მისაშველებელ ცნებებს“ და ჰიპოტეზებს არა-არა ისაგან ჰქმნიდეს, რაც, რასაკვირველია, აბსურდია, რადგან დღეს ყველასათვის ცხადია და ამაში, მგონია, ბ-ნი ლიუისიც დაგვეთანხმება, რომ ელემენტებს თავისი ჰიპოტეზებისათვის ფილოსოფია ყოველთვის აზრისა და ცნობიერების დატებიდან იღებდა, იმ დატებიდან, რომელნიც—შემეცნებათა, წარმოდგენათა და სხვა და სხვა გვარის იდეების სახით—ყველანი ემპირიულ-გამოცდილებითნი არიან, ესე იგი ადამიანის ცნობიერებაში იგინი ჩნდებიან როგორც შედეგნი კაცის გონების და გარეშე ქვეყნის მუდმივ საურთიერთო ზედმოქმედებათა.

ემპირიული იყო, *) — ხოლო თვითონ კი ეგონათ და სხვებიც სურდათ დაერწმუნებიათ, რომ ჩვენი ფილოსოფიური ნაწარმოებნი „წმინდა გონების“ ნაყოფი არიან და ემპირიულ-გამოცდილებითი ნიადაგს მოკლებულნი. მაშასადამე: **ნაკლები უკრადლებს თავას ელემენტების ემპირიულ ბუნებისადმი**, — აი, რა შინა დამარხული ყველა მეტაფიზიკურ სისტემათა სისუსტის უმთავრესი მიზეზი და არა იმაში, რაშიაც მათ ლიუისი ამტყუნებს.

ბ) სკეპტიკურ შეხედულებაზე უფრო საფუძვლიანი არაა არც მისი მოპირდაპირე შეხედულება, რომელსაც, შეგვიძლია,

*) «ის, რასაც ადამიანში, ჩვეულებრივ, გონებას ეძახიან, — ამბობს საფრანგეთის ცნობილი პოზიტივისტი ტენი, — არის მხოლოდ ჩვეულებრივი მანერა აზროვნებისა. თვითეულ ჩვენგანში არსებობს განსაზღვრული ჩვეულება, რომელიც ჩვენ ხელ-მძღვანელობას გვიწევს: ჯერ ერთსაგანს აქცევს ჩვენს ყურადღებას, მეორე — მეორეს, ერთგან სახეთა წყობას გამოიწვევს, მეორეგან წყობას განყენებულ იდეებისას, მესამეგან — დაცინვას, — ასე რომ ამ ჩვეულებას კაცი ემორჩილება ყოველთვის, რა საქმეშიაც გინდა იყოს გართული, ემორჩილება ნებაუნებლიეთ და აუცილებლათ, შიტომ რომ ეს აუტოლებლობა მას მეორე ბუნებათ, ნებათა და გემოვნებათ გადაქცევი. მეცნიერები იმას ეძახიან მეტოდს, ხელოვნები კი — ტალანტსაო“. П. Тэнъ, Критическіе Опыты, Спб. 1869 г. стр. 76.

„აზროვნების ფორმებიო (როგორც მაგალ., შთაბეჭდილებათა და შემეცნებათა შეკავშირების ნიჭი, ლოღიკური პრინციპები იგივეობისა, წინააღმდეგობისა და სხვა.), — ამბობს მეორე ფილოსოფოს — მეცნიერი, სპენსერი, — თანამებთან მემკვიდრეობით მიღებულს და შეგროვებულს ცვლილებებს აგებულებისას, რომელნიც დაფარულათ ყოველ ახალ-შობილ ინდივიდუუმში იმეკონებიან და თანდათან მისი გამოცდილებისა და მიხედვით ვითარდებიან. მათი პირვანდლი აღმოცენება, მაშასადამე, მაინც ემპირიულია: ნივთთა შორის არსებული ერთმანეთისადმი ურყეველი და საყოველთაო დამოკიდებულებანი განვითარების დროს უნდა ჰქმნიდენ ურყეველსა და საყოველთაო კავშირებს ორგანიზმშიაც; აბსოლიუტურ გარეგან ერთფეროვნებათა მუდმივი განმეორება ჰბადებს გვარში მიუცილებელ ფორმებს სწავლა-ცოდნისას (познанія) და განუყრელ კავშირებს აზრებისას, — ფორმებსა და კავშირებს, რომელნიც წარმოადგენენ წმინდა შემსავალს, მოტანილს, ვინ იცის, რამდენ მილიონ თაობათა გამოცდილებით მთლათ ამ უკანასკნელ დროებადისო“. იხ. Проф. Г. Гейфлингъ, „Исторія Позитивной философіи“, ჟურნალ „Образованіе“-ში, 1898 წ. № 12, стр. 98—99.

ხოლო გეორგ ზიმმელი დაძმენს: „თვით ფორმები ჩვენს აზროვნებისა, რომელნიც ჰქმნიან მსოფლიოს, როგორც წარმოდგენას

უსუსურ აბტიმისტურად შეხედულება დავარქვათ. ეს შეხედულება გვარწმუნებს, ვითომც ფილოსოფია, გაგებულნი როგორც სწავლა „პირველ-დასაბამებისა“ და „აბსოლიუტებზე“, იმ თავითვე პრაგმატიკის გზას აღვა და ყოველ მოზრდილს სისტემაში სამარადისო აღმოჩენანი შეგვეძინაო. ფილოსოფიის მეისტორიეთა ამ ჯგუფს ეკუთვნიან ეგრეთ-წოდებული ეკლექტიკ-მეისტორიენი (კუზენი, ალფრ. ფულიე და სხვ.), რომელნიც ყოველ ფილოსოფიურ სისტემაში ჰკონებენ საყურადღებო განძს და გვირჩევენ, ყოველ-ფილოსოფიურ მოძღვრებიდან ამოვიღოთ და ამოვარჩიოთ რაც რამ იმათში საუკეთესო, ძვირ-

(миръ, какъ представлѣнiе), განისაზღვრებიან პრაქტიკულ მოქმედებათა და წინაუკმოხედ—მოქმედებათა გავლენით, იმ მოქმედებათა და ზედ-მოქმედებათა გავლენით, რომელნიც ფორმას აძლევენ (формируютъ) ჩვენი სულის, ისე როგორც ჩვენი სხეულის ორგანიზაციას, თანახმათ ევოლიუციის მიუცილებელ კანონებისა“ და ცოტა ზემოთ: „ჩვენს აზროვნებაში,“ თანახმად სარგებლობის პრინციპისა, ჩნდებიან განსაზღვრული ნორმები მისი მოქმედებისა, ... რომელნიც, თუ მათ აბსტრაქტულად გამოვჩაბავთ, „ლოლიკის კანონებით“ გვეჩვენებიანო. იხ. „Дарвинистическая Библиотека, вип. 1, Дарвинизмъ и Теорiя познания, Георгiя Зиммеля, Фридриха Нитце и др. Спб., 1899 г. стр. 18—19.

ყოველივე აქ თქმულის მიხედვით, მთლათ უსაფუძვლოთ არ უნდა ჩაითვალოს სასტიკი, მაგრამ საკმაოთ საბოთიანი მსჯავრი ა. გილიაროვის კანტის კრიტიკული ფილოსოფიის შესახებ (იხ. „Вопр. Психол. и философи“ 1899 г. № 46(1)). რომ ეს უკანასკნელი, როცა „წმინდა გონებას“ არჩევს კრიტიკულად, თავს ნათელ ანგარიშს არ აძლევს, თუ რას უშვრება იგი კრიტიკასო; რადგან, თუ მართლაც აზროვნების თვით ფორმებიც კი ემპირიულ-გამოცდილებითი ჩამომავლობისანი არიან (აზროვნების შინაარსზე ნულარას ვიტყვით, რადგან მის ემპირიულ ჩამომავლობას სავსებით ეთანხმება თვითონ კანტიც. შეად. Н. Гротъ, Основн. моменты въ разв. нов. философи, 1894 г. გვ. 244 და М. М. Филипповъ, Эм. Кантъ, его жизнь и дѣятельность, 1893 г. стр. 77), უკეთეს ფორმებიც კი ჩვენი ინტელექტუალურა განვითარების და ხანგრძლივი გამოცდილების ნაყოფს წარმოადგენენ,—სჩანს, მაშასადამე მეტად უხერხულად უნდა ჩაითვალოს—რაიმე წყმინდა (როგორც აბსოლუტურად თანდაყოლილ) გონებაზე სჯა-ბასი, რადგან ასეთი გონება არსად არსებობს და, მაშასადამე, მისი კრიტიკულად გარჩევაც უბრალო გაუგებრობის ნაყოფია.—ამისდა მიუხედავად, კანტის კრიტიკული მეტადი; რასაკვირველია, თავის ბუმბერაზულ მნიშვნელობას არ ჰკარგავს იმავე გნოსეოლოგიური კითხვების გარკვევაში: კანტი იყო მხოლოდ ნაკლები ისტორიკოსი, მაგრამ შესანიშნავი ანატომი გონებისა.

ფასი და „ქეშმარიტია“, ხოლო ამ სისტემათა შორის არსებული განსხვავებანი და წინააღმდეგობანი კი ერთმანეთს დაფუძნდნოვით და შეფუთრიგით. და ამ მიზნის მისაღწევით ეს ბატონები, თან, რაღაც საგულთმისნო რეცეპტებსაც კი იძლევიან, როგორც, მაგალითად, ალფრედ ფულიეს „საშუალო ტერმინები“, რომლებმაც, ვითომ, უნდა შეარიგონ და ერთმანეთს დაუახლოვონ ერთი-მეორის „მოწინააღმდეგე იდეები“ და სხვ.*) ეს „საშუალო ტერმინები“, როგორც ვხედავთ, სწორეთ რომ საუცხოვო გამოგონებაა!.. თურმე, ნუ ბრძანებთ, შესაძლო ყოფილა, კაცმა ამ რიგათ იხიბრკედელაოს, მოწინააღმდეგე აზრებ-იდეები უბრალო ბგერებით-ტერმინებით ერთმანეთს შეფუთიგ-დაუახლოვოს და, მთლიათ ამ „სერიოზულ“ ოპერაციის შემდეგ, კიდევ წადილი ჰქონდეს ქეშმარიტ მოაზრეთ ითვლებოდეს, ფილოსოფიის მესტორიეთა სახელი დაიმსახურას!?

მაგრამ ასეთი „ფილოსოფოსობა“, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ასეთი „ქკუა-გონების-დატანჯვა“, ეკლექტიკებისთვის საესებით შესაფერისი, სრულიად ხელს არ მისცემს არც ერთ საფუძვლიან მოაზრეს, რომლის შეხედულებითაც ეკლექტიკური მეტოდით ფილოსოფიაში პროგრესის „დამტკიცება“, თუ სრულიად შეუძლებელიც არ არის, — ყოველ შემთხვევაში, მეტის-მეტათ საიბედიოა და მტკიცე საფუძველს მოკლებული.

ორივე შეხედულება: როგორც სეპტიკური, ისე ოპტიმისტური, თუმცა სულ სხვა და სხვა დასკვნას ადგიან ფილოსოფიის წარმატების შესახებ და, ამ მხრით, დიამეტრალურათ განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან, — ამავე დროს თითქმის სრულიად არ განიჩხვვიან ერთმანეთისაგან ფილოსოფიის საგნის განმარტებაში. ეს განმარტება, რა თქმა უნდა, მეტის-მეტათ

*) Альф. Фуллье, Исторія Философiи Москв. 1894 г, стр. 10. — „чтобы увеличить сближеніе (между филос. системами), нужно искать среднихъ терминовъ между противоположными идеями“ и „постепенно уменьшать пропасть, раздѣляющую эти ученія“. ხაზგასმული ჩვენგანაა.

ცალმხრივია და უკიდურესი. ზოგიერთი სკეპტიკები (მაგალითად გილიაროვი) და ოპტიმისტებიც ფილოსოფიას უყურებენ, როგორც სწავლას, რომელიც მიისწრაფვის მიაღწიოს და აღსნას „მიუწოდმელი“ და „აბსოლიუტური“ საგნები, როგორც არიან, მაგალითად, კითხვები იმის შესახებ, თუ: რას წარმოადგენს თავიანც სუბსტანციის მხრით „ცოდნა, სიცოცხლე, მატერია, სული“, *) რა არიან „ნივთები თავისთავად“, ანუ, როგორც ამბობს ფულიე, — ეს ნიღაბ ჩამოთარებული ეკლექტიკი, თუმცა იგი სულით და გულით მოწადინება დაგვარწმუნოს, რომ ეკლექტიკები ჭირივით მძულანო, — „არსებითი მხარე ფილოსოფიისა... იმაში მდგომარეობსო, რომ ფილოსოფია აღის ქვეყნიერობის პირველ პრინციპებადღე, იმადღე, რაც არათრისგან დამოკიდებული არ არის და რისგანაც ყველაფერი დამოკიდებულია, ესე იგი ამბსოლიუტამღე. რას წარმოვადგენთ ჩვენ ჩვენდა თავად, ჩვენი არსებითი მხრით?... რა არის აბსოლიუტური ქეშმარიტება?... რა არის მშვენიერება თავის თავად?... უკანასკნელ, რა არის ღმერთიო?“ **) და სხვ. აი, კითხვები, რომლებიც პესნიმისტთა და ოპტიმისტთა აზრით, ვითომ, შეადგენდნენ უკთად უკთს საგანს ფილოსოფიისას. მაგრამ საზოგადოდ ამ ნაირი მსჯავრი ხომ ცილის-წამება იქნება მთლად ფილოსოფიაზე, რადგან ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ ფილოსოფიურ სისტემას, რომელიც ყველა ამ „მეტაფიზიკურ სუბსტანციებზე“ მსაფლად და მარტო მათი გულისათვის ზრუნავდეს და კი არ სურდეს მათა შემწეობათ ქვეყნისა და ცხოვრების მოვლენები გაარკვიოს. ამას, მგონია, ვერ უარჰყოფს ვერც ზემორე მოყვანილ სიტყვების ავტორი, ფულიე, რადგან რამოდენიმე სტრიქონ ქვევით იგი იძულებულია აღიაროს, რომ „ერთი სიტყვით, მეტაფიზიკა არის კაცის გონების მისწრაფება — მსაფლნათა საძირემღე ჩავიდეს, ანუ მათ მწვერვალზე

*) А. Гиляров, Что-такое философия да სხვ. стр. 107 и 112.

**) А. Фулье, История философии, стр. 484.

აღვიდესო^{*)}) და სხვ. მაგრამ ბატივცემული ეკლექტიკი, მგონია, ვერც კი ამჩნევს, რომ ეს ახალი განმარტება მეტის-მეტად ჰხუთავს მის ზემორე მოყვანილ ცალ მხრივ აზრს ფილოსოფიის საგნის შესახებ. აქედან იბადება აზრთა ორჭოფობა და გაუგებრობა, რომელსაც თავს მართო ელექტიკი თუ დააღწევს და ისიც მხოლოდ „საშუალო ტერმინთა“ ყოვლად შემძლებელობის იმედით; ხოლო სკეპტიკოსს კი სხვა რაღა დარჩენია, თუ არა ის, რომ ლიუისთან ერთად განიმეოროს: აქ, ესე იგი, ფილოსოფიურ საგანთა კვლევა-ძიებაში, „საქმე სიძნელეში კი არ არის, არამედ შეუძლებელობაშია“,**) ანუ უფრო მდამბიურად რომ ვთქვათ, იმ გზით, რომლითაც ფილოსოფია მიდის, უკანასკნელი ვერასოდეს ვერ შეიძლებს თავის კვლევის მიზანს მიაღწიოსო და სხვ...

მაგრამ, კმარა!..

დავულოცოთ ბბ. ეკლექტიკებს, რამდენიც ხასიათმა გაუჭრასთ, თავიანთ საყვარელ „საშუალო ტერმინთა“ ხმარებაში ივარჯიშონ; სკეპტიკოსებს ვუსურვოთ უფრო ფართეთ და უფრო ფხიზლათ ჩაჰკვირვებოდნ იმ საგანს, რომლის გამოკვლევას ან უარის-ყოფასაც შედგომიან... ჩვენ კი, უმჯობესი იქნება, ახლა ის შეხედულება განვმარტოთ ფილოსოფიური აზრის წინსვლა-წარმატების შესახებ, რომელიც, ეგონებთ, სხვა ყველა შეხედულებაზე უფრო სწორი, უფრო სარწმუნო და ისტორიულ ფაქტებთანაც უფრო დაახლოვებული შეხედულებაა.

ბ). ეს შეხედულება, რომელსაც შეგვიძლია **ასტორიული-ეკლექტიკური** შეხედულება ვუწოდოთ, ფილოსოფიურ სისტემათა ისტორიულ მსვლელობას უყურებს ისე, როგორც მტრულს, კანონ-მამყიდ პრაქტისს მოაზრე კაცობრიობის ერთი ნაწილის გონებრივ განვითარებისას, როგორც იმ ნაწი-

*) იქვე. გვ. 485, —მეთაფიზიკა და ფილოსოფია მისი ტერმინოლოგიით ერთი და იგივეა.

**) Люисъ, Исторія философіи, стр. 4.

ლისას, რომელიც ამ სისტემებს ჰქმნიდა, ისე იმ ნაწილისას, რომელიც მათ შეგნებულათ ითვისებდა და თავისებურად გარდაქმნიდა ხოლმე.

ამ შეხედულების თვალით ძალიან ადვილი ხდება იმ კითხვებზე მიგება, თუ: როგორ უნდა ვუყუროთ სხვა-და-სხვა ფილოსოფიურ სისტემებს, რომელნიც ევროპის აზრთა ისტორიულ მიმდინარეობაში სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა გარემოებათა შორის იბადებოდნენ; და, აგრეთვე, ძალიან ადვილი ხდება მიგება იმ კითხვაზედაც, თუ: სად და, სახელდობრ, რაში უნდა ვეძიოთ ის პროგრესიული ელემენტები აზრისა და ცნობიერების, რომლებსაც ფილოსოფია მთელი საუკუნოების განმავლობაში ნელ-ნელა აღწევდა.

უკვე იმ განმარტების ძალით, რომელიც ზემოთ ფილოსოფიის შესახებ წარმოვთქვით (ფილოსოფია არის „სააზროვნო პროცესი“), თავისთავათ იგულისხმება, რომ ფილოსოფია, როგორც ყოველი ცოცხალი პროცესი, უსათუოთ მოძრაობაში უნდა ყოფილიყო. ხოლო, როგორც მოვლენა, განსაზღვრულ ისტორიულ და ფსიხოლოგიურ ნიადაგზე აღმოცენებული და ამევე ნიადაგიდან მასალისა და შინაარსის მიმღები, იგი, ამასთანავე, უსათუოთ უნდა გამოცვლადიყოს, როგორც ეს ნიადაგი გამოიცვლებოდა თუ არა. აქედან თავის-თავად იბადება დასკვნა, რომელიც სწორეთ ზედ-გამოჭრილი პასუხია იმ კითხვისა, რომელიც ამ თავის დასაწყისში დავაცენთ ფილოსოფიური აზრის წინსვლა-წარმატების შესახებ.

სახელდობრ, რაკი დღეს ყველასაგან უცილობელ ჭეშმარიტებათაა მალებული ის საკმაოთ სარწმუნო და თვალ-საზიწო მოვლენა, რომ კაცთა საზოგადოებრივი ცხოვრება, საერთოთ, მუდამ მოძრაობასა და განვითარებაში იყო, ესე იგი სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალათა გაზრდა-განვითარების წყალობით და გარეშე ბუნებაზე გაბატონებით, ადამიანი თან-და-თან იფართოვებდა და იმრავალმხრივებდა, იმყარებდა და იწყობებდა თავიანთ განწყობილებას თავის-თავთან, სხვებთან და გარეშე ბუნებასთან, თან-და-თან იმდიდრებდა.

გონებრივ სალაროს და იმრავლებდა ფაქტიურ მასალას ცნობიერებისას,—ვიმეორებთ, რა კი დღეს ყველასაგან აღიარებულია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება და, მაშასადამე, სოციალური ფსიხოლოგია (საზოგადოებრივი გრძნობანი, მისწრაფებანი და შეხედულებანი)—ეს ურეალურესი საფუძველი ყოველი სოფლ-მხედველობისა და ფილოსოფიის—მუდამ იზრდებოდა და ვითარდებოდა, იცვლებოდა და წინ მიდიოდა, აქედან, ცხადია, ჩვენც საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ უსათუოდ მაკმაზაში უნდა ყოფილიყო, გამოცვლილიყო და განვითარებულიყო ფილოსოფია, როგორც ერთ-ერთი ნაყოფი და შემადგენელი ნაწილი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ფსიხოლოგიისა.

და, მართლაც, იზრდებოდა პოლიტიკური და საწარმოო ძალები საზოგადოებისა, ჰმატულობდა კაცის ბატონობაც გარეშე ბუნებაზე, იცვლებოდა კაცთა შეხედულებაც ამ უკანასკნელზე. ბევრი იმ მოვლენათაგანი, რომელნიც კაცს წინედ საიდუმლოებით მოცული და გაუგებარი ეჩვენებოდა, ახლა, რაკი მის მფლობელობასა და ბატონობის ქვეშ შედიოდა, მისთვის ხელმისაწვდომიც ხდებოდა და ადვილ-გასაგნები. ამასთანავე ჰმატულობდა გონებრივ ძალთა გამჭრიახობაც და ცნობის-მოყვარეობა. მაშინ კი ძველ სოფელმხედველობას (ამა თუ იმ მოძღვრებაში განხორციელებულს) აღარ შეეძლო ურყევლად დარჩენილიყო; ახლა იგი ვეღარ აკმაყოფილებდა განვითარებული გონების მოთხოვნილებებს, ვეღარ ურიგდებოდა, ეწინააღმდეგებოდა ახლად შეგროვილ ფაქტიურ მასალას ცნობიერებისას; შემდეგში, ეს წინააღმდეგობა ნამდვილ ანტაგონიზმით იქცეოდა, და ის, რაც ერთ თაობას ან მოაზრეს შეურყვეველ ჰეშმარტებად ეჩვენებოდა, ახლა სხვებს ყურადღების ღირსადაც აღარ მიაჩნდათ. რაც უწინ ერთისთვის ცხადი იყო და თვალსაჩინო, დღეს იგი სხვებისთვის საეჭვო ხდებოდა და ბნელით მოცული.—ძველდ მოძღვრება თან და თან თავის მომხიბვლელ ძალას ჰკარგავდა, მის ადგილას სხვა ახალი მო-

ძღვრება ბატონდებოდა, ამ უკანასკნელს კიდევ სხვა ახალი შეცვლიდა და ასე თან მიყოლით, დაუსრულებელად.

ასეთი იყო ფილოსოფიურ აზრთა თან-და-თანა მსვლელობა და, ამ მხრით, სრულიად სამართლიანად იქცევინ ის მოაზრენი, რომელნიც კუნო-ფიშერთან ერთად „ყოველ ფილოსოფიურ სისტემას“ უცქერენ ისე, როგორც ფილოსოფიას თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე“, და უარ ჰყოფენ მას, «როგორც დატოვებს თუ არა ფილოსოფია ამ საფეხურს და სხვა უმაღლეს ფორმაში გადადის». *)

მაგრამ ეს უკანასკნელი წინადადება იმ აზრით კი არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ყოველი ფილოსოფიური სისტემა, რაღაც განსაზღვრული წრისა და დროების ნაწარმოები იყო, უსათუოთ ამ წრესთან და დროებასთან ერთათ უნდა დასამარებულიყო უნიშან-კვლოთ და მომავალი თაობისთვის უმნიშვნელოთ. მით უმეტეს არ შეიძლება ეს ითქვას იმ სოფლმხედველობათა შესახებ, რომელთაც ერთ დროს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონებიათ. «სოფლმხედველობანიო, — ამბობს რიხარდ ფალკენბერგი, — რომელნიც კაცობრიობის სხვა და სხვა დროის სულის საერთო განწყობილებათაგან აღმოცენებულან, როგორც ყვაილნი საერთო კულტურული პროცესისა, იმდენათ აზრები კი არ არიან, რამდენადაც რიტმები აზროვნებისა, ტეორიები კი არ არიან, არამედ განსაზღვრული საშუალებანი ქვეყნიერობის წარმოსადგენათ და მის შესაფასებლათ („способы смотреть на миръ и оценивать его“); ჩვენ შეგვიძლია იმათ შესახებ ვიკამათოთ, შეგვიძლია მთლათ მივიღოთ იგინი ანუ უკუვავდლოთ, მაგრამ შეუძლებელია რაიმე საბუთებით დავამტკიცოთ ანუ დაეარღვიოთ». **) ამ შეხედულების ძალით, ამა თუ იმ ფილოსოფიურ მოძღვრების შესახებ მხოლოდ იმ აზრით თუ შეგვიძლია ვთქვათ: „მოკედაო,“

*) Куно-Фишеръ, Исторія Новой Философіи, 1862 г. Спб. т. I лекція 1.

**) Р. Фалькенбергъ, „Исторія Новой философіи“, новый переводъ Ниоземцева. Спб. 1898 г. стр. 6—7.

რომ ყოველი მოძღვრება მნიშვნელობას ჰკარგავს, როგორც მტელი და დაძთაგებუდი სოფლმხედველობა, როგორც იყო ის თავის ავტორისათვის, თავის წრისა და ღროისათვის. ამისდა მიუხედავად, ყოველი მოზრდილა ფილოსოფიური მოძღვრება, როგორც ადამიანის სულის-კვეთება, ცხოვრებისა და ქვეყნიორობის საიდუმლოებათა ფარდის ასახდელათ მიმართული, თითქმის ყოველთვის უტოვებდა მომავალ კაცობრიობას საკმაო ისტორიულ გამტყდამებს და ზოგჯერ მეტის-მეტათ ძვირფას მონახუებებსაც...

მაგრამ, უსაფუძვლობა რომ არავინ შეგეწამოს, საჭიროა ისტორიას წაეხედოთ.

ს. გარგაძე.

(დასასრული იქნება)

არსეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი*)

დეტალებს:

- ქ. გონიერაშვილი ბერი:
- ქ. გონიერაშვილი იორდანე:
- ქ. გონიერაშვილი თამაზა:
- ქ. პაპუაშვილი პაატა:
- ქ. ჩირქინაშვილი ნასყიდა:
- ქ. ჩირქინაშვილი ზაქარა:
- ქ. ჩაგელიშვილი ნასყიდა:
- ქ. აღდგომლიშვილი ბიძინი:
- ქ. აღდგომლიშვილი თამაზა:
- ქ. მაზმნიშვილი ზაქარია:
- ქ. გივიაშვილი გიორგი:
- ქ. გელაშვილი პაპუნა:
- ქ. დემეტრაშვილი დემეტრა:
- ქ. პაატაშვილი ნიკოლოზ:
- ქ. პაატაშვილი იესე:
- ქ. ნინიაშვილი ბერი:
- ქ. იქაცაძე თამაზა:
- ქ. პაპიძე სეხნია:
- ქ. კახოლაძე გიორგი:
- ქ. სამხარაძე დათუნა:
- ქ. ბასილიძე სეხნია:
- ქ. ბასილიძე ბეგუა:
- ქ. გორგომელიძე ბერი:
- ქ. გორგომელიძე ბიძინა:
- ქ. კობაძე იოსებ:
- ქ. კობაძე პაპუნა:

*) იხ. „მოამბე“ № X.

დრამა ბოგანოს ნახევარ კოდი: სხვას მთელი: სახუცო მარ-
ჩილი სამი:.

ფდგეს

- ქ. რამაზიშვილი ლევან: თავადი: საწირავი სძეს:.
- ქ. რამაზიშვილი გიორგი თავადი: საწირავი სძეს:.
- ქ. რამაზიშვალლი ზურაბ: თავადი: საწირავი სძეს:.
- ქ. პაპიაშვილი ბერი:.
- ქ. პაპიაშვილი ზაქარა:.
- ქ. პაპიაშვილი გასიტა:.
- ქ. პაპუნაშვილი პაპუნა:.
- ქ. ოთიაშვილი დათუნა:.
- ქ. ჭაუჭიძე მახარა:.
- ქ. ბინდიაშვილი ბერი:.
- ქ. ბუზალაძე პაპუნა:.
- ქ. ბადიაშვილი უსიბა:.
- ქ. ლაშქარაშვილი დათუნა:.

დრამა ბოგანო ნახევარ კოდსა: სხვა მთელს კოდს იღებს:
ამათი სახუცო: აბაზი. ხუთი.

13

დაწვევდიღს აღშო

- ქ. თვალთკაკაშვილი საბა:.
- ქ. ნებიერიძე დავითა:.
- ქ. გრიგალაშვილი თუდარჩა:.
- ქ. გიგინაშვილი გიორგი:.
- ქ. გოჩაშვილი გიორგი:.
- ქ. გოჩაშვილი სეხნია:.
- ქ. კვინიკაძე თამაზა:.
- ქ. კვინიკაძე ბერი:.
- ქ. დალაქი ვახუშტი:.
- ქ. პირველაშვილი გიორგი:.
- ქ. პერენიძე მამუკა:

- ქ. მეზვრე ხახუტა:.
- ქ. კაპანაძე შოშიტა:.
- ქ. ჭურაძე გიორგი:.
- ქ. ჯვარელიძე ლაზარე:.
- ქ. დვალი ნადირა:.
- ქ. დემეტრე:.
- ქ. ხუცო:.
- ქ. ჟოჟუაშვილი ბეჟუა:.
- ქ. დათუნა:.
- ქ. ატოცელი გიორგი:.
- ქ. ატოცელი ზახუტა:.

22

დრამის მაგიერად: კვამლზე თითო შაური: ან კანაფი: ან ტილო: ამათს ხუცეს აძეს ყოველს წელიწადს ორა ლიტრა კანაფი:.

ქინძათს:

- ქ. გოშფარიშვილი გოშფარ: საწირავი აძეს:.
- ქ. მრაჭველი შამუკა:.
- ქ. მრაჭველი გიორგი:.
- ქ. ქოჩორაძე ნასყიდა:.
- ქ. ქოჩორაძე შიო:.
- ქ. ქოჩორაძე ბეჟუა:.

6

ესე და დუმაცხო ერთი სახუცო არის: დრამაც ისე სძეს: სახუცო სამი [იბაზი კუამლზედ].

ნაბახტეკს:

- ქ. გოგიბაშვილი იესე: საწირავი აძეს:.
- *)
- ქ. გონგლაძე ბერი:.
- ქ. გონგლაძე კაცია:.

*) აქ დედანს აკლია ერთი ფურცელი.

- ქ. პაპუნაშვილი ბერი:.
- ქ. მამულაშვილი ნადირა:.

ღრამას ნახევარ კოდს იღებენ: ამათს ხუცეს აძეს: აბაზი
სამი:•

ბრიღს

- ქ. სახლთხუცესი ამოან: საწირავი აძეს:.
- ქ. მღღელი ნიკოლოზ: საწირავი აძეს:.
- ქ. მღღელი ფირან: საწირავი აძეს:.
- ქ. ფირანის ძმა ოთარი: საწირავი აძეს:.
- ქ. მღღელი დათუნა: საწირავი აძეს:.
- ქ. აღუაშვილი ბეჟუა:.
- ქ. ბიძინაშვილი გიორგი:.
- ქ. ხოჯიშვილი დათუნა:.
- ქ. აღუაშვილი გიორგი:.
- ქ. აღუაშვილი პაპუნა:.
- ქ. დომელაშვილი გიორგი:.
- ქ. თორელაშვილი ქაეთარა:.
- ქ. ენუქაშვილი ბეჟუა:.
- ქ. მამასახლისი მახარა:.
- ქ. ბერიშვილი პაპუნა:.
- ქ. ბერიშვილი ზაზა:.
- ქ. ზაზას ყმა ბეჟუა:.
- ქ. ბიძინაშვილი ოთარი:.
- ქ. ჯობაძე თამაზა:.
- ქ. ბერეკაშვილი სეხნია:.
- ქ. ტოტაძე სეხნია:.
- ქ. ტოტაძე ნასყიდა:.
- ქ. ტოტაძე ზაქარა:.
- ქ. ხატელიშვილი ზაქარა:.
- ქ. ხატელიშვილი ბერი:.
- ქ. ხატელიშვილი კიდვე ბერი:

- ქ. დვალი ბერი:.
- ქ. ტეტუნაშვილი ბეჟუა:.
- ქ. კროგალი დათუნა:.
- ქ. ბერიშვილი ლაზარე:.
- ქ. დათაშვილი გიორგი:.
- ქ. ისაკაშვილი ბერი:.
- ქ. ხატელიშვილი კაცია:.
- ქ. შეკულაშვილი თამაზა:.
- ქ. ჩუბინიშვილი სეხნია:.
- ქ. შზარეულიშვილი ბიძინა:.
- ქ. მამუკაშვილი ბერი:.
- ქ. ჩიჩიძე ხოხონა:.
- ქ. იმერლიშვილი გიორგი:.
- ქ. ბერუაშვილი კაცია:.
- ქ. ჯალალყიშვილი:.
- ქ. მკერვლიშვილი მკერვალი:.
- ქ. დათუნა ხუცის ყმა:.

43.

ღრამაც ისევ სძეს: ამათი სახუცო მარჩილი სამი:.

წახლუნას:

- ქ. მახარებლიშვილი ბეჟუა:.
- ქ. მახარებლიშვილი თამაზა:.
- ქ. ეკალაძე ნასყიდა:.
- ქ. შუმშითიძე შემაზა:.
- ქ. კერგილაშვილი მამუკა:.
- ქ. ნოზაძე ჩინელი:.
- ქ. ჯვარელიძე პაატა:.
- ქ. ტაბატაძე სვიმონ:.
- ქ. ტაბატაძე თამაზა:.
- ქ. პეტრიაშვილი ნადირა:.

10

ღრამაც სჩვასავით სძეს: :ამათი სახუცო აბაზი ოფხი.

ქეზეკს

- ქ. ანჩაფიშვილი დავით: საწირავი აძეს.
- ქ. მიხლანჯი გივი.
- ქ. საბაიკიძე შოშია.
- ქ. ქაბუკაძე გიორგი.
- ქ. იმედაშვილი ბეჟუა.
- ქ. იმედაშვილი პაპუნა.
- ქ. ირემაძე ხოსია.
- ქ. ირემაძე გიორგი.
- ქ. ირემაძე თამაზა.
- ქ. ხარატი დათუნა.
- ქ. ტაბატაძე შალუტა
აყრილი ბევრიო.

11

დრამაც სხვასავით აძეს: ესე და კლ[დ]ის წყარო ერთს ხუცეს
პქონდა: სახუცო მარჩილი ოთხი: აძეს.

ტეფანს:

- ქ. კიკნაძე გოგილა.
- ქ. პროპაძე მახარა.
- ქ. პროპაძე საბა.
- ქ. პროპაძე ჟოჟონა.
- ქ. პროპაძე მზარეული.
- ქ. პროპაძე ზაზუტა
- ქ. ლომიძე დათუნა.
- ქ. ლომიძე პავლე.
- ქ. ლომიძე ზაქარია.
- ქ. ლომიძე ზაზუტა.
- ქ. ლომიძე ელიკა.
- ქ. ლომიძე ბიძინა.

12

დრამას როგორც სხვა იღებს: სახუცო აბაზი სამი.

ობის:

ქ. აბაზადე რევაზ: საწირავი აძეს:.

ქ. ღვარძლადე ბეჟუა:.

ქ. ღვარძლადე დათუნა:.

ქ. ღვარძლადე ბერუკა:.

ქ. ქლენტი დათუნა:.

ქ. მაქარაშვილი ბერი:.

ქ. სოლაკადე ბერი:.

ქ. მაქარაშვილი ივანე:.

ქ. ქლენტი შემაზა:.

ქ. ჯორელიშვილი ბერი:.

ქ. გვეხიძე თამაზა:.

ქ. გვეხიძე ივანა:.

ქ. გვეხიძე ნასყიდა:.

ქ. გვეხიძე ბერი:.

ქ. ბრეგვამე ბერუკა:.

ქ. კობალადე ხოსია:.

ქ. კობალადე ზაზუნა:.

ქ. ლიპარიტაშვილი პაატა:.

ქ. კიკნადე ნასყიდა:.

ქ. კიკნადე თევდორა:.

ქ. კიკნადე თამაზა:.

ქ. კიკნადე სენნია:.

ქ. კიკნადე პაატა:.

ქ. კიკნადე ბიძინა:.

ქ. კიკნადე ოთია:.

ქ. კიკნადე ზუბიტა:.

ქ. კიკნადე ესპტა:.

ქ. კიკნადე ბერი:.

ქ. კიკნადე შიო:.

ღრამა როგორც სხვათ აძეს: სახუცო აბაზი ათი:.

უთხვას:

- ქ. ბლიადე ბერუკა:.
- ქ. ბლიადე პაატა:.
- ქ. ბლიადე თამაზა:.
- ქ. ჩადუნელი მამუკა:.
- ქ. ბოლოკადე იმარინდო:.
- ქ. ძიძიბადე თევდორა:.
- ქ. არსენადე ლთისია:.
- ქ. ქოჩორადე ხოსრო:.
- ქ. ქოჩორადე პაატა:.
- ქ. ქოჩორადე ზაქარია:.
- ქ. ქოჩორადე ნიკოლოზ:.

11

ღრამა როგორც სხვათ ადეს: სახუცო ადეს: აბაზი ხუთი:.

ბიჯნას:

- ქ. ჯეგადე თამაზა:.
- ქ. ჯეგადე ბერა:.
- ქ. კოჩადე გიორგი:.
- ქ. კოჩადე ბერა:.
- ქ. ჰეპელაშვილი თამაზა:.
- ქ. გიგაშვილი ბერა:.
- ქ. გიგაშვილი შიო:.
- ქ. გიგაშვილი გიორგი:.
- ქ. გელაშვილი პაპია:.
- ქ. ძულიაშვილი ბერუკა:.
- ქ. ძულიაშვილი პაატა:.
- ქ. ძულიაშვილი შოშა:.
- ქ. არჯევანიძე ბეჟუა:.

13

ღრამა სხვასავით ადეს: ამათი სახუცო: აბაზი სამი:.

ჩუმათელებს:

- ქ. კორკოტაძე თევდორა:.
- ქ. ბასილაშვილი სენია:.
- ქ. გიორგაშვილი გიორგა:.
- ქ. დედუნაშვილი თამაზა:.
- ქ. ჩადუნელი თამაზა:.
- ქ. კვირიაშვილი ბერუკა:.
- ქ. კვირიაშვილი ბეჟუა:.
- ქ. იოვანეშვილი გიორგი:.
- ქ. იოვანეშვილი პაატა:.
- ქ. ცარციძე სულხანა:.
- ქ. ცარციძე ოთია:.
- ქ. გიორგაშვილი დათუნა:.
- ქ. გიორგაშვილი ბერა:.
- ქ. გოგალაძე პაატა:.
- ქ. პეპელაშვილი ნასყიდა:.
- ქ. ულუმბელაშვილი სენია:.
- ქ. ულუმბელაშვილი თამაზა:.
- ქ. ულუმბელაშვილი ივანა:.
- ქ. ლურკანაშვილი სენია:.
- ქ. ტატიაშვილი ბერა:.
- ქ. ტატიაშვილი დარჩია:.
- ქ. შუმბითიძე გიორგი:.

22

დრამა:

ამათი სახეცო აბაზი ოთხი:.

ზინდის:

- ქ. აბაზაძე დათუნა: საწირავი აძეს:.
- ქ. ლალანიძე ბეჟან: საწირავი აძეს:.
- ქ. აბაზაძე ზაზა: საწირავი აძეს:.
- ქ. აბაზაძე ოთარხ: საწირავი აძეს:.

ქ. ნარიმანაშვილი ბერუკა:.

ქ. ლუქუნიძე ივანა:.

6

დრამა:

ოტკაას:

ქ. გუნცაძე ოთია: საწირავი აძეს:.

ქ. ბასილიშვილი შერმაზან: საწირავი აძეს:.

ქ. ბასილიშვილი საბა: საწირავი აძეს:.

ქ. ბასილიშვილი ვარამ: საწირავი აძეს:.

ქ. მაჭავარიანი ივანა: საწირავი აძეს:.

ქ. ხარაძე რამინ: საწირავი აძეს:.

ქ. ხარაძე რამაზა: საწირავი აძეს:.

ქ. ბუში ზაალ: საწირავი აძეს:.

ქ. ბასილის*) საწირავი აძეს:.

ქ. ირამიშვილი სეხნია: საწირავი აძეს:.

ქ. მზარეული პაპუნა:.

ქ. კაპანაძე მამუკა:.

ქ. ანდრიაშვილი პაატა:.

ქ. ანდრიაშვილი პაპუნა:.

ქ. ანდრიაშვილი გიორგი:.

ქ. ლომიძე ივანა:.

ქ. კალატოზიშვილი სეხნია:.

ქ. კობალაძე დათუნა:.

ქ. კობალაძე მამუკა:.

ქ. კობალაძე გიორგი:.

ქ. მჭედელი ბერა:.

ქ. კობალაძე კაცია:.

ქ. გრიგალაშვილი შოშიტა:.

ქ. კალატოზიშვილი თამაზა:.

ქ. დეკანოზიძე მამუკა:.

*) ეს სიტყვა ახალი ხელით ჩაწერილია ძველი ამომწობილი სიტყვის მაგიერ.

- ქ. ლომიძე დათუნა მლდელი:.
- ქ. მამასახლისიშვილი ბერა:.
- ქ. ნონაშვილი დათა:.
- ქ. ნონაშვილი გიორგა:.
- ქ. მკერვლიშვილი გარსია:.
- ქ. დეკანოზიძე ივანა:.
- ქ. დეკანოზიძე თამაზა:.
- ქ. ივდარაშვილი გიორგი:.
- ქ. გოჩაშვილი მამუკა:.
- ქ. კაპანაძე სეხნია:.
- ქ. ხახუტაშვილი გიორგი:.
- ქ. გურულიშვილი თანდილა:.
- ქ. კვინიკაძე საბა:.
- ქ. კვინიკაძე ოსიტა:.
- ქ. მებალე თამაზა:.
- ქ. ბერი დანიელი:.
- ქ. ბლიაძე პეტრე:.

42.

ღრამა სემარხო: ამათი სახეცო აბაზი ხუთი:.

სუკამს:

- ქ. მურვანიშვილი ოთარი: საწირავი აძეს:.
- ქ. მურვანიშვილი მურვან: საწირავი აძეს:.
- ქ. ტულდინაშვილი გიორგი: საწირავი აძეს:.
- ქ. ციმანკურიძე სვიმონ: საწირავი აძეს:.
- ქ. ბაიაშვილი მამუკა:.
- ქ. პაპინაშვილი მამუკა:.
- ქ. ნებიერიძე ბერუკა:.
- ქ. სანდაძე მამუკა:.
- ქ. ჯობაძე სულხანა:.
- ქ. ჯობაძე სეხნია:.
- ქ. ჯობაძე მამუკა:.
- ქ. ჯობაძე გიორგი:.

- ქ. ჯობაძე ბერუკა:.
- ქ. ჯობაძე კიდეე გიორგი:.
- ქ. ჯობაძე მახარა:.
- ქ. ჯობაძე კიდეე ბერუკა:.
- ქ. ლხინიაშვილი ბერა:.
- ქ. ბანჩურიშვილი ღონია:.
- ქ. ბებიაშვილი მახარა:.
- ქ. რევაზიშვილი გიორგი:.
- ქ. რევაზიშვილი პაპუნა:.
- ქ. ბარბაქაძე მამულა:.
- ქ. ბარბაქაძე ზურაბ:.
- ქ. ძამაშვილი ოქროპირი:.
- ქ. ბიბილაური მამუკა:.
- ქ. შათირიშვილი ზაქარია:.
- ქ. ურიაყოფილი ელიზბარ:.
- ქ. სეიმონაშვილი ბერა:.
- ქ. კვირიკაძე დათუნა:.
- ქ. ბებიაშვილი გაბრიელ მლდელი:.
- ქ. ბებიაშვილი შიო:.
- ქ. ნებიერიძე დათუნა:.

32

ღრამა როგორც სხვათ აძეს: :ამათი სახუცო აბაზი ათი:.

ზე სურამს:

- ქ. მთიულიშვილი ივანე:.
- ქ. გვერეხაშვილი ბერი:.
- ქ. გვერეხაშვილი კიდეე ბერი:.
- ქ. გვერეხაშვილი დათუნა:.
- ქ. გვერეხაშვილი შოშიტა:.
- ქ. ბებიაშვილი ნიკოლოზ:.
- ქ. ბებიაშვილი ივანე:.
- ქ. ქურდაძე ზურაბ:.
- ქ. ფარეშიშვილი ჯაშა:.

- ქ. ცხერელაშვილი ფრიდონა:.
- ქ. ყიმშიძე ბერი:.
- ქ. აღომლიშვილი გიორგი:.
- ქ. ჩოლაყაშვილი ივანე:.
- ქ. მუშლაძე ბახუტა:.
- ქ. ბარბაქაძე: მახარობელი:.

15

ღრამა როგორც სხვათ აქეს: ამათი სახეცო აბაზი ოთხი:.

ბეჭდს:

- ქ. არახჩიაშვილი სეხნია: საწირაფი აქეს:.
- ქ. ბაღრიშვილი თამაზა: საწირაფი აქეს:.
- ქ. ბიძინაშვილი ბერუკა:.
- ქ. კანჭაშვილი დარჩია:.
- ქ. მათიაშვილი ანდრიოს:.
- ქ. მათიაშვილი ივანე:.
- ქ. მათიაშვილი შოშიტა:.
- ქ. მათიაშვილი კიდევ ივანე:.
- ქ. მათიაშვილი მანველ:.
- ქ. მათიაშვილი თამაზა:.
- ქ. გრიგალაშვილი დათუნა:.
- ქ. ვარდიშვილი ჰაპუნა:.
- ქ. ლალუაშვილი თამაზა:.
- ქ. ლალუაშვილი შოშიტა:.
- ქ. ხუნიაშვილი გიორგი:.
- ქ. კაკიაშვილი დათუნა:.
- ქ. ივანაშვილი ნასყიდა:.
- ქ. აღუაშვილი თამაზა:.
- ქ. ბარბახაშვილი დათუნა:.
- ქ. ძულიაშვილი ჰაპუნა:.
- ქ. გიორგაშვილი გარსია:.
- ქ. ძულიაშვილი გიორგი:.
- ქ. შოშიაშვილი ზაქარა:.

- ქ. შოშიაშვილი ხაზუტა:.
- ქ. შოშიაშვილი ბერუკა:.
- ქ. ლალუაშვილი დათუნა:.
- ქ. ძელაშვილი ძელია:.
- ქ. ტუკაძე ლომინა:.
- ქ. ტუკაძე გიორგი:.
- ქ. ტუკაძე გოგია:.
- ქ. კურტანიძე თამაზა:.
- ქ. მამასახლისი კაცია:.
- ქ. მღდელი ელიოზ:.
- ქ. ტაბატაძე სეხნია:.
- ქ. ბარბაქაძე ბიძინა:.
- ქ. მღდელი ნიკოლოზ:.
- ქ. ბლიაძე ზაქარა:.
- ქ. ნოზაძე ნასყიდა:.
- ქ. ნოზაძე დათუნა:.
- ქ. ნოზაძე თამაზა:.
- ქ. ხარატი სეხნია:.
- ქ. გუდაძე გიორგი:.
- ქ. გუდაძე ზაქარია:.
- ქ. მღდელი ჰავლე:.
- ქ. ბლიაძე გიორგი:.

45

დრამა როგორც სხვათა სძეს: ამათი სახეცო მარჩილი ხუთი:.

ტეზეს:

- ქ. ორჯონიკიძე მამუკა: საწირაფი აძეს:.
- ქ. მაჭავარიანი რამაზა: საწირაფი აძეს:.
- ქ. აიდარაშვილი ზაქარია:.
- ქ. აიდარაშვილი გივი:.
- ქ. აიდარაშვილი ბერი:.
- ქ. ხაჯაველიძე გიორგი:.
- ქ. ხაჯაველიძე ბერი:.

- ქ. ხაჯაველიძე ბეეუა:.
- ქ. ხაჯაველიძე პატრე მლდელი:.
- ქ. აბრამაშვილი ნასყიდა:.
- ქ. გოგატაძე ივანა:.
- ქ. ორჯონიკიძე სულხანა: საწირავი აძეს:.
- ქ. ორჯონიკიძე რამაზ:.
- ქ. ორჯონიკიძე მახარა:.
- ქ. ორჯონიკიძე ივანა:.
- ქ. ორჯონიკიძე დათუნა:.
- ქ. ზაქარიაშვილი ზურაბა:.
- ქ. თევადე ზაქარა:.
- ქ. ნებიერიძე გიორგი:.
- ქ. ნებიერიძე ნასყიდა:.
- ქ. ჩიქუანი ბერო:.
- ქ. დევადე ბერი:.

22

ღრამა როგორც სხვისა სწერია: ამითი სახუცო მარჩილო
ოთხი:.

მეორე სახუცო ტაშეკს:

- ქ. სავანელი პაატა: საწირავი აძეს: *)
- ქ. სავანელი მამუკა: საწირავი აძეს:.
- ქ. სავანელი დათუნა საწირავი აძეს:.
- ქ. სავანელი ელიზბარ: საწირავი აძეს:.
- ქ. სავანელი პაატა: საწირავი აძეს:.
- ქ. რუსაშვილი იესე: საწირავი აძეს:.
- ქ. მაჭავარიანი ფარემუზ: საწირავი აძეს:.
- ქ. გარსიაშვილი პაატა:.
- ქ. რუამაშვილი რუამა:.
- ქ. რუამაშვილი გიორგი:.
- ქ. მანუტაშვილი ვარმიელი:.
- ქ. მანუტაშვილი პაპუნა:.

*) შემდეგ სხვა ხელით მიწერილია: დანიცა:.

- ქ. მანუტაშვილი რევაზა:.
- ქ. ნასყიდაშვილი ბიძინა:.
- ქ. ელისაშვილი ზურაბა:.
- ქ. რევაზაშვილი დათუნა:.
- ქ. რევაზაშვილი რევაზა:.
- ქ. ციხელაშვილი ფოცხვერი:.
- ქ. ციხელაშვილი ოთია:.
- ქ. ციხელაშვილი სეხნია:.
- ქ. ციხელაშვილი დემეტრე:.
- ქ. ციხელაშვილი გელია:.
- ქ. ციხელაშვილი თევდორა:.
- ქ. ელიაშვილი თამაზა:.
- ქ. ელიაშვილი მამუკა:.
- ქ. მაჩხაშვილი ჰაპუნა:.
- ქ. მჭედლიშვილი ბერუა:.
- ქ. მჭედლიშვილი სეხნია:.
- ქ. მერაბაშვილი ზაქარაა:.
- ქ. სუმბაძე დათუნა:.
- ქ. სუმბაძე ბეჟუა:.
- ქ. სუმბაძე გიორგი:.
- ქ. სავანლის ბუში ხოსია:.
- ქ. ნოზაძე დათუნა:.
- ქ. ნოზაძე კიდევ დათუნა:.
- ქ. ბლიაძე ბერუკა:.
- ქ. ფშოტიძე ივანა:.
- ქ. მაჭავარიანის ბუში თამაზა:.
- ქ. ფშოტიძე გიორგი:.
- ქ. ფშოტიძე სეხნია:.
- ქ. ფშოტიძე ჰაპუნა:.
- ქ. ფშოტიძე მახარა:.
- ქ. ფშოტიძე შიო:.
- ქ. ფშოტიძე ივანა:.
- ქ. თურგანაძე იორდანე:.

- ქ. რუფაქიძე სტეფანე.
- ქ. ბონაძე გოჩა.
- ქ. რუსაშვილი ზაალ: საწირავი აძეს: ნიშანიც.
- ქ. რუსაშვილი დავით: საწირავი აძეს: ნიშანიც. 49

დრამა როგორც სხვათ აძეს: ამითი სახუცო მარჩილი
ოთხი.

შესამე სახუცო ტეზურო:

- ქ. ჩიკოიძე შიო: საწირავი აძეს.
- ქ. ბუქლულაშვილი ზაქარია.
- ქ. ბუქლულაშვილი ოტია.
- ქ. ბუქლულაშვილი სენჩია.
- ქ. ბუქლულაშვილი ბერი.
- ქ. ბეროზაშვილი შოშია.
- ქ. ბეროზაშვილი მამუკა.
- ქ. ბეროზაშვილი დათუნა.
- ქ. ოთიაშვილი მამუკა.
- ქ. წვერიანიშვილი ბერი.
- ქ. ძურიაშვილი ბერუა.
- ქ. ძულიაშვილი დათუნა.
- ქ. ძულიაშვილი ნასყიდა.
- ქ. ძულიაშვილი თამაზა.
- ქ. არავიაშვილი მამისა.
- ქ. არავიაშვილი რევაზა.
- ქ. არავიაშვილი თამაზა.
- ქ. არავიაშვილი ბერუკა.
- ქ. არავიაშვილი გოგია.
- ქ. არავიაშვილი ინდუა.
- ქ. ჩაჩანიძე რამაზა.
- ქ. ჩაჩანიძე ბასილა.
- ქ. მწეველიძე გიორგი.
- ქ. მწეველიძე პაატა.

- ქ. ქუოიძე ივანე:.
- ქ. ლაცაბიძე მახარა:.
- ქ. კაპანაძე გოგილა:.
- ქ. კაპანაძე დათუნა:.
- ქ. ნოზაძე გიორგი:.
- ქ. ნოზაძე პაპუნა:.
- ქ. თომაძე პიტია:.
- ქ. ლამბაშიძე ზურაბა:.
- ქ. ლამბაშიძე პაპუნა:.
- ქ. ბითაძე პაატა:.
- ქ. ბითაძე ბერი:.
- ქ. ბითაძე ზაქარია:.
- ქ. ლიონდაძე გიორგი.
- ქ. დევაძე მამუკა:.
- ქ. გუდაძე დავით:.
- ქ. არავიაშვილი თადეოზ: მღვდელი:.

40

დ'ამა როგორც სხვაგან დაგვიწერია: ამათი სახ უკოა მარჩილი ოთხი:.

ბეღლითს:

- ქ. ლალაშვილი გიორგი:.
- ქ. ქალიაშვილი ნადირა:-
- ქ. ქალიაშვილი თამაზა:.
- ქ. ქალიაშვილი ბეჩუა:.
- ქ. ონიაშვილი გიორგი:.
- ქ. ონიაშვილი დათუნა:.
- ქ. ქიტიაშვილი ბერი:.
- ქ. ილარიონიშვილი საბა:.
- ქ. აყდიაშვილი დათუნა:.
- ქ. აყდიაშვილი ივანა:.
- ქ. აყდიაშვილი ოთარა:.
- ქ. ფაფელაშვილი გიორგი:.

- ქ. მამუკაშვილი ბერუა:.
- ქ. ჩიტიაშვილი ივანე:.
- ქ. ჩიტიაშვილი პაპუნა:.
- ქ. ჩიტიაშვილი ბიძინა:.
- ქ. ჩქოლაძე პაპუნა:.
- ქ. ჩქოლაძე გელია:.
- ქ. ჩქოლაძე გიორგი:.
- ქ. ჩქოლაძე ბერი:.
- ქ. გომარელი სენია:.
- ქ. ვეფხაძე ივანა:.
- ქ. ვეფხაძე დათუნა:.
- ქ. ვეფხაძე გიორგი:.
- ქ. ბუზალაძე ბერი:.
- ქ. თევზაძე ბერუა:.

26

დრამას როგორც სხვაგან დაგვიწერია: ამათი სახეულო აბაზი რვა:.

მონასტრს:

- ქ. ქურდაძე მახარა:.
- ქ. ქურდაძე მამისა:.
- ქ. გომარელი ივანა:.
- ქ. ლომინაშვილი ბერუა:.
- ქ. ფოცხვერაშვილი თამაზა:.
- ქ. ხარატი დათუნა:.

6

დრამას ნაცვლად თვითო ფოხალი სამარხო აძეს: ამითი სახეულო აბაზი ორი:.

ჩიხის ძიას:

- ქ. ჩხეიძე ბეტან: საწირავი აძეს:.
- ქ. ყიფიანი მამისთვალი: საწირავი აძეს:.

ქ. *)

ქ.

ქ. კიკნაძე პაატა:

ქ. ჩაჩანიძე გიორგი:

ქ. ჩაჩანიძე ზაქარია:

ქ. გომარელი ბეჟუა:

ქ.

ქ.

ქ.

11

ღრამას ნაცვლად თვითონ ფოხალი სამარხო აძეს:

შოღვისძინა:

ქ. მდივანი დუშია: საწირაფი აძეს:

ქ. ლონლაძე საზვია:

ქ. ტოტაძე ბიძინა:

ქ. ტოტაძე სეხნია:

ქ. ჭაბუკაძე პაპუნა:

ქ. ოსაძე პაატა:

ქ. ოსაძე კაცია:

ქ. ოსაძე მახარა:

ქ. კილაძე დათია:

ქ. თეთროძე ზაქარია:

ქ. გედაძე დათუნა:

ქ. ბეჟანაშვილი სეხნია:

ქ. ბეჟანაშვილი ბეჟუა:

ქ. ბეჟანაშვილი პაპნია:

ქ. ბეჟანაშვილი კიდევ ბეჟუა:

ქ. ხიზანაშვილი პაატა:

16

*) ეს და ამას ქვემოთ დატოვებული ცარიელი ადგილები დედნისა მოწმობენ, რომ შემადგენელს საზოგადო რაიცივი სკოდნია, მაგრამ სახელები და გვარები არ მოჰყვანებია.

დრამა ბოგანოს ნახევარ კოდსა: სხვა მთელ იღებს: ამათი
სახეცო სამი მარჩილი:

ქვიშეთს:

- ქ. გუდაბრელი ივანა: საწირავი აძეს:.
- ქ. ავალიშვილი სვიმონ: საწირავი აძეს:.
- ქ. სამადაშვილი გიორგი: საწირავი აძეს:.
- ქ. მუსტაფაშვილი ოთია:.
- ქ. მუსტაფაშვილი ბეჟუა:.
- ქ. მჭადაშვილი თამაზა:.
- ქ. მჭადაშვილი თევდორა:.
- ქ. მჭადაშვილი ზაქარა:.
- ქ. მჭადაშვილი შოშიტა:.
- ქ. მალლაფერიძე ზურაბა:.
- ქ. მალლაფერიძე ბერუკა:.
- ქ. მალლაფერიძე ბეჟუა:.
- ქ. ჩიტაძე თამაზა:.
- ქ. ჩიტაძე ბეჟია:.
- ქ. ჩიტაძე გიორგი:.
- ქ. ლაცადიძე გელა:.
- ქ. ლაცადიძე მკედელი:.
- ქ. ლაცადიძე პაპუნა:.
- ქ. ქლიბაძე ზაქარია:.
- ქ. ქლიბაძე თამაზა:.
- ქ. მცხვედაძე ზაქარია:.
- ქ. მცხვედაძე პაპუნა:.
- ქ. ბლუაშვილი ზაქარია:.
- ქ. ბლუაშვილი ივანა:.
- ქ. ბლუაშვილი დათუნა:.
- ქ. არსენაძე პაპუნა:.

დრამა ბოგანო ნახევარ კოდსა: და სხვა მთელსა: ამათი
სახუცო ოთხი მარჩილი:*)

ზანაგს:

- ქ. ქურცაკაშვილი სულხანა:.
- ქ. ქურციაშვილი ივანა:.
- ქ. ქურციაშვილი გულისა:.
- ქ. ქურციაშვილი ხიზანა:.
- ქ. გოსტაბაშვილი ბერუკა:.
- ქ. გოსტაბაშვილი ძულია:.
- ქ. გოსტაბაშვილი თამაზა:.
- ქ. გოსტაბაშვილი დათუნა:.
- ქ. ესიაშვილი ნასყიდა:.
- ქ. ესიაშვილი გიორგი:.
- ქ. ესიაშვილი ბეჟუა:.
- ქ. ესიაშვილი პაატა:.
- ქ. ესიაშვილი ზაქარია:.
- ქ. ფოცხვერაშვილი ზურაბა:.
- ქ. კიკაძე თამაზა:.
- ქ. კიკაძე პაპუნა:.
- ქ. კიკაძე მამუკა:.
- ქ. კიკაძე ივანა:.
- ქ. კიკაძე მამუკა:.
- ქ. კიკაძე თევდორა:.
- ქ. კიკაძე საქუტა:.
- ქ. კიკაძე კაცია:.
- ქ. სხალაძე მახარა:.
- ქ. სხალაძე პაპუნა:.

24

დრამას ნაცვლად თექვსმეტი ლიტრა თევზი აძეს: ამათი
სახუცო მარჩილი სამი:.

*) ეს ორი სიტყვა სხვა ხელით სწერია.

სახანისკეს:

- ქ. მახარებელიშვილი პაატა:.
- ქ. მახარებელიშვილი ბერუკა:.
- ქ. ბადრიაშვილი დომენა:.
- ქ. ბადრიაშვილი გოსიტა:.
- ქ. ბადრიაშვილი კიდევ პაატა:.
- ქ. ბადრიაშვილი ბეჟუა:.
- ქ. ბადრიაშვილი ზურაბა:.
- ქ. ფაფელაშვილი ხიზანა:.
- ქ. მარგველაშვილი როსიტა:.
- ქ. მარგველაშვილი შოშია:.
- ქ. მარგველაშვილი ბერუკა:.
- ქ. მარგველაშვილი ბერი:.
- ქ. მარგველაშვილი ბეჟუა:.
- ქ. ქაცახაძე დათუნა:.
- ქ. ქაცახაძე თედორე მლდელი:.
- ქ. ქაცახაძე როსიტა:.
- ქ. ფქიალაძე ბასილა:.
- ქ. ფქიალაძე თედორა:.

18

დრამის ნაცვლად თევზი ლიტრა თორმეტი აძესთ: ესე და ხანავი ერთს ხუცეს ჰქონდა: მარჩილი სამი:*)

გამოღმა ახალდაბას:

- ქ. ურიაყოფილი თამაზა:.
- ქ. ურიაყოფილი შიო:.
- ქ. ურიაყოფილი დათუნა:.
- ქ. ურიაყოფილი კაცია:.
- ქ. ზენაშვილი მარინდა:.
- ქ. ზენაშვილი ოთია:.
- ქ. ზენაშვილი პაატა:.

*) ეს ორი სიტყვა სხვა ხელით სწერია.

- ქ. ზენაშვილი ბერი:
- ქ. მესხიძე ივანა:
- ქ. მესხიძე მახარა:
- ქ. მესხიძე გიორგი:
- ქ. ფცქიალაძე გელა:
- ქ. იმერელი:

13

დრამის ნაცვლად აქვს: თევზი ლიტრა რვა: ამათი სა-
ხუცო აბაზი ოთხი:

ტაშისკადა:

- ქ. ბეჟიელი საწირავი აქვს:
- ქ. ჩიკვაიძე ფირან: საწირავი აქვს:
- ქ. ჩიკვაიძე ივანა: საწირავი აქვს:
- ქ. ჩიკვაიძე საბა: საწირავი აქვს:
- ქ. ფასიტაშვილი შიო: საწირავი აქვს:
- ქ. ფასიტაშვილი გიორგი: საწირავი აქვს:
- ქ. კანტიძე ბასილა:
- ქ. კანტიძე პაპუნა:
- ქ. ხუმარაძე პაპუნა:
- ქ. სხირტლაძე ივანა:
- ქ. სხირტლაძე ოთია:
- ქ. დევაძე დათუნა:
- ქ. ბითაძე თამაზა:
- ქ. ბითაძე ივანა:
- ქ. მექვაბიძე გოგია:
- ქ. ლუკაშვილი ოთარა:
- ქ. საგინაშვილი ბეჟან:
- ქ. საგინაშვილი კიდევ ბეჟან:
- ქ. საგინაშვილი ზაალ:
- ქ. მარგველაშვილი თეოდორა:
- ქ. მარგველაშვილი გივი:
- ქ. სუთიაშვილი თანდილა:

ქ. სუთიაშვილი თამაზა:.

ქ. მეზერიშვილი ბერია:

ქ. ჩიკვაიძის ყმა ზაზუტა:.

25

ღრამა ბოგანო ნახევარ კოდსა: სხვა მოელს იღებს: ამათი სახუცო მარჩილი სამი:.

გარათს:

ქ. ნათიშვილი ონაფრე: საწირავი აძეს:.

ქ. ნათიშვილი პაპუნა: საწირავი აძეს:.

ქ. ლონენაშვილი პაატა:.

ქ. ზაზუტაშვილი ქიტია:.

4

ახაურშვილის ცოლი ვინც აღსრულდეს. ნიშანი: გამოართვი და საწირავი: *)

შინდაძას:

ქ. ქოტიშვილი ნასყიდა: საწირავი აძეს:.

ქ. კვებიაშვილი გივი:.

ქ. სვიმონაშვილი ივანა:.

ქ. ბედიანაშვილი ზაქარია:.

ქ. ბედიანაშვილი გიორგი:.

ქ. ბედიანაშვილი ალექსი:.

ქ. კვებიაშვილი გიორგი:.

ქ. ლომინაშვილი გელია:.

ქ. ლომინაშვილი ბეჟუა:.

ქ. ლომინაშვილი დათუნა:.

ქ. ლომინაშვილი ზაზა:.

ქ. მაზაძე ბერი:.

ქ. კუსრაძე გიორგი:.

ქ. ბოლოკაძე დათუნა:.

ქ. ნიქოზელი გიორგი:.

*) უკანასკნელი ორი სტრიქონი სხვა ხელით არის დაწერილი.

- ქ. ნიქოზელი ბიძინა:.
- ქ. ნიქოზელი ბერუკა:.
- ქ. ნიქოზელი ოთარი:.

18.

დრამა როგორც სხვისა დამიწერია ისე სძეს: ამათი სა-
ხუცო აბაზი ხუთი:.

ქარელში:

- ქ. ამატაკიშვილი გიორგი: საწირავი აძეს:.
- ქ. ამატაკიშვილი პაატა: საწირავი აძეს:.
- ქ. ამატაკიშვილი იესე: საწირავი აძეს:.
- ქ. თოფჩიაშვილი მამუკა: საწირავი აძეს:.
- ქ. თოფჩიაშვილი შაბურა: საწირავი აძეს:.
- ქ. თოფჩიაშვილი:.
- ქ. თოფჩიაშვილი:.
- ქ. ლასურა საწირავი აძეს:.
- ქ. ტაბატაძე გიორგი:.
- ქ. ტაბატაძე მამუკა:.
- ქ. ტაბატაძე გიორგი:.
- ქ. როსაბაშვილი ბერი:.
- ქ. ცენციაშვილი თამაზა:.
- ქ. სოფრომაძე გიორგი:.
- ქ. სოფრომაძე ზაქარია:.
- ქ. ოქროპირიშვილი ბერა:.
- ქ. ოქროპირიშვილი თევდორა:.
- ქ. თოფჩიაშვილი ივანე:.
- ქ. ბუში ბარამ:.
- ქ. ონიაშვილი დათუნა:.

20

დრამა როგორც სხვისა დამიწერია: ამათი სახუცო აბაზი ხუთი:.

საშურს:

- ქ. ბექუტაშვილი ედიშერ: საწირავი აძეს:.
- ქ. ოლმელი სეხნია: საწირავი აძეს:.

- ქ. გივიშვილი სენია:.
- ქ. გივიშვილი გივი:.
- ქ. ქუზიაშვილი თამაზა:.
- ქ. აქმიშვილი ბერი:.
- ქ. ალექსაშვილი ძამა:.
- ქ. ინდიშვილი პაპუნა:.
- ქ. ინდიშვილი ბერი:.
- ქ. შოშიტაშვილი დარჩია:.
- ქ. აბიაშვილი ბადურა:.
- ქ. აბიაშვილი ოთარი:.
- ქ. მლდელი გიორგი:.
- ქ. მისი განაყოფი ბერა:.
- ქ. მალაძე ხოსია:.

15

დრამა როგორც სხვისა დამიწერია: ამათი სახუცო მარჩი-
ლი ხუთი:*)

ასიაურს:

- ქ. კელუბანიშვილი ბეჟან: საწირავი აძეს:.
- ქ. შოშიტა საწირავი აძეს:.
- ქ. ნოზაძე ბერა:.
- ქ. ნოზაძე გელია:.
- ქ. ხუცისშვილი ზაზა:.
- ქ. ხუცისშვილი რჩეულა:.
- ქ. თომაშვილი გიორგი:.
- ქ. ჰაპაშვილი თამაზა:.
- ქ. კუტიშვილი ზაქარია:.
- ქ. ბერუაშვილი ბეჟია:.
- ქ. ბერუაშვილი თამაზა:.
- ქ. ზაქუაშვილი ბერი:.
- ქ. ზაქუაშვილი ბასილა:.

*) წინეთ ვგონებ წერებულა: „აბაზი ხუთი“. მერმე ეგ წაუშლიათ და დაუწერიათ: „მარჩილი ხუთი“.

- ქ. დაბრუნდაშვილი გიორგი:.
- ქ. დაბრუნდაშვილი მამუკა:.
- ქ. ხაბელაშვილი ხოსიტა:.
- ქ. გელაშვილი ბერი შოშიტასი:.
- ქ. თანდილაშვილი ივანა:.
- ქ. აუშტარი ბერი:.
- ქ. საბაიკიძე შოშია:.
- ქ. ფარეში დათუნა:.
- ქ. კოჩაძე ივანა:.
- ქ. კოჩაძე დათუნა:.
- ქ. მალიძე გიორგი:.
- ქ. ბაქრაძე შოშიტა:.
- ქ. იამანიძე იმანა:.
- ქ. იამანიძე გელია:.
- ქ. ჩინჩალაძე ივანა:.
- ქ. მერაბაშვილი შოშიტას ბოგანო:.

28

დრამა როგორც სხვათ. აწერია: ამათი სახეცო მარჩილი
ოთხი:.

ჭადის სოფელს ზემო:

- ქ. ბლიაძე ვია:.
- ქ. კიკაძე შიო:.
- ქ. აიშაშვილი ლეკვია:.
- ქ. ქადაგიშვილი გივი:.
- ქ. კმალაძე ბერი:.
- ქ. ჩადუნელი ხოსია:.
- ქ. კახი ბერუკა:.
- ქ. კვამლაძე ჯავახი:.
- ქ. იორდანაშვილი მამუკა:.
- ქ. ხარშილაძე ბერი:.
- ქ. ფრცელი:.

11

*)

*) აქ აღგილია დატოვებული, მაგრამ სოფლის სახელი არა სწერია.

- ქ. პეტრიაშვილი დათუნა:.
- ქ. ბეთიაშვილი ბერი:.
- ქ. ძამანაშვილი ბერუკა:.
- ქ. თორელაშვილი რამაზა:.
- ქ. ქვრივისშვილი ბერი:.
- ქ. გოგატაშვილი ბერი:.
- ქ. ჩიტიაშვილი თამაზა:.
- ქ. ყერეყუცაშვილი დათუნა:.
- ქ. მალიძე ბერი:.
- ქ. ნაკაშიძე გიორგი:.
- ქ. ჯავახი ზაქარია:.
- ქ. კახი ბერი:.
- ქ. შავარდენიძე პეტრე:.
- ქ. შავარდენიძე ოთარა:.
- ქ. გონგლაძე გიორგი:.
- ქ. წმანელი პაატა:.
- ქ. ლუქუნძე პაატა:.
- ქ. ბლუაძე მამუკა:.
- ქ. ლაკლაკი ნასყიდა:.
- ქ. ოთია:.
- ქ. ბარქოზაძე ნიკოლოზა:.

21

ქ. ამ. გუჯარში. ვინც. აზნაურშვილები. სწერიან. ცხენი
ნიშანი. და გარდასახურავი. ყველას. სძეს:*)

ღუბმას:

- ქ. ჩინჩალაძე თამაზა: . ა
- ქ. შეკრე მახარა: . ა
- ქ. ბლიაძე გოგია: . ა
- ქ. როინა: . ა
- ქ. ლომიძე ზაქუტა: . ა
- ქ. მრატველი თამაზა: . ა

*) უკანასკნელი ორი სტრიქონი სწვა ხელით არის დაწერილი.

- ქ. სვიმონასშვილი გიორგი: . ა
- ქ. ქაქანაშვილი შიო: . ა
- ქ. ქაქანაშვილი მკედელი: . ა
- ქ. სიეზიანიშვილი ივანა: . ა
- ქ. მასხარაშვილი რამაზა: . ა
- ქ. მამასახლისი დათუნა: . ა

12

დრამასა როგორც სხვისა დაგვიწერია: ამათს ხუცეს აძეს
აბაზი ხუთი: .

ახალსოფელსა:

- ქ. ჩიტაშვილი ივანა: . ა
- ქ. ელიკაშვილი გიორგი: . ა
- ქ. სხალაძე თევდორა: . ა
- ქ. მამასახლისი ბეჟუა: . ა
- ქ. თისლელი თამაზა: . ა
- ქ. ყვირინაძე გოდერძი: . ა
- ქ. ქალიაშვილი სეხნია: . ა
- ქ. ირემაძე ნასყიდა: . ა
- ქ. ალაფიძე ბერი: . ა
- ქ. ოსი ოთია: . ა
- ქ. ტოტაძე დათუნა: . ა
- ქ. ირემაძე რამაზა: . ა

12

ამათს ხუცეს აძეს მარჩილი სამი: .

სატიგეს:

- ქ. ქურციკაშვილი ნასყიდა: საწირავი აძე: .
- ქ. ნადირაშვილი გივი: საწირავი აძე: .
- ქ. ლამბაშიძე გივი: . ა
- ქ. ლამბაშიძე გიო[რ]გა: . ა
- ქ. ლამბაშიძე იესე: . ა
- ქ. ხუციშვილი თამაზა: . ა
- ქ. შუმბითიძე თამაზა: . ა

- ქ. ნოზაძე ივანე: ა
- ქ. ნოზაძე ბერია: ა
- ქ. დიასახლისი ნადირა: ა
- ქ. ბოქორაძე გიორგი: ა
- ქ. ოსაძე თამაზა: ა

12.

აყრილი ბევრია: თუ მოვლენ ყველა მეთი უნდა მოგცენ: სახუცო და დრამა: ესე და ახალსოფელი: დრამა როგორც სხვისა სწერია: ამათი სახუცო მარჩილი. ორი:.

ძგისა:

- ქ. ციხანკურიძე ფირან: საწირავი აძეს:.
- ქ. მჭედელი თევდორა: ა
- ქ. ღვინიაშვილი მამუკა: ა
- ქ. ღვინიაშვილი ბერია: ა
- ქ. ხივრაძე გიორგი: ა
- ქ. ღვინიაშვილი პაატა: ა
- ქ. ღვინიაშვილი გოდერძა: ა
- ქ. ძაღლიბანაშვილი ესტატე:.
- ქ. გუნაშვილი ბერია: ა
- ქ. ლაზარეშვილი ელიოზ: ა

10

დრამა როგორც სხვათა დაგვიწერია: ამათს ხუცეს შაური. თოთხმეტი:

გაყას:

- ქ. ნადირაშვილი ივანე: ა
- ქ. ნადირაშვილი მამუკა: ა
- ქ. ნადირაშვილი ქიტია: ა
- ქ. ნადირაშვილი ნადირა: ა
- ქ. ნადირაშვილი გიორგი: ა
- ქ. ზემბედაშვილი მამუკა: ა
- ქ. კბილაშვილი ბერია: ა
- ქ. ზესელაშვილი ბერია: ა

- ქ. მღვდელი სეხნია: ა
 ქ. ქოჩორაძე გიორგი: ა
 ქ. მეგრელიშვილი მამუკა: ა
 ქ. დალაქიშვილი გიორ[რ]გა: ა
 ქ. საყვარელაშვილი პაპუნა: ა
 ქ. დათუკაშვილი ბერი: ა
 ქ. იმერილიშვილი გიორგი: ა
 ქ. ხუციშვილი დათუნა: ა
 ქ. ტატიაშვილი ნაფროზა: ა
 ქ. ბანძუაშვილი გიორგი: ა
 ქ. დათუკაშვილი ლონია: ა
 ქ. იმერლიშვილი სეხნია: ა
 ქ. ხოტივრაშვილი ქიტესა: ა
 ქ. ყიფიანიშვილი დათუნა: ა
 ქ. ბაბადიშვილი გიორგი: ა
 ქ. მამუკაშვილი ბერი: ა
 ქ. ნაცვლიშვილი მამუკა: ა
 ქ. ინანაშვილი მამულა: ა
 ქ. გაჩაგედაშვილი ბერი: ა
 ქ. მეკრიშვილი ბერი: ა
 ქ. მოურავი გუგულა: ა
 ქ. მღვდელი ბახუტა: ა

30

ამათი დრამაც ისევე: ამათი სახუცო აბაზი შვიდი:

ქ. ამ გუჯარში ვინც საწირავიანი. აზნაურშვილნი: სწერიან. ცხენი ნიშანი და გარდასახურაფი სძესთა: სამანეთი*).

ე. თაყაშვილი

(შემდეგი იქნება)

* უკანასკნელი ორი სტრიქონი სხვა ხელით სწერია.

აქ თავდება ჩვენი დედანი. უკანასკნელ რვეულს, როგორც მოვიხსენიეთ, აკლია ერთი ფურცელი. დედანს სხვა რვეულიც უნდა აკლდეს ჩვენის აზრით.

კველი თაოზა

ნ. ნიკოლაძე

(წერილი პიჩველი)

I

არა ჩვეულებრივის აღელვებით ეიწყებთ ჩვენ ნიკო ნიკოლაძის ნაწერების დათსება-განმარტებას. ძველი გაზეთების და ჟურნალების გადაფურცვლამ, დავიწყებულ ძველ ამბებს მოგონებამ, წარსულ ცხოვრების, მოღვაწეების და თაობის გადაშინჯ-გადათვალიერებამ რაღაც გაურკვეველ აღელვებით აავსო ჩვენი გული, ააშფოთა ჩვენი გონება და ჩვენს ოცნებასაც მისცა მდიდარი საზრდო. საკვირველია კაცის სულიერი თვისება! ჩვენ ყოველთვის ის გვიზიდავს, რაც მოწყვეტილია, შორს არის ჩვენგან. კარგათ ვიცით, რომ წარსული ცხოვრება ხშირად უვარგისი და ფუჭია, რომ აწმყო შედარებით მდიდარი არის, ნაყოფიერიც, მიუხედავად ამისა, წარსულ განვლილ ცხოვრების მოგონება როგორღაც გვასიამოვნებს, გვადლეუებს, ესტეტიურ სიამოვნობას გვიბადავს გულში. ის, რაც საწყენია, აღარ გვაგონდება, რაც სატირელი, არ გვატირებს. ყველაფერს, ყველა საგნებს და მომქმედ პირებს რაღაც სხვანაირი ელფერი ედებათ და თქვენც დაჰყურებთ ამ წარსულს შორიდან, გულდამშვიდებული და ჩატიქრებული. თქვენ ტვინში გაგების სურვილი იბადება, თქვენს გულში პატივის ტემა იმ მოღვაწეებისადმი, რომელთაც ავად თუ კარ-

გათ შეუსრულებიათ თავის მოვალეობა. ამგვარადვე გციყვარს და ვოცნებობთ ჩვენ მომავალზედ. აწმყო არ გვაკმაყოფილებს, არ აჯერებს აღშფოთებულ სულს. და თუ წარსულში არ ვიყურებით, მომავალი გვეზმანება, გვიზიდავს, გველერსება. დაუდგრომელია კაცის გული, დაუცხრომელი მისი სულის მოძრაობა. მომავალი და წარსული—ორივე ერთნაირად იზიდავს კაცს გამოსარკვევად, გასაგებად, განსამარტავად. ჩვენ ამ ეამად წარსულისაკენ გვაჭირავს თვალები. იქ გვინდა მოვნახოთ კლიტე ახალი ცხოვრების ასახსნელად. ნ. ნიკოლაძის ნაწერები ამ შემთხვევისათვის კარგ იარაღს გვაძლევენ ხელში, რადგან ჩვენი ცხოვრების სახე მკათიოდ არის დაჩნეული ამ მწერლის გულში, რადგან ყველაფერმა, ცხოვრების სიხარულმა და ტანჯვამ ერთის ღონით, ერთნაირის ძლიერებით დაასვა დალი მის სულიერ პიროვნებაზედ.

როდესაც ქავევადე, ნიკოლაძე და სხვა ძველი თაობის წარმომადგენლები გამოვიდნენ სამოქმედოთ, ჩვენც ცხოვრების სურათი, შედარებით დანამედროვესთან, სხვა იყო. საზოგადოებრივი განწყობილება სხვა ნიადაგზედ იყო აშენებული, ლიტერატურას და მწერლობას სხვა საგანი ჰქონდა გასარკვევად და ჩვენს პარტიათა ბრძოლასაც სულ სხვა ნიადაგი ედვა საფუძველად. ეს ის დრო იყო, როდესაც ფეოდალური წყობილება ჯერ-ჯერობით შეურყვეველი იდგა, როდესაც, აღნიშნულ მიზეზის გამო, ჩვენმა ცხოვრებამ ჯერ არ გამოსახა სხვა და სხვა პროფესიონალური კლასები და როდესაც მწერალი დამონავებულ, უმაწა-წყლოყმის მოსარჩლედ გამოდიოდა და ომს უცხადებდა მათ, ვინც ძველ ცხოვრების წესს ებლაუქებოდნენ და უსამართლობას ეტრფიანებოდნენ. ეს არ იყო მაღალ და დაბალ წოდებათა შეტაკება. მშრომელ ხალხს ჯერ კიდევ არ ყვანდნენ თავიანთი წრის და წოდების იდეოლოგიები. ამ მშრომელ ხალხს მოსარჩლედ თავად-აზნაურობის განათლებული პატარა, სულ პატარა ნაწილი გამოვიდა და ამ რიგად ატყდა ბრძოლა ერთის წოდების (თავად-აზნაურობის) ორ თაობათა შორ-

რის—ძველ წესის, ბატონ-ყმობის მომხრეთ და მის მოპირდაპირეთ, ახალ წყობილების მქადაგებელთ შორის. ამ გარემოებას კარგად უნდა დავაფიქრდეთ. იმ ხანის „პარტიათა“ ბრძოლას თავისებური ელფერი და ხასიათი ჰქონდა. ეს იყო ბრძოლა მამათა და შვილთა, ძველსა და ახალ თაობას შორის.

ნ. ნიკოლაძე არა ერთხელ უბრუნდება ამ კითხვას და ნათელს ჰფენს ამ ჩვენს მწერლობაში გაურკვეველ საგანს. მისის შეხედულებით ძველი თაობის დამხობა აუცილებელი იყო. „რა სამკვიდრებელი დარჩა ჩვენ ძველ თაობას?“*) იკითხება ჩვენი ავტორი. „გოგონაჰმეურის მხრით**“) იმას გაღარიბებული და გატყავებული ხალხი და უმოქმედო, უხეირო აზნაურობა ღუპავს, ამბობს იგი. **შაფიღაეუღრა მხრით**—უნე დაკემული, გაცალცალკეეებული საზოგადოება, რომელსაც არა თუ ძველი გმირების სული დაუკარგავს, მათი სახელიც არ ახსოვს. **ზნეაბის მხრით**—გაფლიდებული უხასიათობა, დაცემული ხელის ლოკვა, ძლიერის თაყვანისცემა, სამართლიანობის დავიწყება. **ჯიტეჩაატურუღრა მხრით**—დაცემული მწერლობა, დავიწყებული ენა, დაფანტული და დამახინჯებული ძველი ლიტერატურა. **განეპითა მხრით**,—სრული უაზრობა, ძველი ჩვენი ისტორიის უცოდინარობა, ახალი ცხოვრების გაუგებრობა. რომელ დიდებაზე მიგვითითებს ჩვენ ძველი თაობა?—განაგრძობს ავტორი—იმან თვითონ თავისი საკუთარი ხელით დაამხო და მტვერი წააყარა ამ დიდებას და იმაზე უფრო გულმწველათ იხსენებს ამ დიდებას ჩვენი, და არა მათი თაობა. რა საუნჯეს დაგვანახვებს, რომელ გმირს წარმოგვიდგენს, როგორ ლიტერატურულ მოძრაობას, რომ ჩვენი გააკიცხვა და გაახლეების სურვილი წალაგმოს? არაფერს, არც ერთს. ის ხელცარიელია, გაკოტრებულია“: „კარგი იქნებოდა:—ამბობს ჩვენი ავტორი იმავე წერილში, რომ მომავალს თაობების სა-

*) ახალი ახალგაზდობა—ნ. სკანდელისა—კრებული № 1 1873 წ.

***) ხაზს ჩვენ უსვამთ.

მაგალითოდ, ძველი თაობის მოთავე პირებს რომ ძველი აუ-შენოს ჩვენმა ხალხმა და ზედ ეს ზედ-წარწერა ამოსკრას: „აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმად ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავების გამო ახალი ცხოვრების ფეხ-ქვეშ გაითელაო.“

საინტერესოა, რა ადგილი ექირა ძველ ცხოვრების დამხობის კიბევაში მის მოპირდობიერ ახალგაზდებს, მესამოცე წლებში ცხოვრებაში საბრძოლველად გამოსულ ახალ თაობას? ამაზედ აი რას გვეუბნება ნიკოლაძე: „შესანიშნავი და დაფიქრების ღირსი ის გარემოებაა, რომ ძველ თაობის ჩაქოლების და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლაო.*) ჩვენ იმდენათ პირუთენელი და გულწრფელი უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი (ახალი თაობის) საკუთარი მოქმედების და გავლენის დაფასება უნდა შეგვეძლოს სწორეთ იმ თვალით, როგორითაც დაგვაფასებს ჩვენ შემდეგი თაობა და მომავალი ისტორია. ამ თვალით რომ შევხედოთ ჩვენ იმ ახალ თაობას, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში 1861 გამოვიდა, დავინახავთ, რომ ამ თაობას ძალიან მძაფრად გავაჩვენა და მოქმედება ჰქონდა არა თუ მარტო ხალხის ბედზე და ცხოვრებაზე, არამედ მის გონებაზე და ძველი თაობის დამხობის მიზეზებზედაც... 1861 წლის ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსებული შემოვიდა, გვიხსნის თავის აზრს ზეტორი. იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატავსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზდური აღტაცება, მაგრამ, როგორ ან რისთვის დავმალეთ, რომ ამ თაობას, ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი, — ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედვა“.*)

*) ibid.

როგორ მოხდა, რომ ახალი თაობა ასეთი სუსტი და მოუშხადებელი გამოდგა, რომ მისი წინამძღოლი „ურაზმო წინამძღოლი“ დარჩა? ვალაპარაკოთ თვით ავტორი. „ახალმა თაობამ არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიითა“), არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი სახლისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. ამას მანტო კეთილი გული და პატიოსანი სუნივლი ქქონდა, და გონების იარაღით იმას მარტო ორიოდ მეტნაკლებათ ნათელი აზრი მოუძღვიდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უფარვისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მკირელი იარაღით და ბარგით, ამ გამოუკვლეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, დასძენს ავტორი, ეს, ერთის მხრით, ძველი თაობის განუკურნველ სიძაბუნეს გვიმტკიცებს და მეორეს მხრით გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამალღება“.*)

მაშასადამე, უმთავრესი მიზეზი მაშინდელ ახალ თაობის სისუსტისა იყო, ავტორის აზრით მისი მეცნიერული მოუშხადებლობა. „კეთილი გული და პატიოსანი სურვილი“ არ კმარა და ცხოვრებაში საბრძოლველად. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ პატარა ჯგუფი განათლებულ ახალგაზდობისა განცალკევებულად იდგა. თავად-აზნაურობის უმრავლესობასთან კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი, ხოლო ხალხსაც იყო იგი დაშორებული, თუმცა ხალხის კეთილდღეობის ზრუნვაში იყო. ეს ზრუნვა და ეს ფიქრი უფრო განყენებული იყო, ვიდრე პრაქტიკული. ჟურნალ-გაზეთობაში აწერებოდა სხვა და სხვა წერილები ლიბერალურ შინაარსისა, იყო ლაპარაკი ძმობაზედ და ერთობაზედ, მაგრამ ყველა ეს მწიგნობრული იყო, სალიტერატურო კამათობას მიაგავდა, ვიწრო ამხანაგურ და ქართულ ჟურნალების პატარა მკითხველ საზოგადოების

*) ibid.

ფარგალში ტრიალებდა. ხალხმა შორს იდგა, მის ყურამდე არ აღწევდა მანუგეშებელი სიტყვა. ხალხმა არც კი იცოდა, რომ მას ჰყავს მოსარჩლე, რომ მისი ტკივილი სხვას აღონებს და მისი გაჭირვება სხვას აფიქრებს. არ ვიცის, გარემოების ბრალია, თუ მაშინდელ ახალგაზდობისა, ხოლო მესამოცე წლების დემოკრატიული მოძრაობა ცარიელ სიტყვად გამოდგა. იგი არ გადასცილებია თვით მოთავეების ვიწრო წრეს, არ გახდა უმრავლესობის მმობრავ ძალად და არ შექმნა ის რაზმი, რომელზედაც სჩივის ნ. ნიკოლაძე. იქნება აქ იმალება იმისი მიზეზიც, რომ ჩვენი თანამედროვენი, ის შეგნებული ნაწილი ჩვენი ხალხისა, რომელიც ჰფიქრობს და აზროვნობს, კეთილის სიტყვით არ იხსენიებს ჩვენს ძველ მოღვაწეებს და თითქმის თავიანთ მოპირდაპირებლად სთვლის მათ. ამ საყვედურში მხოლოდ ის არის სამართლიანი, რომ მართლაც ამ ჩვენს ძველ მოღვაწეებს ვერ მოუგიათ ხალხის გული, ვერ დაუმსახურებიათ მისი პატივისცემა, რადგან ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მათი გული და გონება ხალხისკენ მიისწრაფიდა, საქმით, მოქმედებით შორს იყვნენ ხალხზე. და ამიტომაც დარჩნენ ისინი განმარტოვებულნი, თითქმის გაუგებარნი. ამ მხრით რომ განესაჯოთ კითხვა, უფრო გავიგებთ იმას, რაც წინა წერილებში არ გვესმოდა. ესლა ჩვენ გვესმის, რატომ არ გამოუჩნდა მიმდევარი ილია ჭავჭავაძის კეთილ განზრახვას და აზრს. გვესმის, რატომ დარჩა ურაზმოდ არამც თუ ჭავჭავაძე, არამედ იმისთანა „წინამძღოლიც“, როგორიც იყო თვით ნ. ნიკოლაძე. ამ კითხვას შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით.

ასე იყო თუ ისე, 1860 წლიდან ახალი თაობა გამოვიდა ცხოვრებასა და ლიტერატურაში. ჩვენ ვიცით უკვე, როგორი ტიპის პუბლიცისტი იყო ილია ჭავჭავაძე. ამ მწერლის დაუასებაში ჩვენ ვცდილობდით თეთრი თეთრად აგვეღიარებინა და შავი შავად. ჩვენ ვსთქვით და ვამბობთ, რომ ჭავჭავაძის ღვაწლი პუბლიცისტიკაში დაუფასებელია, რადგან მის ნაწერებში ვპოულობთ ჩვენი ცხოვრების განმარტებას. ხოლო ამასთანვე

ჩვენ ვსთქვით და ვამბობთ, რომ ეს განძარტება ცალმხრივი იყო, რომ რამდენადაც წინა აღვტორი ჩვენი საზოგადოებრივ მოძრაობის სათავეში იდგა, იმდენად ამ უკანასკნელ ათი თორმეტის წლის განმავლობაში ვერ აიღო ალღო ახლად დაბადებულ მოთხოვნილები და როგორღაც ცხოვრების ნაპირზედ ჩამორჩა. ესლა ვნახოთ, რა შესძინა ჩვენს ლიტერატურას და საზოგადოებრივ ცხოვრებას ნ. ნიკოლაძემ? უნდა ვსთქვათ, რომ ამ მწერლის დაფასება მეტად საძნელოა. ნ. ნიკოლაძეს ქართულის გარდა, ბევრი დაუწერია რუსულადაც, ზოგი აქაურ პრესაში, ზოგი პეტერბურგის ჟურნალებში. ამასთან სამზღვარ-გარეთ ყოფნის დროს მას მონაწილეობა მიუღია ფრანგულ გაზეთებში (შვეიცარიაში) და აგრეთვე ცნობილ ჰერცენის „კოლოკოლში“. ყველა ამ მასალის შეგროვება მეტად მოუხერხებელია და იქნება შეუძლებელიც ამ ჟამად. ამისათვის, ჩვენ წინ და წინვე ვამბობთ, რომ ამ ჩვენს წერილებს ბევრი ნაკლებეფანებაც ექმნება და სასურველი სისრულეც აკლდება. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ავტორის არა—ქართულ ნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აქაურ რუსულ ჟურნალ გაზეთობაში ნ. ნიკოლაძე ხშირად სწერდა ქართულ კითხვებზე და საქმეებზე. მათ ჰქონდათ მნიშვნელობა რუსებისათვის და ქართველ ინტელიგენციისათვის. ხოლო ყველა იმათთვის, ვისაც რუსული კითხვა ეძნელება—და მათი რიცხვი ჩვენში პატარა არ არის—ავტორის ამგვარ ნაწერებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია. რაც შეეხება რუსეთში და სამზღვარ გარეთ დაბეჭდილ ნაწერებს, მათი მნიშვნელობა უფრო განსაზღვრულია: ისინი უფრო ავტორის სულიერ პიროვნობის დასახასიათებლად გამოდგებიან. სხვა მნიშვნელობა ქართველ საზოგადოებისთვის და ლიტერატურისთვის მათ არ ჰქონდათ. ჩვენც ამისდა კვალად მოვეკიდებით საქმეს. თავდაპირველად მივაქციოთ ყურადღება ავტორის ქართულ ნაწერებს. ისინი არამც თუ იმას დაგვანახებენ, რა შესძინა ნიკოლაძემ ქართულ ლიტერატურას, არამედ რამდენად მას დაუხმებდა ამტკიცებდა ავტორი თავის აზრებს. მწერლის ენა, მისი

„სტილი“ საუკეთესო საშუალებაა მისი გონება-მახვილობის, სულიერ მოძრაობის გაგებისათვის. მკაფიო სიტყვა ხშირად აზრის სიმწიფის მაჩვენებელია და ლექსიკონის სიმდიდრე აზროვნების სიმდიდრეს მოასწავებს.

როგორც წინა წერილებში, ეხლაც, ჩვენ აზრთა მიმდინარეობა და მნიშვნელობა გვეჩვენება სახეში, ვიდრე ქრონოლოგიური აღნუსხვა წერილებისა. ამ უკანასკნელს მით უფრო არ გამოუდგებით, რომ ჩვენი მწერლის ბიოგრაფია სრულიად შეუმუშავებელია და უამისოდ ჩვენ არ ვებდავთ ქრონოლოგიურ წეს-რიგის დაცვას ჩვენი მწერლის სალიტერატურო მოღვაწეობის კითხვაში. ამ წერილის სათავეში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნ. ნიკოლაძე იმ ახალგაზდათაგანი იყო, რომელმაც ზურგი შეუქცია მესამოცე წლებში ძველ თაობას და ძველ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას. მისი აზრი, გრძნობა, მისწრაფება—სულ მომავლისაკენ იყო მიქცეული და მიმართული. ამისათვის იგი მკაცრ და მკვახე მსჯავრს სდებდა არამც თუ გვდაბირებულ მოღვაწეებს, ახლებსაც და ხშირად ვერ ეწყობოდა და ვერ ურიგდებოდა თავის მედროვე ახალ თაობას. მომქმედმა, დაულალავმა, შორს მჭვრეტელმა ნ. ნიკოლაძემ იმ თავითვე შეიგნო ერთგვარი ცხოვრების ხასიათი, იგი სდევნიდა ყოველგვარ გაუბედაობას, ლაჩრობას, „სენტიმენტალობას“. ავტორის აზრით, „ვინც გაიმარჯვა—ის ჭკვიანი და საქებია, თუნდ გაემარჯოს მარტო გარემოების შემწეობით. და ვინც წაიქცა, ვისაც ანგარიში შეეშალა, ან ვისაც მიზნის მიღწევის ნება არ მისცა სრულიად წარმოუდგენლმა გარემოებამ, ის ყველასთვის სასაცილო და ტალახით გასათქერი ხდება“ *). ნიკოლაძის მკვახე სიტყვა ბევრს ჭკუაში არ მოსდიოდა. მისი „რეალიზმი“ აფრთხობდა და აშინებდა. ხოლო ჩვენი ავტორი მაინც თავისდა იძახოდა. ცხოვრებასთან ხუმრობა ლაჩრობად ეჩვენებოდა. ცხოვრება არ უნდა იყოს მოკლე ბურუსით. უნდა ვიცოდეთ, რა ამოძრავებს ადამიანს, ამოქმე-

*) „დროება“ № 44 1873 წ.

დებს მის აზრს, გონებას, გულს. „სანამ ქვეყანა ქვეყნად დარჩება, კაცის მოქმედებას მიზეზი ყოველთვის შიმშილი და საყვარელი იქნებაო, ე. ი. კაცზე მარტო სტომაქს და ქალს ექნება გავლენაო*)“. მესამოცე წლების მატერიალიზმი, ბიუზნერის, მალეშოტის, სპენსერის და დარვინის მოძღვრება და ფილოსოფია გამოიყურება ამ სიტყვებიდან. რომანტულ პოეზიაზედ აღზრდილ თაობას ვერაფრად ექაშნიკებოდა ამგვარი აზრები, პატრიოტულ ყმაწვილკაცობას, რომელთაც სამშობლო მამული სათაყვანებელ საგნად მიაჩნდათ, სტომაქის და სქესობრივ მიდრეკილების გაღმერთება შეურაცხყოფადაც არ ეყოფოდათ. ნ. ნიკოლაძის პირდაპირობა, მოურიდებლობა, ბევრ უსიამოვნობას ჰბადავდა თვით ახალგაზდობის წრეებშიაც. ხშირად ზომიერებას აცილებდა ხოლმე ჩვენი ავტორი, უსამართლობასაც იჩენდა საზოგადოებრივ მოვლენის აწონ-დაწონაში. ყური დაუგდეთ, როგორ ხდის ახალ თაობას (თავის თანამდროვეებს): „ყოველ საზოგადოებაში თვითოეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით მე ეს ახალი სარგებლობა მოუტანე ჩემ ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევიძინე და ახალი გზა გაუხსენი უკეთესი ცხოვრებისკენ.— შეუძლია ჩვენ ახალგაზდობას გულზე ხელი დაიდვას და სთქვას ეს სიტყვები? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა. მაშ ნუ დავიფიწყებთ, რომ იმ თაობას, რომელსაც ამ სიტყვების თქმის უფლება არა აქვს, ისტორია სწორეთ იმგვარად სთვლის, როგორც ცხოველების ჯოგს, რომელიც მხოლოდ მით ასარგებლებს ქვეყანას, რომ მოძოვებულ მინდორზე ნაკელს ჰყრის“*). აშკარაა, ამ სიტყვების შემდეგ ბევრი არ შერჩებოდა ჩვენს ავტორს გულის შემატკივარი მეგობარი. მართლაც, ნიკოლაძე თითქმის ყოველთვის განცალკევებულად მოქმედებდა, ყოველ

*) კრებული № 4 1871 წ.

**) ახალგაზდობაზე „კრებული“ № 1—3 1871 წ.

თვის თავის საკუთარს გზით მიდიოდა, დამოუკიდებლად და უშიშრად. ყმაწვილ კაცობას, სხვათა შორის, „ბანკის“ თაობაზედაც შემოუწყრა. ამას ჩვენ შემდეგ დაუბრუნდებით. ეხლა კი უნდა ვსთქვათ, რომ შემდეგში თვითონ ჩვენმა ავტორმა აღიარა, რომ ცოტა არ იყოს უსამართლოდ ჰკიცხავდა ახალგაზღობას. ბესარიონ ლოღობერიძე, რომელთანაც მკაცრი შეტაკება მოუვიდა ქუთაისის ბანკის წესდების შესახებ, არც ისე დანაშაული აყო საზოგადოების წინაშე. კაცი არ არის შეუცდომელი. რაც შეეხება გულწრფელობას და ზნეობრივ პატიოსნებას, ამაზედ წუნს ვერაფერს დასდებს ბესარიონ ლოღობერიძეს, რომელსაც ამაგი მიუძღვის მაშინდელ ახალგაზღობის წინაშე *). აი რას სწერს ამის შესახებ ათი წლის შემდეგ ჩვენი ავტორი. „ახალი თაობა გვიდგა წინ, განახევრებული, ამტერებული, გადაკადებული ერთმანეთზედ... რომ იცოდეთ, რა ნაირად გვახარებს, — განაგრძობს ავტორი, — რამდენად გვაბედნიერებს ის აზრი, რომ შემცდარი ეყოფილვართ... ეხლა გულ დამშვიდებულად შეუძლია სთქვას კაცმა, რომ ისინი (ახალგაზღობი) შემცდარნი იყვნენ მარტო, და არა მოყიდულნი წუთიერის ანგარიშებით. აი ეს აზრი გვასხამს ფრთას, გვაიმედებს, ძველ შხამს გვაიწყებს და ახალ ძალას გვაძლევს“ **). ადრეთუ გვიან ეს აუცილებლად უნდა აღიარებინა ნიკოლოძეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი თაობა მიკერძოებას და პირადს ანგარიშების გასწორებას დასწამებდა. მას, ამ თავის „შეცდომის“ აღიარების შემდეგ მეტი ფასი ეძლევა იმას, რაც დაუწყრია ნიკოლოძეს წინად თავის თანამეგობრე ახალგაზღობა მოღვაწეებზე, განსაკუთრებით ილია ქავჭავაძეზე. და აი რა აზრისა აყო 1873-ში ამ უკანასკნელზე. „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზღობა, მხნე, ახალი წესის და

*) ბესარიონ ლოღობერიძე მესამოცე წლების ახალგაზღობის წრეს ეკუთვნის, თუმცა წლოვანობით იგი უფროსი იყო თავის ამხანაგებზე. ბ. ლოღობერიძემ არა ერთი და ორი ყმაწვილი მოამბადა უნივერსიტეტისათვის. მანვე შეიმუშავა ქუთაისის ბანკის წესდება.

***) „შრომა“, № 24 1882 წ.

ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეიფარა „ცისკარში“ და ამ ნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბეს“ და „ცისკრის“ შუა, სჩნდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაშია“*). მაშ არც ისეთი უძლური და სუსტი ყოფილა ის ახალგაზღობა, რომელსაც დრო გამოშვებით შოლტავდა გულზედ მოყვანილი, გაცეცხლებული ჩვენი ავტორი. „განა ამ სტრიქონების დამწერი, — განაგრძობს იგი, — ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად, გ. წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს ან ს. მესხს? ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან იმას? არა. ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვა-და-სხვა აზრისანი ვართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვექონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგულად ვემსახურებით.“*) ესეც დავიხსომოთ და ამ ადგილზედ მივუთითოთ ყველა იმათ, ვისაც ჰგონია, რომ ამ ორ მწერლის შუა (ჭავჭავაძე და ნიკოლაძე) არსებითი განსხვავებაა და რომ ისინი ორ სხვა-და-სხვა ბანაკს ეკუთვნოდნენ — ჭავჭავაძე კონსერვატიულს, ნიკოლაძე — ლიბერალურს. ერთსაც და მეორესაც ერთი მიზანი ჰქონიათ, ხოლო სხვა-და-სხვა გზებით აღწევდნენ ამ მიზანს. რამდენად მართალია ეს მოსაზრება, ამას თან-და-თან უფრო თვალსაჩინოდ დავინახავთ.

II

სანამ შევეჩებოდეთ ნ. ნიკოლაძის საზოგადო შეხედულებას, დავინახავდეთ, როგორ ხსნის ავტორი ჩვენს სოციალურ ცხოვრებას, დაუკდოთ ყური, რას გვეტყვის ავტორი

*) „კრებული“ 1873 წ.

*) „კრებული“ 1873 წ.

ჩვენი ხალხის ხასიათზედ, მის ისტორიულ წარსულზედ, როგორ დამჩნეულა და გამოსახულა ეს წარსული საქართველოს სხვა-და-სხვა ტომთა ფსიხიურ თვისებებზე. ამ საგანზე ავტორი გვაძლევს კობტად დაწერილს ფსიხოლოგიურ ეტიუდს, რომლის საშუალებით სცდილობს გადაგვამლოს დაფარული, საიდუმლო ხალხის გული. მაშ ყური დაუგდოთ. „ქალი რომ შემოყვარდეს,—ამბობს ავტორი,—მე ვეტყვი, ჩემი თუ ხარ, ორივე ლოყით და ორივე ტუჩით ჩემი იყავი, თუ არა და ღმერთმა მთლად ერთიანად სხვას მოახმაროს შენი თავი. თორემ რა საქციელია, ერთი თვალით მე მილიმოდე და მეორეთი ჩემს მეგობარს მეთქი.*) თფილისს ეკადრება ამნაირი სიტყვა: კეკლუცი ქალივით, ის ხან ევროპის ცხოვრებას და ევროპიელებს ექალაჩუნება, ჩვენ გვიღიმებს, ხან იმ სპარსელების ცხოვრებისკენ ბრუნდება, რომელნიც დამეკეკებული ხელებით მის წერილ შვილს ბინძურ და უგემურ „ლულა—ქებას“ აძლევენ... ესრეთია თფილისი... როგორც ბევრ ხელში ნამყოფი ტურთა ქნება და ლაზათს და სიცოცხლეს ჰკარგავს, განაგრძობს ავტორი, როგორც მისი მოწყვეტილი ყელი და ჩავარდნილი თვალები ნიადაგ უამბობს კაცს მის დაბნეულ ცხოვრებას, ისე, ამ საუკუნის დაწყებამდე, საქართველოს მინდვრების იშვიათი წელ-მოხრილი და უშნო ბუჩქები და სრულიად უმცენარო მიწა გულმწუხარეთ თითქო ბუტბუტებდა: აქ, ჩვენზე, ბევრ ურჯულოებს გადაუვლია და მათი გულ - მკერდი ისე მაგრათ დავგხუტებია, რომ ყველაფერი, რაც კი გვებადა, გასრესილი და გაღეწილი დარჩაო... ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრება ათასნაირად ამტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი ყოფილა „ერი პურადი, გულადი, მებრძოლი შავის ბედისა,“ მაგრამ ამ მშვენიერი ხალხისაგან დღეს ჩვენ რა დაგვრჩენია, პურადობის გარდა? ან პურადობა რაა, თუ კი პური არსად მოიძებნება: ამ ჩვენ გადატყავებულ მინდვრებზე? ქართველს ტანში (აშკარაა, ავტორი იგულისხმებს ქართლ-კახეთის აზნაურობას)

*) „ქრებული“ № 4 1871 წ.

დღეს ისეთი დაზნტებული სული უდგას, რომ მისი კეთილი სურვილი ნიადაგ ფუჭ და მიუწვდომელ სურვილად რჩება. თავის სპარსული ხალიჩით და სპარსული მუთაქით შორთულ ტახტზე ქართველი დილიდამ საღამომდე წევს, თითქო მამა-პაპების გმირობას მისი სხეული დაუძალავს, წევს და დაძინებაც ეზარება. ნატურის მეტე იმას არფერი რომ არ სჭიროდეს, დარწმუნებული იყავით, რომ ის მთელ ქვეყანას გაასასუფევლებდა... სპარსეთის ვარჯიშობამ ჩვენ მინდვრებში და დარბაზებში, მათმა გამარჯვებამ ჩვენ ციხეებზე და ქალბატონებზე, ასე დაამცარა ჩვენი ხალხის ხასიათი, ასე ამოჰკაფა მის გულში მხურვალე და პატიოსანი სიმადლე და ამისთანა უბრალო, პაწია გრძნობა ჩათესა ჩვენ ძარღვებში... დააკვირდით ქართველი კაცის ხასიათს (ავტორს ქართლელი ჰყავს სახეში), ქართველ ბუნებას, ღვინოს, ერთის სიტყვით, რასაც კი გსურდეთ, და მაშინვე დაინახათ, რომ სპარსელის ხელი და თესლი ყველაფერს დაჩნევია, ყველგან ჩათარულა, ყველაფერი გაუსპარსელებია*).

აქ ჩვენი ავტორი სულ უბრალო საგნებზედ გვიწყებს ლაპარაკს—ღვინოზედ, სიყვარულზედ, სიმღერაზედ და სხვ. „იმერული ღვინო ახლისებს, ანტუნებს, აყმაწვილებს, ან, ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, „აკიკიკებს“ კაცს, მოგვითხრობს ავტორი. კაცს მარტო კახური ღვინო ათრობს. მძინარე ზანტი კაცი უხალისოდ სვამს მძიმე და მაგარ ღვინოს, რომელიც ზორბა ცხენის ნალივით აჯდება მის გულს. პირველივე ყანწი გულ-მომაკვდინებელ სპარსულ კილოზე გამოთქმულ სიმღერას გგვრის, რომელშიაც ყოველნაირი ხმა და გრძნობა ისმის, ქართულის ხმისა და გრძნობის გარდა. ამ სიმღერაში ქართული სიტყვების მეტი, არა არის რა. ის დაღონებული სიმღერაა, ნათქვამი მომაკვდავი ხმით, ზანტად ტანის მრხეველი კაცი საგან... მოუმატეთ ამას სპარსული ყურთმაჯა, ბუხრული ქუდი, განიერი სპარსული შალვარი, და პირისახე, რომელიც სანა-

*) „კრებული“ № 4 1871 წ.

ხევროთ კახურს ჩამოგავს და ნახევარი სპარსულს, მიბლანდული, დაღალული თვალები და თქვენ ძნელად შეგეძლებათ სთქვათ, საქართველოში ხართ, თუ სპარსეთში, ქართულია ლხინია თქვენ წინ, თუ სპარსული მეჯლიში“*).

ღვინის დაფასებაში არ შევალთ, რაც შეეხება ქართულ ხასიათის გადასხვაფერებას და გასპარსელებას, ამაში ეჭვი არ არის. რაც ორიგინალურ ქართულ-კახელის თვისებად მიგვაჩნია, ხშირად სხვისია, უცხოეთიდან გამოსული, სპარსეთის ზედგავლენის ნაყოფია. ზოგიერთ ჩვენ „პატრიოტებს“ გული უკვდებათ ხოლმე, ხედვენ რა ქართულ ხასიათის გადაგვარებას, და იმას ვერ ატყობენ, რომ დასტირიან სხვის ორიგინალობას. ქართული ხასიათი მიმალულა, დაფარულა, მას გამოჩნახვა სჭირია, მისი თვისებების აღდგენა და გასუფთავება. ჩვენი ავტორის სიტყვებს სწორეთ ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდათ და ექნებათ: დაუფლოთ ყური, კიდევ რას გვეტყვის საგულისხმოს. „სიყვარულშიაც ქართლელს და იმერელს შუა ამნაირივე განსხვავებაა*). ქართლელ კაც უყვარს ქალი, როგორც ცოლი. ის მძიმეთ ეარშიყება, მძიმეთ უახლოვდება ქალს, ცდილობს ჯვარის დაწერას და სახლში დამწყვდევას... რაკი ქართლელი ჯვარს დაიწერს, მისი ყოფა-ქცევა იმნაირათვე მძიმე, უხალისო და თითქო უნდომია, როგორც მოვალეობის ასრულება. იმერელ კაცს უყვარს ქალი სიყვარულისთვის. ის ეარშიყება, ეთამაშება, ეხუმრება თავის საყვარელს, თამაშობს და ათამაშებს, ხალისით, კასკასით, ტრფობით. კაცს ეგონება, აჲ ნამდვილი გრძნობაო. მაგრამ მისთვის ძნელი არაა, დაივიწყოს ხეალ დღევანდელი ტურფა და ზგგ მეორეს უძღენას თავისი აღერსი, სიხარული, სიყვარული და კასკასი... როგორც სიყვარული, იმნაირია ენა, საუბარი, — განაგრძობს ავტორი. ქართლელი ლაპარაკობს მტყლად, ნელო, დამჯდარათ, დალაგებით. მისი სიტყვა ზანტად შორდება თავის დაჩვეულ ყელს, თითქო გარეთ გამოსვლა ეზარებაო... მთელ საუბარს სპარსული დალი,

*) *ibid.*

რითმი ატყვია... სულ სხვანაირად ლაპარაკობს იმერელი. მის ჰირში სიტყვები ცეკვავენ, თითქო ერთი მეორეს ასწრებს დაბმულ ყელიდგან თავისუფალ ჰაერში გამოსვლასო... ხოლო ყური მიუგდეთ, რას გვეუბნება ქალებზე. „ქართლში და კახეთში ქალი მეტის-მეტათ ჩუმი და მოსვენებული ქმნილებაა. მის სიცოცხლეში და მის თვალში სიყვარული, ალერსი და გრძნობა მნაირივე მომბეზრებელი და აუცილებელი სენია, როგორც ყვავილი ან ხურება. რაკი იმას ამ სენის „მოხდის“ დრო დაუდგება, ცდილობს როგორმე მალე მიცილოს მისი „ბატონობა“, თავაზიანათ დედა ბებიებიდან ნასწავლ სიტყვებს და გალობას ხმარობს და რაც შეიძლება მალე უბრუნდება თავის მოსვენებულ ტახტს, რაც შეიძლება მალე შედის თავის ნაჩვევ ცხოვრების კალაპოტში... იმერელ ქალს ხალისი, სიცხოველე, კეკლუცობა და სიმარტე დედის მუცლიდანვე ებადება. რაგინდ ოსტატურათ თავდაკავებული იყოს იმერელი ქალი, მის ხტომია თვალეზე და სქელი ტუჩების რხევაზე, მისი სხეულის მიხერა-მოხერაზე... აშკარათ აჩნია, რომ ეს საუკეთესო არსება ღმერთს სიყვარულისთვის გაუჩენია. მეოჯახობის, ავითყოფის მოვლის იმერელ ქალს თავი არა აქვს, ამ საქმისთვის გაჩენილია ქართლელი ქალი. მაგრამ საყვარლის, კავშირისა და შვილების ტრფობაში, ხალისში, საზოგადოებაში იმერელი ქალი სწორეთ ნამდვილი დარდიმანდია... იმერელ ქალს რომ ქართლელი ქალის შინაურობა, საოჯახო თვისება დაუმატოთ, ან ქართლელს—იმერელი ქალის ალერსი და ხალისი, თქვენ მაშინ ხელში სრული არსება გეყოლებოდათ. საუბედუროთ, ბუნებას არ შეუზავებია ამ ჩემი პლანით ქართლელი და იმერელი ქალის ხასიათი და ეს განხეთქილება ქართლსა და იმერეთს შუა, ჩემი აზრით, მეტის მეტად სამწუხაროა“, დასძენს ავტორი.

ღვინოსი არ იყოს, სიყვარულის და ქალების კითხვაშიაც ვერ შეუდგებით. იმის ვარაუდს, რამდენად არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს ამგვარი დახასიათება, ვერ ვიტყვით აგრეთვე იმერელ თუ ქართლელ ქალებს უფრო უნდა სწყენოდათ ამნაირი დასურათება. გზმოცდილი კაცების სიტ-

ყვით კი, ჩენი ავტორი არ უნდა სცდებოდეს თავის დახასიათებაში. ამგვარივე აზრისაა, მაგალითად, ჩენი პოეტი აკაკი, თუმცა ამ უკანასკნელს ქართლელ ქალში მეტი ღირსება უპოვნია*). კითხვა იბადება, რამ დაჰბაღა ამგვარი ხასიათის განსხვავება ორ ერთის ოჯახის შვილებს შუა? სად, რაში უნდა ვეძებდეთ ამ განსხვავების მიზეზს? ხალხის ფსიხოლოგიის კითხვა თუ განტერესებთ, ამაზედ დამზადებული უნდა გქონდეთ ჰასუხი. ნ. ნიკოლაძესაც, რაც დაუწერია ამ საგანზედ, გასართობათ არ დაუწერია, მან ხელოვნურის ნიჭით გააცოცხლა მძიმე და რთული პრობლემა. განყენებულს საგნებზე ლაპარაკს, ცოცხალ, მარტივ მაგალითების დასახვა ირჩია. ზოგს აწყენინა, ზოგი გაახარა. ხოლო ამასთან ყველა ჩააფიქრა. საქმე და ძალი სწორედ ამაშია. მწერლის წერის უნარი, სტილი ამსუბუქებს, აადვილებს გასარკვევ საგანს. და ეს დიდი ღირსებაა ჩენი ავტორისა. მაშ რა ჰასუხს იძლევა ავტორი ზემოდ დაყენებულ კითხვაზედ. რაც უფრო მეტს აკვირდება კაცი ამ განსხვავებას ქართლსა და იმერეთს შუა, იმით უფრო და უფრო

*) ქართლელ ქალმა სიყვარული
 ტრფიალებად გამოხატა,
 კაცის გული რკინათ სახა,
 თვისი მასზედ ანდამატა,
 იმერელმა კი ამ გრძობას
 ანგარიშიც დაამატა,—
 სთქვა: თუ კაცი თავი არის,
 ქალი უნდა იყოს კატა!
 რომ კუდ ქნევით და კრუტუნით
 შეაცდინოს, დაიჭიროს,
 ხან შეიპყრას, ხან გაუშვას,
 ხან აცინოს, ხან ატიროს,
 არც მოკლას და არც არჩინოს,
 მის მტვრეტელი გააკვიროს,
 და რა დასტლექდეს მისი მსხვერპლი,
 მერმე სხვებზედ ინადიროს!

გაკვირვებულია ის ერთიანათ. რას მოუხდენია ეს საკვირველი განსხვავება, რას დაუდევს ამნაირი ორპირი დალი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის?... ძველ დროში ოსმალები დასავლეთით დაბრძანდებოდნენ იმერეთში და როგორათაც სპარსელები, აოხრებდნენ ქართლსა და ქახეთს. ოსმალოს ხასიათი ცოტათი ნაკლები დარჩა იმერლების ძარღვებში, მაგრამ მაინც დარჩა, და ქართლსა და იმერეთს შუა, შედაკებით, სწორეთ ამნაირივე განსხვავებაა, რაგორაც ოსმალოს და სპარსეთს შუა. ოსმალო ქეთის, ალერსის და ხალისის მოყვარეა. ამას მაჰმადი სწამს, მაგრამ მაჰმადზე უფრო მტკიცეთ მისგან დაპირებული „გურიები“ სწამს, მათი მშვენიერი გრძელი თმით, მათი ეუეუნა, მოცინარე თვალებით, ნაზი ტანის რხევით და სიყვარულით მოშაქრული ტუჩებით. ის მაჰმადის სარწმუნოებას აერცვლებს, მაგრამ უფრო იმისთვის, რომ ამ გავრცელებას მოსდევს ამ ქვეყანაშივე გურიების მსგავსი ქალების მითვისება, მათი ალერსით დატკობა, მათი სიყვარულით გათფობა... სპარსელი კი უფრო ცხელ ქვეყანაში დაბადებული და აღზრდილია, იმას უფრო სჩვევია ფანატიზმი, სხვისი ცხოვრების მტვრევა, სხვისი რწმუნების ამოკვეთა.—როგორც კაცი, სპარსელიც ემონება ხოლმე სიამოვნებას, მაგრამ ის ყოველთვის გრძნობს მის უკანონობას... ის სიამოვნებას როდი ეძებს, მაგრამ, როცა სიამოვნება მის წინ დგას, იმოდენა ღონე არ აქვს, რომ სიამოვნებას მოშორდეს... სპარსელებს იშვიათად მიჰყავდათ ქართლელი ქალი. ოსმალოებმა კი გაზიდეს იმერეთიდან ახალგაზდა ლამაზი ქალები. ამის გამო... იმერეთის ხასიათის, იმერეთის სისხლის ნაკლებათ დატყობია ოსმალოების დალი. სპარსელების ხასიათის ბეჭედი კი მუდამ ჩვენ ოჯახებში რჩებოდა, ჩვენ სახლებში იზრდებოდა—და დღესაც სჩანს ქართულ ცხოვრებაში... მაგრამ იმერეთის ცხოვრებას ერთი საშინელი დალი დასმია, რომელიც, საქართველოს საბედნიეროდ, ასცილებია ქართლელ კაცის ყოვლად დატანჯულ და ყოვლის ამტან წარსულ ცხოვრებას. ეს დალი დაუკრავს იმერეთის ხასიათზე ოსმალოების და მათში გარე-

ული ბერძნების ქალაჩუნობას, პირმოთნეობას და ფარისევ-
ლობას!.. როცა მე მშვენიერს, ბუნებით ჭკუიანს, ბასრი, გამ-
ჭრიახე გონების და გამბედავი ხასიათის იმერლებს ვაკვირდე-
ბი... ვფიქრობ, რა საჭიროა ამისთანა ჩინებული და გონიერი
ხალხისთვის ეს ორპირი ენა, ეს ქალაჩუნობა, ურამლოდაც
იმას წინაღვე აქვს მოგებული ყოველი კაცის გული და გრძ-
ნობა, პატივის ცემა და სიყვარული. რას უმატებს იმათ, ვითომ,
ეს პირმოთნეობა, სიყვარულის თხოვნა, როცა უიმისოდაც
მზათაა კაცი შეიყვაროს ეს მშვენიერი ხალხი და პატივის ცე-
მით, რითაც გი შეუძლია, ხელი გაუწყოს მის მოძრავ და მხიარულ
ცხაფერებას?.. ასე, ხშირათ, მშვენიერი, სიცოცხლით და სილამ-
აზით სავსე იმერელი ქალი, ენეჟილივით ანთებული, ვარ-
დისფერი ეშხით და ლაზათით, დაუზოგველათ იცხებს თავის
ახალგაზდა პირისახეზე საძაგელ ყვითელ უმარილს და აგურის-
ფერ, უხეირო, უშნო ფერს, რომელიც სრულიად ღუპავს მისი
მშვენიერი თვალების სხივს და პირის სახის სიცოცხლეს...“*)

ასე ათავენს ნიკოლაძე თავის პატარა ფსიხოლოგიურ
ეტიუდს. აქ, რასაკვირველია, მეცნიერულ გამოკვლევას ვერ
იპოვნის კაცი, მეცნიერულ დასაბუთებას ვერ ნახავს ამ კოხტა-
წერილში. აქ ჭკვიანი კაცის დაკვირვებაა და ამ დაკვირვების
ოსტატური გადაცემაა. აქ თქვენ გასიამოვნებთ ადვილად გა-
მოთქმული სიბრძნე და დაფიქრება, და გატკობთ ცოცხალი
„სათამაშო“ ენა და კილო ავტორისა. ჩვენ განგებ შევაჩერეთ
მკითხველის ყურადღება ამ წერილზედ, რომელიც საუცხოვოდ
არამც თუ წერის საგანს გვისურათებს, თვით ავტორსაც კარგათ
ახასიათებს. შემდეგი წერილებიდან სულიერი პიროვნება ჩვენ
ავტორისა უფრო გამოიკვევა, რადგან გვეცოდინება, რა გამოი-
ტანა ჩვენმა მწერალმა ევროპიდან და როგორ და რანაირად
განმარტა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

არჩილ ჯორჯაძე.

*) *ibid.*

უცხოეთის მიმოხილვა

1. კიდევ საფრანგეთი და რუსეთი. 2. ჩინეთი—ჩინური მოგზაურობა, ლიხუნჩანგი და მანჩჯურია. კულტუროსანთა მოქმედების შედეგი. 3. ჭურების საქმე. 4. პურის ბაჟი გერმანიის რეიხსტაგში.

ვუბრუნდებით ერთ საკითხს, რომელსაც ჩვენ გაკვირვებით შევხვებით ერთ-ერთ ჩვენ მიმოხილვაში (VIII, საფრანგეთი და რუსეთი). ეს კითხვაა საფრანგეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა. ვუბრუნდებით იმიტომ, რომ ეს კითხვა საყურადღებოდ მიგვაჩნია და გარდა ამისა ახალი ფაქტები—საფრანგეთის ესკადრის გაგზავნა კუნძულ მიტილენესაკენ და მართლმადიდებელ და კათოლიკე ბერების შეტაკება იერუსალიმში—უფრო დაწვრილებით ახსნას თხოულობენ მიმოხილველისაგან.

შკითხველს, რასაკვირველია, ეცოდინება, რომ საფრანგეთის მთავრობამ დიპლომატიური კავშირი შესწყვიტა ოსმალეთთან ზოგიერთ წვრილმან უთანხმოებათა გამო (მაგალითად იმიტომ, რომ ოსმალეთმა ვალი არ გადაუხადა ვილაც ლორანდოსა და ტუბინის) და როცა არც ასეთმა მოქმედებამ გააწყურა, კალიარის სარდლობით ესკადრა გაგზავნა მიტილენესაკენ და ნავთსადგური და დამოქნა დაიკავა. შეშინებული ოსმალეთის მთავრობა ეხლა ყველაფრის თანახმა შეიქნა და გარდა წვრილმან მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა, მან იცნო კანონიერად არსებობა საფრანგეთის 1) ყველა სკოლებისა და მიანიჭა მათ სრული თავისუფლება სადამოქნო გადასახადისაგან, 2) ყველა საავათმყოფოებისა და რელიგიურ დაწესებულებათა და

განათავისუფლა ისინი საადგილმამულო და სადამოქონო გადასახადებისაგან, 3) ნება მისცა საფრანგეთის მთავრობას ააშენას და შეაკეთოს ყველა სკოლები და საავათმყოფოები, რომელნიც 1895—1896 წწ. დაზიანდნენ (და 4) პირობა დადო, რომ საფრანგეთის მთავრობას შეეძლება დაარსება და აშენება ყოველგვარ დაწესებულებისა, თუ ნ თვის განმავლობაში, სათანადო თხოვნის მიცემის შემდეგ, ოსმალეთის მთავრობა დასაბუთებულ პასუხს არ მისცემს მთხოვნელს.

საფრანგეთის მთავრობა დაკმაყოფილდა საფრანგეთის ამ უფლებათა განახლებით და განაახლა ოსმალეთთან წესიერი დიპლომატიური დამოკიდებულება. არ არის კმაყოფილი თვით საფრანგეთის ერი და ეს უკმაყოფილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ერი სხვა შედეგს მოელოდა ისეთის სერიოზულ საქმისაგან, როგორც არის ესკადრის გაგზავნა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიის დასაპყრობად. როგორც კი ესკადრის გაგზავნის ამბავი შეიტყო საზოგადოებამო, სწერს პელტანი, ყველას პირზე „სომხეთის საქმე“ ადგაო. თუ საშინელ 1894-1896 წლებში ვერ დავებმარეთ ტანჯულ ერს, ვისარგებლოთ ეხლა შემთხვევით და, თუ მართა ჩვენ ვერ გადაეწყვეტთ ამ კითხვას, დავიწყით მაინც და ინიციატივა გამოვიჩინოთ ამ საერთო ლეტარგიის დროსაო; დიდ რევოლიუციის საფრანგეთის საკადრისი პოლიტიკა ასეთი პოლიტიკა იქნებოდაო და სხვა.

საფრანგეთის ეხლანდელი მთავრობა შესდგება ისეთის პირებისაგან, რომელთაც არა ნაკლებ გული შესტკივთ ტანჯულ ერისათვის და არა ნაკლებ ესმისთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის მატერიალურ და მორალურ ინტერესებისათვის ოსმალეთის მცირე ერების ენერგიულ მხარის დაჭერას საფრანგეთის მხრივ. სხვა რომ არა, ანგარიში მაინც იციან და კონსტანტინეპოლის სავაჭრო კამერის ანგარიშით, 1894-1896 წლებში, როცა საფრანგეთის მთავრობა ასე გულგრილად შესცქეროდა სომხების საქმეს და ნაკლებ ენერგიას იჩენდა, საფრანგეთის იმპორტი ოსმალეთში თითქმის განახ-

ევრდა, შემდეგ კი ისევ იმატა, როცა უფრო მეტი ენერჯია გამოიჩინა საფრანგეთის ელჩმა. მიუხედავად ამისა, სომხეთის კითხვის წამოყენება მაინც ვერ გაბედეს ჯერ. ვერ გაბედეს იმიტომ, რომ საფრანგეთის პოლიტიკა დამოუკიდებელი არ არის, როგორც ეს ჩვენ უკვე ახსნილი გვაქვს (VIII). აი ეს დამოკიდებულება არის, რომ ხელს უშლის საფრანგეთის ნამდვილ ეროვნულ პოლიტიკას და ამიტომაც არის, რომ თან და თან მეტი მოწინააღმდეგე უჩნდება არსებულ პოლიტიკურ კომბინაციას — ფრანგ-რუსთა კავშირს.

საფრანგეთს ოსმალეთში დიდ-ძალი მატერიალურ და მორალური ინტერესები აქვს: მილიარდზე ბევრად მეტი ფული: ფრანგებისა ოსმალეთში დაბანდული. ამ მხრივ რუსეთზე ლაპარაკი არც კი ღირს, გერმანიას საფრანგეთის ნახევარიც კი არა აქვს ოსმალეთში და ინგლისს მარტო სავაჭრო ინტერესები აქვს.

რომ ფრანგის მატერიალური ინტერესი არ შეილახოს, აუცილებლად საჭიროა, რომ საფრანგეთის მთავრობას დიდი გაყლენა ჰქონდეს კონსტანტინეპოლში, და თუ ოსმალეთმა დაინახა, რომ სხვის ნება დაურთველად ხმას ვერ ამოიღებ, აინუნშიაც არ ჩაგაგდებს და იმის მხარეს დაიჭერს, ეონც გაბედულად და დამოუკიდებლად მოქმედებს. ასეთი მოქმედება გამოიჩინა მაგ. გერმანიამ და ამიტომაც არის, რომ მისი გაყლენა ოსმალეთში დღითი-დღე იზრდება და საფრანგეთის ადგილს იკავებს.

გარდა წმინდა მატერიალური ინტერესებისა, საფრანგეთს სხვა დიდი საზარუნავიც აქვს ოსმალეთში: ამ სახელმწიფოს ქვეშევრდომი კათოლიკენი საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება — ეს მემკვიდრეობაა ძველის საფრანგეთისა, რომელსაც მეტოქე არ ჰყავდა ერთ დროს აღმოსავლეთში. მაგრამ რა მფარველობის გაწევა შეეძლება ქვეყანას, თუ მას სუსტად და სხვის ყურმოჭრილ ყმად სთელიან. მთელი სირია, სადაც სხვა და სხვა დროს დიდძალი სისხლი დაუღვრია საფრანგეთის ერს, აქამდე საფრანგეთის უცილობელ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მრავალ სკოლების საშუალებით სირიელი ეგრე ვთქვათ გაფრანგდა: ფრანგული ენა დღესაც ძალიან გავრცელებულია ამ ქვეყანაში. მაგრამ ძველ გაელენის დაკარგვის გამო, საფრანგეთს აქ მოცილებები გამოუჩნდნენ — რუსები და გერმანელები. რუსეთი სცდილობს სკოლების საშუალებით მართლ-მადიდებლობა გაავრცელოს დამასკოში და ლიბანის ჩრდილოეთ მხარეს. დიდ-ძალ ფულებსა ხარჯავს რუსეთი აგრეთვე პალესტინაშიც, ჭადაც შეურიგებელი მტრობა და ბრძოლაა მართლ-მადიდებელ და კათოლიკე ბერებ შორის. მართლ-მადიდებლებს ხელმძღვანეთობს და ეხმარება რუსეთი, კათოლიკებს საფრანგეთი. ნოემბრის პირველ რიცხვებში იერუსალიმში ხელჩართული ბრძოლა მოხდა ამ ორ დასთა შორის და 20 მღვბერი მძიმედ დაჭრილი წაიღეს ბრძოლის ველიდან — მაცხოვრის ტაძრის კიბიდან: ცოცხებით დაუმტვრიეს ერთმანერთს თავები. ამ გვარი შემთხვევა წვრილმანი და სასაცილო არ არის. გავიხსენოთ, რომ სწორედ ამისთანავე შემთხვევას მოჰყვა ყირიმის ომიც, რომელმაც 300,000 სული იმსხვერპლა. „მატენი“ ეხლა ოფიციალურ გახეთად ითვლება და აი რას სწერს იგასხვათა შორის ამ შემთხვევის გამო: „ყველაზედ ცუდი ამ კითხვაში (რუს-ფრანგთა მეტოქეობა მცირე აზიაში). ის არის, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია. რამდენიმე საუკუნეა არსებობს იგი და შეიძლება კიდევ რამდენიმე საუკუნემ გასტანოს. ეხლანდელ შემთხვევაში დაზარალებული და დაშავებული ჩვენ მთარველობის ქვეშ მყოფი ფრანკისკანლებია და ამიტომ უნდა მოვსთხოვოთ საზღაური ჩვენ მეგობარ რუსებს, რომელნიც ამ ბოლოს დროს უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებენ პალესტინაში. ვაი თუ ამ ცოცხის ომმა ფრანგ-რუსთა კავშირიც ინაცვალოს!“ რასაკვირველია, ეს ცოცხის ომი არ ინაცვალებს ფრანგ-რუსთა კავშირს, მაგრამ იგი დამახასიათებელია იმ მწვავე მოცილებობისა და წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს საფრანგეთსა და რუსეთ შორის აღმოსავლეთში. ამ მოცილებობასა და წინააღმდეგობას კი ადრე თუ გვიან შეუძლია ბოლო მოუღოს ამ არა ბუნებრივ კავშირს.

ნიშნებს იმისას, რომ ეს კავშირი თან და თან ფასს კარგავს საფრანგეთის ერის თვალში, ეხლაც ვხედავთ—ერი ენერგიულად თხოულობს მთავრობისაგან გაბედულ და ენერგიულ ეროვნულ პოლიტიკას. გაზეთ „როსია“-ში მოყვანილია ფრიალ საყურადღებო საუბარი ამ გაზეთის კორესპონდენტისა ერთ გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწესთან... დამოკადებულ, არა თავისუფალ პოლიტიკის მიზეზით, ჩვენ შეცდომა შეცდომაზე მოგვდიოდა ჩვენდა საზარალოდო, უთქვამს ფრანგს... ეხლა ხან, როგორც იქნა, გაეთავეთ ერთი უსიამოვნო ისტორია ოსმალეთთან. „ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ საქმე სხვანაირად დაბოლოვებულ იყოს, და მაშინ გამოვიდოდო, რომ საფრანგეთმა, რომელიც გულზე ხელდაკრეფილი შესცქეროდა ისეთ შემადრწუნებელ ფაქტს, როგორიც სომხების სისტემატიური გაყვლეტაა, ერთ-ბაშად კეთილშობილური მრისხანება გამოიჩინა და ხმაღს ხელი გაივლო ვიღაც ლევიანტინელ ვაჭრებისათვის (ტუბინი და ლორანდო). განა ასეთი როლი საკადრისია ასეთის ქვეყნისათვის, როგორიც საფრანგეთია და რომელსაც ასეთი ტრადიციები აქვს? და რად ჩავვარდით ასეთ არა სასურველ მდგომარეობაში? იმიტომ, რომ თავის დროზე, როცა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი ხმამაღლა თხოულობდა დავხმარებოდით „წითელ სულთანის“ უბედურ მსხვერპლებს, ჩვენი დიპლომატია გაჩუმებული იყო და თავდაბლად ემოჩილებოდა თ. ლობანოვს (რუსეთის მაშინდელი გარეშე საქმეთა მინისტრი), რომელიც წინააღმდეგი იყო ოსმალეთის საქმეებში ჩარევისა... ჩვენ არ ჩავერიეთ საქმეში, არ წავექომაგეთ დევნილებს და ამიტომაც დავკარგეთ გავლენა, რომელიც გვქონდა..... ჩვენი გარეშე პოლიტიკა არც რესპუბლიკანურია და არც ეროვნული....“ ასეთი საფუძვლიანი უკმაყოფილება თან-და-თან ვრცელდება და ფეხს იკიდებს საფრანგეთის საზოგადოებაში და არც ისეთ პროტესტს იწვევს, როგორც წინათ, როცა ყოველ მოლაპარაკეს რუსეთის წინააღმდეგ ქვეყნის მოლაღატედ აცხადებდნენ.

როგორც წინედაც გვქონდა ნათქვამი, ფრანგ-რუსთა კავშირის დარღვევა ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის, მაგრამ ის კი უხადია, რომ საფრანგეთის პოლიტიკა უფრო გაბედული და აქტიური იქნება და, მაშასადამე, რუსეთს ისეთ სარგებლობას არ მოუტანს, როგორც აქამდე: კავშირით თითქმის მარტო რუსეთი სარგებლობდა და კიდევ შეიძინა არა ჩვეულებრივი გავლენა და ძალა.

*
* *

მკითხველებს ეხსომებათ შესანიშნავი მგზავრობა ეხლა ხან გარდაცვლილ ჩინელ ბისმარკის ლიხუნჩანგისა თავის სამთავროდან პეკინამდე, სადაც მას მოლაპარაკება უნდა დაეწყო უცხოელ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან. მთელის ორის თვის განმავლობაში დეპეშების სააგენტოები იტყობინებოდნენ-ლიხუნჩანგი ამ სოფლიდან ამ სოფელში მივიდა, ლიხუნჩანგი ავით გახდა, ლიხუნჩანგი უკეთ არის და მალე გაემგზავრება პეკინისაკენ, ლიხუნჩანგი ინსტრუქციებს ელის და სხვა ამ გვარები. ეს ლიხუნჩანგისებური მგზავრობა ლიხუნჩანგის პირად ღირსებად ჩათვალეს და მის შორს გამჭვრეტ პოლიტიკოსობას აწერდნენ. ეხლა ლიხუნჩანგი მოკვდა და ევროპის ბევრმა გაზეთმა ის აზრი გამოთქვა, რომ ჩინეთის საქმე ცუდათ წავა, რადგან ერთად-ერთი პოლიტიკოსი მოაკლდაო. მაგრამ ეს აზრი არ გამართლდა: ჩინეთის ქვრივი დედოფალიც ლიხუნჩანგი ყოფილა, მისი მგზავრობაც ისევე პოლიტიკურია, როგორც ლიხუნჩანგისა: ეს რამდენი ხანია დაიძრა ჩინეთის სამეფო სახლი სინანფუდან პეკინისაკენ და ამბობენ ორ თვეზე ვერ მოალწევს ამ სატახტო ქალაქამდეო. პეკინიდან სინანფუმდე კი ესევე სამეფო სახლი ისე ჩქარა მივიდა, რომ ფეხ-მარდ ევროპელებმა მისი გზა და კვალი ვერ გაიგეს.

საზოგადოათ ევროპელების ყოვლად შეუწყნარებელი ბარბაროსული მოქმედება ჩინეთში თან და თან უფრო მეტად ენდება. წინათაც ბევრი იყო მოთხრობილი გაზეთებში ამ ბარბაროსობაზე, მაგრამ აქამდე არ ვიცოდით, თუ ამ ბარბაროსობას სისტემატიური, წინაღვე განზრახული ხასიათი ჰქონდა.

ჩინელების გაჯლეტისა და ძარცვა-რბევის ამბები წინადაც ვიცოდით, მაგრამ ის კი არ ვიცოდით, თუ უცხოელ საელჩოს წარჩინებული მანდილოსნები ყაჩაღობდნენ, სისტემატიურად ძარცვავდნენ ანაბარა მიტოვებულ ჩინელების სახლებსა და სავაჭრო მალაზიებს, არც ის ვიცოდით, რომ მისიონერები, ეპისკოპოსის მეთაურობით, და ჯარის კაცების დახმარებით შედიოდნენ სასახლეში და რასაც იქ იპოვიდნენ, ყველაფერს ითვისებდნენ. ეხლა კი ეს ყველაფერი მტკიცდება გენერალ ეუარონის ოფიციალურ და კონფიდენციალურ მოხსენების იმ ნაწილიდან, რომელიც ფრანგულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს. რა თვალთ უნდა უყურებდეს ამის შემდეგ ჩინელი ევროპიელს, როგორ მოიწონოს და შემოიღოს ის კულტურა, რომლის წარმომადგენელიცაა — ქალებიცა და მქადაგებელიც კი — უსვინდისოთ ყაჩაღობენ.

ევროპის წარმომადგენლებმა ქალმა და კაცმა, ბერმა და ერის კაცმა, ყველამ ერთობით სამარცხვინო ბოძზე მიაკრეს ევროპის კულტურაცა და ქრისტიანობაც, ორივე შეაძულეს და შეაზიზღეს ჩინელს, რომლის ვითომ და განათლებისათვის ასე ზრუნავენ კულტუროსანი ჰუნები. აი ეს არის შედეგი „მოკაეშირეთა“ შეერთებულ ძალების მოქმედებისა ჩინეთში, ეს სამსახური გაუწიეს მათ ევროპას, მის კულტურას და სარწმუნოებას.

* * *

სრული ოცდა ექვსი თვეა ძლიერი ინგლისი ებრძვის თავისუფლებისათვის თავდადებულ ბურებს და ჯერ კიდევ შორს არის ომის დასასრული. საკვირველი და უმაგალითოა ეს ბრძოლა. ჩვენ, კლასიკურ სკოლის აღზრდილთ, როცა გმირობაზე და გმირებზე ვლაპარაკობთ, ძველი საბერძნეთი და ბერძენ-სპარსთა ომიანობა გვაგონდება — მილტიადესი, თემისტოკლესი, არისტიდესი, კიმონი და სხვები, აი ის გმირები, რომელნიც მაგალითებად გვაქვს წარმოდგენილი და გმირობის დაფასების დროს ამათ ვხმარობთ საზომად. მაგრამ არც ერთი ზემოთ დასახელებული გმირი გმირობით ვერ შეედრება სამხრეთ-აფრიკაში მებრძოლ ბურების სარდლებს. სად ძველ სპარსელების დომხალივით არეულ ჯარებთან ბრძოლა და სად ინგლისის

გაწერთნილ ჯართან კიტჩენერის სარდლობით! იმას, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ დევეტის მოქმედებას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდეს კაცობრიობისათვის, როგორც მაგალითად მალტიადესისა და თემისტოკლესისას: სად კულტურის შემქმნელ ბერძნების გამარჯვება ბარბაროს სპარსელებზე და სად ბურების, თუნდ უმაგალითო, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ბურების ეს ბრძოლაც დიდ-მნიშვნელოვანი და ჰკუის დიდი მსწავლებელია როგორც ძლიერებისათვის, ისე სუსტებისათვისაც. მართო მატერიალური ძალა გამარჯვებით კი გამარჯვებს, ისიც ყოველთვის არა, როგორც ბურებმა დაამტკიცეს, მაგრამ ამ გამარჯვებას მტკიცე ნიადაგი არასოდეს არ ექნება: გერმანელები მატერიალურად გამარჯვებული არიან პოლონელებზე, იმდენათ გამარჯვებული, რომ არავითარ უკანონობის ჩადენის არ ეშინიათ და არ რცხვენიათ (გერმანელ პოლონელებს გარდა ჩვენ მკითხველს სხვა უკეთესი მაგალითებიც ეცოდინება), მაგრამ რითი უნდა დაბოლოვდეს ეს გამარჯვება? პოლონელების აღმოფხვრით? არა ეგვონია. მატერიალურ გამარჯვება ზნეობრივ გამარჯვებასთან ერთად კი სულ სხვაა—ასის წლის განმავლობაში ისე მონათლა საფრანგეთმა ლოტარინგიელი გერმანელები ზნეობრივ, რომ აქამდე ცრემლმორეული ვასცქერიან დაკარგულ სამშობლოს საფრანგეთს და ვერ შერიგებიან გერმანიის იმპერიას. რიცხვით მცირე ბურების ასეთი სიმტკიცე და გულგაუტეხელობა უმთავრესად მათი საქმის ზნეობრივ სიმართლეს მიეწერება და ინგლისელების სისუსტე—ამ ზნეობრივ სიმართლის უქონლობას. სამწუხაროა და მეტად სამწუხაროა, რომ ინგლისი, თავისუფლებისა და კანონიერების კერა, მართალ საქმეს ებრძვის და სამხრეთ-აფრიკაში ხარჯავს იმდენ ძალღონეს, რომ წინააღმდეგობა ვერ გაუწევია უღირს მეტოქეთა თავისუფალ ფართაშობისათვის ქვეყნის სხვა და სხვა ნაწილებში.

დიდი ზარალი მიაყენა და ცუდი ლაქა მოსცხო ინგლისის დიდებულ ერს ჩემბერნელის და მის მომხრეთა პოლიტიკამ. თუ კიდევ დიდხანს შერჩათ ბატონობა ამ პირებს, ვინ იცის, ინგლისს რა ბოლო მოეღოს. მაგრამ ინგლისელი, თავის

სამშობლოს ნამდვილ და არა მოსაჩენებელ დიდების მოყვარე ინგლისელი, მალე გამოიღვიძებს და თავიდან მოიშორებს ჩემბერლენისებურ იმპერიალისტებს, რომელთაც ასე უბედურად წარმოუდგენიათ ქვეყნის ეს დიდება. ჩვენ ყველანი ვამაყობთ ჩვენის დიდებულის იმპერიით, სთქვა ბანერმანმა, ყველას თავი მოგვაქვს ჩვენის ერის პირველობით, ყოველთვის მზად ვართ ვემსახუროთ მის გაძლიერებას და დიდებას, მაგრამ ჩვენ, ლიბერალებს, არ გვრწამს ისეთი იმპერია, რომელიც თავის საკუთარ სარგებლობის გულისათვის ფებ-ქვეშ თელავს სხვა ერის უფლებას... მთელი ჩვენი დასი მოწადინებულია, რომ ინგლისი დიდებული იყოს, მაგრამ განა დიდება არის, რომ სხვა ერების ადგილ-მამული უსირცხვილოდ ხელში ვიგდოთ და დავისაკუთროთ?“ ნამდვილ ინგლისელის სიტყვა და აზრი ეს არის და ეს აზრი ისევ იღვიძებს თავისუფლების მოყვარე ინგლისში.

* * *

მარტო დევნებების მკითხველსაც კი ეცოდინება, რომ გერმანიის მრეწველობა ამ ბოლოს დროს მეტად გაქირვებულ მდგომარეობაშია: უმაგალითო განვითარების და აყვავების შემდეგ გერმანულ მრეწველობას მწვავე კრიზისი დაუდგა და ბევრი სადაქრო და სამრეწველო ფირმა გაკოტრდა. კრიზისს, რასაკვირველია, ჩვეულებრივი შედეგი მოჰყვა—დიდ ძალი მუშა უსაქმოდ დარჩა. როგორც იტყობინებიან, მარტო ბერლინში ოცდაათუთხმეტი ათასზე მეტი მუშაა უსაქმოდ დარჩენილი და მთელ გერმანიაში კი ასიათასზე მეტს ანგარიშობენ გაზეთები. და სწორედ ამ მწვავე კრიზისის დროს ვილჰელმ მეორის მთავრობა კანცლერ ბიულოვის მეთაურობით ყოველ ღონეს ღონობს რეინსტაგში პურის ბაჟის მომატების პროექტი გაიყვანოს. გერმანიის რეინსტაგს არ ახსოვს ისეთი გაცხარებული და მწვავე კამათი, როგორც ეხლა არის და ეს ადვილად ასახსნელიცაა—უცხოელ პურის ბაჟის მომატება იმას ნიშნავს, რომ საწყალმა ხალხმა, კრიზისის გამო კიდევ უფრო გასაწყლებულმა, ტყავი უნდა გაიძროს და მერე ვისთვის—გაუმძღვარ გერმანელ მებატონეებისათვის, რომელთაც არ ჰყოფნით აუარებელ მამულების დიდი შემოსავალი თავიანთ უსახლკრო

მადის დაკმაყოფილებისათვის. სულ ტყუილია, ვითომ აგრარები გლეხების ინტერესებსაც იცავდნენ და ამათ გაჭირვებულ მდგომარეობის დახმარება სურდეთ; ტყუილია იმიტომ, რომ გერმანელი გლეხობა ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში სრულებითაც არ იმყოფება თურმე. სოციალ-დემოკრატი ბებელი ამტკიცებს თავის სიტყვაში, რომ 1882 წლიდან 1895-მდე დამოუკიდებელ მესაკუთრე გლეხების რიცხვი 12⁰/0-ით გაიზარდა და ამის შესაფერადვე გაზრდილა საგლეხო მფლობელობის ტერიტორიაც. (საინტერესოა, მარქსის მიმდევარის პირში ასეთის საბუთების წამოყენება). გლეხი თურმე უფრო ადვილად უძლებს ეგრედ წოდებულ აგრარულ კრიზისს, რადგან, ბებელისა არ იყოს, „მეტრესების“ და სადოლო ცხენების ყოლის სურვილი ეგრე რიგად არ აწუხებს გლეხობას.

უსაბუთოა აგრარების მეორე მოსახრებაც, ვითომც გადიდებულ ბაჟების შემოღებით შეიძლება შეჩერებულ იქნას სოფლელების ქალაქებში გადმოსახლება, რადგანაც ჯერ ერთი (მოგვეყავს ბებლის სიტყვა) „თქვენ (აგრარები) სოფლის მუშას ქირას არ მოუმატებთ და მეორე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის ცოტათი მაინც შეგნებული შვილი სტოვებს სოფელს იმიტომ, რომ იგი ვერ იტანს იუნკრის (მებატონის) მოპყრობას, სამოქალაქო უფლებათა, კრებას თავისუფლებისა და კოალიციის უფლების უქონლობის გამო. განა თვითონ იუნკერი უარს ჰყოფს ამას? ეხლა, კრიზისის დროს, შრომის ბიუროებმა წინადადება მისცეს მემამულეებს აეყვანათ უსაქმოდ დარჩენილი ქალაქის მუშები, მაგრამ შემდეგი პასუხი მიიღეს იუნკრებმა— ეს მუშები (ქალაქის) ბევრის მომთხოვნე არიანო.“

ერთის სიტყვით, პურის ბაჟის მომატება მარტო აგრარების გულის მოსაგებად არის განზრახული და თუ რას მოუტანს გერმანიის ეხლანდელ მთაწრობას ამ გვარი ღონისძიება, ეს მშვენიერად გამოთქვა რიხტერმა შემდეგის სიტყვებით: „თუ სოციალ დემოკრატია იმას მისცემს მთელ თავის ქონებას, ვისაც ყველაზე მეტი სარგებლობა მოაქვს ამ პარტიისათვის, ეს ქონება გრაფ ბიულოვს (უფრო კი ვილჰელმ I-ს) დარჩებოდა“.

რედაქტორი
დ. ჭყონია

გამომცემელი
დ. ჯაბბდარი

ფიზიოლოგია

დ—რის ფესტკრისა

(სურათებით)

შესავალი § I

1. ზამთარში სეირნობისა, ან ყინულზე სრიალის დროს ჩაუფიქრებინართ თუ არა როდისმე იმ გარემოებას, რომ დედამიწა ქვასავით გამაგრებულა, ტბა გაყინულა, ყოველივე კი გაცივებულა და მოძრაობა დაუკარგავს; ამავე დროს არ გაგკვირებიათ და თავის თავს არ შიკითხებინართ? „რათ ვარ მე თბილი, ყოველივე კი, რაც ჩემს გარშემოა—დედამიწა, ხე, წყალი და ჰაერი ასეა გაცივებული? რატომ არის, რომ მე მოძრაობა, სიარული, სირბილი და ხტუნაობა შემიძლია და დანარჩენი კი, რასაც თვალითა ვხედავ, უმოძრაოთ არის, გარდა გზა-დაბნეულისა და საკვების უიმედოთ მძებნელის ფრინველისა?—“

ვერც თქვენ და ვერცა სხვა ვინმე გარდაწყვეტილი პასუხს ვერ მისცემს ამ ორს საკითხს; ხოლო შეგვიძლია რამდენადმე პასუხი მივცეთ. მეცნიერება, რომელიც ამ კითხვის პასუხს იძლევა, არის ფიზიოლოგია.

2. თავის ნებისზე მოძრაობა შეგვიძლიათ. ხის ტოტები და ფოთლები შეინძრევიან მაშინ, როცა ქარი შემოუბერავს; ქვა კი მაშინ, თუ ვინმე აიღებს და გადადებს. თქვენ არც ერთი ეს არ გქირიათ მოძრაობა რომ შეიძლოთ. ფრინველებსაც თავის ნებაზე შეუძლიათ იმოძრაონ ისე, როგორც ძაღლსა და სხვა ყოველნაირ ცხოველს, ვიდრე ცოცხალია. ქვა რომ ერთ ადგილას დასტოვოთ, დარწმუნებული იქნებით, რომ მას ხანგრძლივ დროს შემდეგაც აქვე იპოვით, თუ მიუბრუნ-

დით, და თუ ქვა იმავე ადგილზე ვერ იპოვეთ, ცხადია, რომ ის ვინმემ ან რამემ გადასდო. აბა დასვით მინდორზე ბელურა ანუ თავი?—უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებთ, ისე გაჰქრებიან.

ყოველ ცხოველს შეუძლია თავის თავად იმოძრაოს, და ეს მანემლის, ვიდრე ცოცხალია. რომ შეიტყუოთ, ცოცხალია თუ არა ლოკოკინა, რომელიც გზაში ნახეთ, ჯერ ჯოხით უნდა შეეხოთ, თუ ლოკოკინა მხოლოდ მაშინ შეინძრა, როცა ჯოხით შეეხეთ და გადიცვალა მხოლოდ იმოდენა მანძილზე, რამოდენხედაც თქვენვე გადასწიეთ, ამით უნდა დარწმუნდეთ, რომ ლოკოკინა ცოცხალი არ არის. თუ ლოკოკინა შეხებისთანავე შეინძრა და წახოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ცოცხალია. ყოველი თავის თავად, თავის ნებაზე მოძრაობს, სულ ერთია ადამიანი იგი თუ თვით უკანასკნელი ქმნილება, რომელიც წვეთ წყალში დაფუხფუხებს და რომელსაც ვერ დავინახავთ, თუ არ მიკროსკოპით. მიუშვით ცხოველი თავის ნებაზე და ნახავთ, რომ ის ან მოძრაობს და ან მოსვენებას ეძლევა. მაგრამ თუ ოდნავ რაიმე შეეხო, მაშინვე ან წავა, ან გაიქცევა, ან გაფრინდება ან წახოხდება და ან გაცურავს.

ამგვარსავე რასმე წარმოგვიდგენენ უსულო არსებანიც; მაღალ კედლის თავზე რომ დავსდოთ ქვა და ფრთხილად შევეუწონოთ რასმე, შეეცხებით თუ არა, ის ქვა მაშინვე მიწაზე დაეცემა. დაეცემა თუ არა მიწას, მაშინვე შეჩერდება და, თუ გსურთ განიმეოროთ ცდა, ქვა ისევე კედლის თავზე უნდა აიტანოთ. უეჭველია, გეცოდინებათ ერთნაირი სათამაშო, რომელიც თავს წარმოადგენს; ამ სათამაშოს ერთი ადგილი აქვს, იქ რომ ხელი დააჭიროთ, მაშინვე გაიქცევა, თითქოს ცოცხალი იყოს და თვისი ნებით გაქცეულიყოს. მაგრამ ეს სათამაშო მალე შეჩერდება. და ამას შემდეგ, რაც უნდა ბევრი აჭიროთ ხელი, მაინც არ დაიძვრის. არ დაიძვრის ადგილიდგან, ვიდრე ხელ-ახლავ არ მოაწყობთ, არ მორთავთ. ის ყოველთვის უნდა მორთოთ, როცა კი გესურებათ იმოძრაოთ. ცოცხალი ცხოველები კი მუდამ მოძ-

რაობენ და არც საჭიროებენ, რომ ისინი ვინმე მორთოს, რადგან თვითონვე მუდამ თავის თავს მოირთვენ ხოლმე. მართლაც შემდეგ გავიგებთ, რომ ჩვენიცა და ცხოველების სხეული ფრიად ნაზ მანქანას წარმოადგენს, რომლის მათეულები მუდამ იშლებიან, მაგრამ მუდამვე ხელ-ახლავ იგრეხება?

3. ჩვენ თბილი ვართ. ჩვენ მეტად თბილი ვართ თვით ზამთრის ცივ დღეშიაც, თუ მოძრაობაში ვართ და ტანზე თბილი ტანისამოსი გვაცვია. საზოგადოთ ფიქრობენ, რომ ტანისამოსი სიცივეს არ უშვებს შიგნითო, ნამდვილათ კი ტანისამოსი გარეთ არ უშვებს სითბოს. ლოგინი დაწოლის დროს შეიძლება ცივი იყოს, დილით კი, ადგომის დროს, იგი თბილი აქნება. ჩვენი სხეული ცეცხლსავით მოქმედობს, თავის თავსაც ათბობს და სხვა ყველაფერს, რაც კი მის ახლოა. აგრეთვე თბილია ფრინველი, ძაღლი, ცხენი და ყველა ოთხფეხი ცხოველი, რაც იცით. მართალია, ზოგი ცხოველი, მაგ. ქვეწარმავალი, ბაყაყი, თევზი, ლოკოკინა, მწერი და სხვა მისთანანი, თბილი არ გვეჩვენება ხელით შეხების დროს, მაგრამ ეს ასე არ არის; ნამდვილათ ყველა ეს ცხოველები ცოტათ თუ ბევრად ყოველთვის თბილნი არიან, ხანდისხან შესამჩნევადაც თბილი. სკაში რომ ტერმომეტრი ჩადოთ მაშინ, როცა იქ ფუტკრები მუშაობენ, დარწმუნდებით, რომ ისინი მეტის-მეტად თბილნი არიან. ყოველი ცხოველი, ვინც ცოცხალია; ცოტად თუ ბევრად თბილია, ზოგი ცხოველი კი, მაგ., ფრინველი და ოთხფეხი, მეტის-მეტად თბილიც. ცხოველი თბილია მანემდისინ, ვიდრე ცოცხალია; სიკვდილს შემდეგ კი მალე გაცივდება.

რომ დარწმუნდეთ, ცოცხალია თუ არა ფრინველი, რომელიც ბალახში მდებარე ნახეთ და რომელიც ხელით შეხებითაც არ შეინძრა, უნდა კარგათ გასინჯოთ ხელით. თუ ფრინველი მეტად ცივად აღმოჩნდა, მაშინ უმჯვენლია, რომ დიდი ხანია, რაც იგი მომკვდარა. თუ კიდევ თბილია, სჩანს, რომ ის დიდი ხანი არ არის, რაც მომკვდარა, ან-და შეიძლება, არც კი იყოს სულ მკვდარი და კიდევ წამოცოცხლდეს.

4. ჩვენ თბილი ვართ და თავის ნებაზე გომიქნაობთ. მომკნაობა შეგვიძლია იმიტომ, რომ თბილი ვართ; თბილი ვართ იმიტომ, რომ გომიქნაობთ. წაგორც-და ჭხდება ესაა აბა მოიგონეთ ისეთი რაიმე, რომელიც ცხოველი არ იყოს, მაგრამ თბილი კი იყოს და მოძრაობდეს; მოძრაობდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც თბილია და ათბობდენ მას მხოლოდ იმიტომ, რომ იმოძრაოს. მე აქ ვგულისხმობ ორთქლით მატარებელს ანუ ლოკომოტივს. რა ამოძრავებს ლოკომოტივს? ისა, რომ შეშა ან-და ქვა-ნახშირი იწვის, იქიდან სითბო ჰქნდება, სითბო წყალს ორთქლად ჰქმნის, ორთქლი მოქმედებს საცობზე და ამავე დროს მთელი მაშინა თბება. უეჭველია გეცოდინებათ, რომ ბევრი შეშა ან ქვა-ნახშირი უნდა დაიწვას, რათა მაშინამ დიდს ხანს იმუშავოს და მატარებელი დიდს მანძილზე წაიღოს, გადიტანოს. მაშინამ რომ არ შესწყვიტოს თავის მოქმედება, საჭიროა ფეხს მალი-მალ შეშა მივუმატოთ. ვიდრე მოქმედებაშია მაშინა, მანემდის თბილიც არის. შეშა რომ დაიწვის და ცეცხლი დანელდება, მაშინაც შეჩერდება და ვაცივდება მკვდარ ცხოველსავეთ.

როგორც ორთქლის მატარებელი, ისე ჩვენი სხეულიც მოქმედობს; თბილია იმიტომ, რომ შიგნით ცეცხლი აქვს გაჩაღებული.

საჭიროა ჩვენს სხეულს, როგორც ორთქლით მატარებლის ფეხსაც, დროგამოშვებით ასანთები რამ მივუმატოთ, რომ ცეცხლი არ გაჰქრეს. ხოლო სხეულისთვის ასანთები ნივთიერება შეშა და ქვა-ნახშირი კი არ არის, არამედ საზრდო, საკველი. ჩვენი სხეული ორთქლის მატარებლისაგან სამის თვისებით განირჩევა: ერთი ისა, რომ სხეულს სითბო მიტომ კი არ უნდა, რომ წყალი ორთქლად ვარდაქმნას, არამედ სულ სხვა მიზნისათვის, — ამას შემდეგ გავიგებთ. მეორე კი ის არის, რომ სხეულში სითბო იქიდან კი არ ჰქნდება, რომ მშრალი რამ იწვოდეს, არამედ სველ საზრდოს წვითა, და ასეთს წვას კი მოჟანგება ქვია. ეს მოვლენა-მოჟანგება წყალში ჰხდება და სინათლეს არა ჰბადებს. მესამეც ისა, რომ საკმელი ჩვენის სხეულის ერთს რომეოსამე ადგილს კი არ იწვის, როგორც ფეხში, რომელიც აუცილებლათ საჭიროა მაშინისათვის; საზრდო ჩვენის სხეულის ნაწილად გარდიქმნების და ჩვენი სხეულიც იწვის თან და თან, ცოტ-ცოტათი.

ამ ნაირად საზრდო, რომელიც იწვის და ჟანგდება სხეულში და რომელიც ჩვენის სხეულის ნაწილს წარმოადგენს, სითბოს არ გვაკლებს და მოძრაობასაც შესაძლებელათ ჰხდის. უსაზრდოოთ რომ დარჩეთ, შეატყობთ, რომ თქვენ ფერი და ხორცი დაჰკარგეთ, გაცივდით, დასუსტდით, დაზანდით და მოძრაობაც აღარ შეგიძლიათ. საზრდო თუ იმდენი მიიღეთ, რამდენიც საჭიროა, მაშინ თქვენი მაშინა, ე. ი. თქვენი სხეული საუკეთესოთ მოქმედობს. თუ ისე ასაზრდოვეთ სხეული, როგორც საჭიროა, იგი თბილი იქნება ზამთრის თვით მეტად ცივ ღღეშიაც და განგებ გათბობა არ დასჭირდება.

5. თუ კი ასეა, ცხადია, რომ საზრდოს დასაქანგებლად საჭიროა ჟანგ-მბადი. ორთქლით მატარებელშიაც და ფიქშიაც წვა-ნთება მაშინვე შეწყდება, თუ ახალისა და სუფთა ჰაერის დენა შეწყდა. ესევე ითქმის იმ წვა-ნთებაზე, რომელიც ჩვენს სხეულში ჰხდება. ისეთს ოთახში რომ მოემწყვდეთ, რომელიც ყოველ მხრით დაცულ-დახურული იყოს და მაში ჰაერი აღარ შემოდის, მაშინ ჟანგ-მბადი ოთახში კლების დაიწყებს, რადგან თქვენ მას განუწყვეტლივ ხმარობდით; სხეულის მოქანგება შესუსტდება რამოდენისამე ხნის შემდეგ და თქვენც მოკვდებით, რადგან ჟანგ-მბადი არ გექნებათ.

მთელს სიცოცლესში ჩვენ მუდამ გვჭირია ახალ-ახალი ჟანგ-მბადი და მუდამ უნდა ჩავისუნთქოთ სუფთა ჰაერი, რათა სხეულმა მოქანგება შეიძლოს და ამით ძალა და სითბო არ შემოგვაკლდეს.

6. როცა სანთელი იწვის, მაშინ ის გარდიქნების ხალმე ნახშირ-მჟავედ და წყალად. შეშა და ქვა ნახშირი რომ დაიწვის, ნაცარი-ლა დარჩება. თქვენი საზრდოს ერთი დღის კერძი რომ აიღოთ და გააშროთ, ისიც დაწვას შემდეგ გარდიქნება ნაცრად, ნახშირ-მჟავედ და წყალად (და რამდენიმე სხვა ნივთიერებადაც, რომელთა შესახებ შემდეგ ვიტყვით).

ჩვენ სხეულს მუდამ გამოაქს ნახშირის სიმჟავე, ფილტვებით კი გამოაქვს წყალი; შეგვიძლია ამაში დავრწმუნდეთ, თუ მიწაზე ამოვისუნთქავთ; წყალი აგრეთვე გამოდის კანისა და თირკმლებისაგან. შემდეგ გავიგებთ, რომ სხეულისაგან წყალი უმეტესი გამოდის, ვიდრე საკმელსა და სასმელში მიგვიღია. ამას გარდა, ჩვენს სხეულს თირკმლებითა და ნაწლავებით მუდამ გამოაქვს ისეთი ნივთიერება, რომელიც, თუმცა ნაცარი არ არის, მაგრამ ნაცარს კი ძლიერ ჰგავს. ჩვენ მიერ მიღებ-

ული საზრდო მოქანგების შემდეგ გარდქმნება ისეთ ნივთიერებათ, რომელიც თუმცა ნაცარი არ არის, მაგრამ ნაცრისებური კია. საზრდო დაიწვის და გარდქმნების ისეთ ნივთიერებათ, რომელიც სხეულში აღარ მოიქანგება და რომელსაც, უსარგებლოს, გარეთ გამოაგდებს ხოლმე სხეული.

ამითი თავდება საზრდოს თავ-გადასავალი. სუნთქვის დროს ჟანგ-მბადს ჩავისუნთქავთ, ამ ჟანგ-მბადით მოვაქანგებთ საზრდოს, რომელიც სხეულში არის. სხეულს გამოაქვს გარეთ წყალი, ნახშირის სიმუხვე და სხვა უსარგებლო ნივთიერებანი, მოქანგების შემდეგ დარჩენილნი; ამ მოქანგების მეოხებით კი მივიღებთ სიტბოს, რომელიც გვათბობს, და ძალას, რომლის გამოც შეგვიძლია მოძრაობა.

ამნაირად, მთელს სიცოცხლეში განუწყვეტლივ ვვჭირია ჟანგ-მბადი და საზრდო. ჟანგ-მბადს სუნთქვის დროს, ხოლო საზრდოს ჭამის დროს მივიღებთ. როგორ-ღა გამოვყრით გარედ უსარგებლო მასალას,—ამას შემდეგ გავიგებთ.



ერთის ძველის დროის ფილოსოფოსის არ იყოს, ძლიერ მგრძნობიარე სასწორზე რომ დაბინავდეთ, ნახავთ რომ ის ბადია, რომელზედაც თქვენა ხართ, ჩამოიწვეს ყოველთვის, როცა საჭმელს მიიღებთ. და მეორედ გამოკვებამდე ნელ-ნელა აიწვეს. — ამ დროს კი თქვენ უფრო მჩაღტეცა ხართ და დამშეულიც. თუ იმაზე მეტის საზრდოს მიღება იწყეთ, რაც თქვენთვის საჭიროა, მაშინ ის გადამეტი თქვენს სხეულშივე დარჩება, ნელნელა მოიქანგება, თქვენც დღითი-დღე სიმძიმე მოგემატებათ და კადეც გასუქდებით; თუ ნაკლების საჭმელის მიღება იწყეთ, მაშინ ფერ-ხორცს დაჰკარგავთ და გამჩატდებით. თუ კი საზრდოს არც მეტსა და არც ნაკლებს არ მიიღებდით, მხოლოდ იმდენს, რაც საჭიროა თქვენთვის, იმ შემთხვევაში თქვენი წონა ერთს ღონეზე დადგებოდა და ბადია, რომელზედაც სცხოვრობთ, იმოდენსავე აიწვედა ერთხელ გამოკვებიდან მეორემდე, რამოდენსაც დაიწვედა საზრდოს მიღების დროს.

ამ დაწყებითი სახელმძღვანელოში უნდა შევისწავლოთ: როგორ გამოიქმნება ხოლმე საზრდო ჩვენის სხეულის ნაწილად; როგორ მოიქანგვის იგი; რა ნაირად არის, რომ მოქანგება სამოძრაო ძალას გვაძლევს; რატომ არის, რომ შეგვიძლია ვიმოძრაოთ, როდესაც, როგორაც და რამდენიც გვსურს.

მაგრამ ჯერ ზოგი რამ უნდა გავიგოთ ჩვენის სხეულის აგებულებაზე; უნდა გავიგოთ, რა ნაწილებსაგან შედგება იგი და ეს ნაწილები როგორ-ღა არიან შეერთებული, შეკავშირებულნი ერთმანეთთან.

Mn. ქვედა-ჭაბა.
St. გულის ფიცარი (გერდის ძვალი), გუქონძლოში
R. წიბოზი.
R' წიბოების ხრტილი
Sep. ბეჭი.
Cl. კინკიბა.
H. ყვლოვი.
Ra. წყრთის წინა ძვალი, ცქლაგში.
U. წყრთის უკანა ძვალი.

F. ბარძაყი.
Tb. წვივის დიდი ძვალი.
Fb. წვივის მცირე ძვალი.
 ნახ. II.
St. გულის ფიცარი, როცა წინიდან უცქვით.
R. წიბოების ხრტილი.
R' წიბოთა ნაწევარი.



ნახ. I. ადამიანის ხონხი გვერდით.

§ II. ნაწევარნი, რომელთაგან შემდგარია ჩვენი სხეული

7. თოვლისაგან რომ გააკეთოთ ადამიანის სახე, ჯერ უნდა აიღოთ თოვლის დიდი ქულა, რაიც ტანის მაგიერი იქნება; ამ ქულას თოვლისას დაადებთ თოვლისავე ორს წვრილ ქულაზე, — ეს უკანასკნელნი ფეხების მაგიერნი იქნებიან. ტანის ზევითა ბოლოს ახლო მიაწებებთ ორივე მხრით აგრეთვე ორს — პატარასა და წვრილს ქულებს თოვლისას — ესენი კი ხელები იქნებიან; ტანს ზევიდან დაადებთ მრგვალ ქულას, რაიც თავი იქნება.

თოვლისაგან ადამიანის სახეს ყველა ნაწევარი ერთ ნაირი აქვს, ყველა ნაწევარი ერთნაირი ქულაა. ეს ნაწევარი სიდიდითა და ფორმით განირჩევიან ერთმანერთისაგან, მეტით არაფრითა. ჩვენს სხეულს კი თავი, ტანი და ნაწევარი ერთნაირი როდი აქვს, და ამაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ თქვენსავე სხეულს დაშლით და გასინჯავთ. რასაკვირველია, არ შეგიძლიათ თავისავე სხეული ნაწილ-ნაწილად აკუწოთ; მაგრამ ეს ადვილად შეგიძლიათ დაკლული შინაურის კურდღლის სხეული აკუწ-დაკუწოთ. განსახილველათა და შესასწავლათ ვკვათ თქვენ აიღეთ ერთი რომელიმე ნაწევარი, მაგ. ფეხი.

პირველადვე შეამჩნევთ, რომ ფეხს გარედგან გადაკრული აქვს ბანლიანი კანი. დანითა ან მაკრატლით რომ გასკრათ ეს კანი და სიფრთხილით გაატყავოთ, შეამჩნევთ, რომ კანი შიგნიდგან სრულებით ცუტყუა, პირი სწორი აქვს და ლაპლაპებს. კანის ქვეშ მოთავსებულია ის, რასაც ხორცს ვეძახით. ხორცი კურდღლისა ფერ-მკრთალია, ხარისა და ცხვრის ხორცსავით წითელი ფერისა როდია, თუმცა კი ამ უკანასკნელს ძლიერ წააგავს. ხანდისხან ხორცს ქადაკრული აქვს სამსუქნე (ქონი). ცხვრის ფეხს ბევრი სიმსუქნე აქვს — ამის ნახვა ყოველ საყასბოში შეიძლება; შინაურ კურდღელს ფეხზე ძლიერ ნაკლებათ აქვს სიმსუქნე.

ყოველთვის, როცა კი კუთვებზე (მუსკულებზე) ვიტყვით რასმე, უნდა იგულისხმოთ ეს მოწითალო ფერის ხორცი. ფეხს რომ ხორცის პატარა ნაჭერი მოაცილოთ, დარწმუნდებით, რომ აღვილი საქმეა ამ ნაჭერის პატარ-პატარა ნაწილებათ დაყოფა, ისეთ ნაწილებათ, რომლებიც ფეხს სიგრძით მისდევენ. ყოველი ესეთი ნაწილი ორივე ბოლოთი მიკრულია, შუაზე კი მიუკვრელი და თავისუფალია. თვითეულს ამისთანა ნაწილს ხორცისას ჰქვია მუსკულა. შეამჩნევთ აგრეთვე, რომ ბევრი ამ მუსკულებთაგანი ან ერთის ბოლოთი და ან ორისავე ბოლოთი შეერთებულია თეთრ რასთანმე, რომელიც უეჭველია სულ სხვა ნივთიერებისაგან უნდა იყოს შემდგარი, ვინემ მუსკული. ეს თეთრი რამ მყესია (ძარღვები). მყესი რბილი და ხორციანი კი არ არის მუსკულსავით, არამედ მაგარი და მჭისეა. ძარღვი ხან ფართო და მოკლეა, ხანაც ვიწრო და მოგრძელო.

ატალი რომ ერთმანეთს დააშოროთ, ნახავთ, რომ მათ შორის ფეხს სიგრძით მიყვება თეთრ-თეთრი და რბილი ძაფები; ეს ძაფები ათასნაირათ იყოფიან, ნაწილდებიან და ბოლოს ისეთი წვრილი-ლა ჰხდებიან, რომ თვალით ვერც კი შეამჩნევთ. ეს ძაფები ნერვებაა (ინოხი). ამათ გარდა მუსკულების შორის არის კიდევ სხვა გვარი პატარ-პატარა ძაფები, წითელის ან მოწითალო ფერისა. ამ ძაფებს რომ უჩხვლიტოთ, ამათგან მაშინვე გამოყვანავს ერთი ან რამდენიმე წვეთი სისხლი. ესენი ვენება არიან. ვენა მართლა ძაფი კი არ არის, არამედ გამოღრუებული მილია და სისხლით არის ავსებული. ვენებს გვერდით მისდევენ კიდევ მათნაირი პატარ-პატარა მილები, რომლებშიაც ან ძლიერ ცოტაა სისხლი, ან სრულებითაც არ მოიპოვება. ეს არტერებაა. ვენებსა და არტერიებს სასხლას სადენა მიღება ეწოდებათ. აღვილიათ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ დიდრონ მილებს მართლა სიღრუვე აქვთ. კიდევ თუ გადასწევ-გადმოსწევთ მუსკულებს, ფეხის შუა გუბზე წაატყდებით მაგარ მკაფს; კარგათ თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ უმეტესი ნაწილი მუსკულებისა ამ ძვალზეა მიკრული და მიბმული.

ახლა აბა ეცადეთ ყველაფერი თავის ადგილას ჩააწყობთ; დარწმუნდებით, რომ არ შეგიძლიათ მისცეთ ფეხს იგივე სახე, რაიც წინეთ ჰქონდა, თუმცა კი არ გაგიჭრიათ და არც გაგიგლეჯიათ არც ერთი მუსკული, არც ერთი სისხლის სადენი მილი და არ გაგიტეხნიათ არსად ძვალი. ყოველივე არეული და დახლართულია. ერთის მხრით ეს იმისი ბრალია, რომ თუმცა არ გაგიწყვეტიათ არც ერთი მუსკული და არც ერთი სისხლის სადენი მილი, მაგრამ გავლიჯეთ კი ერთი რომე, რაიც აერთებდა და აკავშირებდა კანს და მუსკულს, სიმსუქნესა, სისხლის სადენს მიღებსა და ძვალს. ხელახლავ თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ყველა ამ ნაწილებს შორის არის თხელი ბეწვის ნაირი ნივთიერება, რომელიც აერთებს ამ ნაწილებს და მათზე გადაფარებული, გადაკრულია, ისე, როგორც ბამბაში ჩააწყობენ და გამოახვევენ ხოლმე ნაზს სათამაშოებს და თხელს იარაღებს. ეს ბეწვის-ნაირი ნივთიერება, რომელიც დაგლიჯეთ და დაწყვიტეთ, არის შემაკაგშმარებელი ქსოვილი, რადგან ის აერთებს და აკავშირებს ყველა ნაწილებს ერთმანეთთან.

ამ ნაირად ფეხზე (მსგავსადვე ხელზე) გვაქვს კანი, სიმსუქნე, მუსკულები, ძარღვები, სისხლის სადენი მილები, ნერვები და ძვალი. ყველა ეს გამოხვეულია და შეერთებული შემაკავშირებელ ქსოვილით და გარედან კანში არის გამოხვეული. ყველა ეს შეადგენს ფეხსა, და მათ ფეხის ქსოვილებს ვუწოდებთ.

8. ამის შემდეგ რომ გადახვიდეთ ტანზე და მუცლის კანი გასჭრათ, მაშინაც პირველად ნახავთ მუსკულებს, ნერვებს და სისხლის სადენ მილებს. ისე, როგორც ფეხში: მუსკულები რომ სიფრთხილით გასჭრათ (რადგან აქ მუსკულების დაშორება ისე ადვილი როდია), ისეთ რასმე შეხვდებით, რაიც ფეხში არ გინახავთ—გეგებრთელა სიღრუვეს. ეს სიღრუვე სულ ახალ რასმე წარმოადგენს და მისი მსგავსი არა გინახავთ რა ფეხში. მართალია, სიღრუვე რალაცათი არის საფეხე, მაგრამ ის მაინც დიდ სიღრუვეს წარმოადგენს. შინაურის კურდღლის

ტანი რომ გაფატროთ წინიდან და ბოლომდე ჩასკრათ ან და სრულებითაც ფერდები მოაქალოთ ისე, როგორც 1 ნახატზეა ეს ნაჩვენები, დარწმუნდებით, რომ მთელი ტანი ღრუ არის თავიდან ბოლომდე, კისრიდან ფეხებამდე.



ნახ. I. შინაური კურდღლის შიგნეულობა, როცა მკერდი და მუცლის კანი ამოფატრულია, მეტი არაფერი.

A. მკერდის სიღრუვე, ორივე მხრით მოქცეული. B. აფსკა. C. უკანა-გულები. D. წინა-გულები; E. ფილტვების არტერია; F. აორტა; S. ფილტვები დაფუკულები. H. პლევრის გვერდითი ნაწილები; I. ხრტილი გულის ფიცრის ბოლოზე; K. კანის ის ნაწილი, რომელიც მკერდსა და მუცელს შუა და რომელიც არ არის გაჭრილი; a. წიბოთა გადაჭრილი ბოლონი; L. ღვიძლი; M. კუჭი; N. ნარჩიელა... O. წვრილი ნაწლევები. P. კიასებური ნაწლავი, რომელიც კურდღელსა და სხვა ბალახის მჭამელთ ძალზე განვითარებული აქვთ. Q. მსხვილი ნაწლავი.

ყურადღებით თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ამ სი-
 ღრუვეს ორად ჰყოფს არდი-გარდმო გარსი. (ნახ. 1. B.). ამ
 გარსს ეწოდება **აუსკა ანუ დიაფრაგმა**. აუსკას ქვევით რომ ნა-
 წილია, იგი უფრო დიდია ზედაზე და ჰქვიან **მუცლის სიღრუ-
 გე** ანუ მუცელი. ამ სიღრუვეში შეამჩნევთ მოწითანო ფერის
ღვიძლს (L); ღვიძლის ახლო არის წყლდუ ფერ-მკრთალი
კუჭი (M) დანარჩენი ნაწილი მუცლისა აღვსილია **ნაწლეგებით**,
 რომელნიც ათასნაირათ არიან მიხვეულ-მოხვეულნი, ზოგან
 ფრიად წვრილნი (O), ზოგან კი ძლიერ მსხვილნი (Po) კუჭ-
 ზე უმსხოსიც კი. ნაწლეგები რომ ერთის მხრით გადააწყობთ, —
 რაიც მეტად ადვილი საქმეა, ნახაეთ, რომ ამ ნაწლეგებს ქვეშ
 მოთავსებულია ხორცის ორი მოწითანო ფერის ნაქერი; ერთი
 ერთს მხარეზეა და მეორე მეორეზე. ესენი **თიარკმლებია**.

აუსკას ზევითი სიღრუვე უფრო მცირეა; მას მკერდი ანუ
 მკერდის უჯრა გუძონდლო ჰქვია. მკერდის შუა ადგილი გულს
 უჭირავს; გულს აქეთ-იქით არის ორი ვარდის ფერი ნაქერი;
 ხელი რომ მოუჭიროთ მათ, ღრუბელი მოგაგონდებათ. ეს ორი
 ნაქერი ხორცისა ფილტვებია (P). კარგათ თუ დააცქერდებით,
 შეამჩნევთ, რომ მკერდის სიღრუვე ისე სრულებით არ არის
 აღვსილი გულითა და ფილტვებით, როგორც მუცლის სიღრუვე
 ღვიძლითა, კუჭითა, ნაწლეგებითა და სხ. მართლაც რომ
 ვრცელი ცალიერი ადგილია დატოვებული მკერდში. შემდეგ
 გავიგებთ, რომ ვიდრე მკერდს გასჭრადით, მანამდის იგი სრუ-
 ლებით სავსე იყო ფილტვებითა. მაგრამ მკერდი რომ გასჭე-
 რით, ფილტვები მოიკუმენ, და ამისი ბრალია, რომ მკერდში
 ცალიერა ადგილი იპოვეთ.

ამნაირად ტანი წარმოადგენს ისეთს ნაწილს სხეულისას,
 სადაც მოთავსებულია ასე წოდებული **შაგნეულობა**; ტანი ზე-
 და და ქვედა ნაწილად არის გაყოფილი. ზედა ნაწილი ტანი-
 სა აღვსებულია გულითა და ფილტვებით; ქვედა კი ღვიძლითა,
 კუჭითა, თირკმლებითა და სხვა ასოებითაც. მუცელი წინი-
 გან მუსკულებითა და კანით არის დაფარული. ასეთი რბილი
 მასალით რომ ყოფილიყო ყოველ მხრით ტანი აგებული, მა-

შინ ის ტომარა იქნებოდა მეტი არაფერი, და ეს ტომარა მხოლოდ მაშინ მიიღებდა თვის სახეს, როდესაც რითიმე სრულებით სავსე იქნებოდა. ამიტომ საჭირო იყო, რომ ზოგი ნაწილი ტანისა გამაგრებულიყო. მართლაც, ჩვენი ტანი ცალიერი და რბილ კედლიანი ტომარა კი არ არის, არამედ ყუთია, რომლის კედლები ზოგან მაგარია. შინაური კურდღლის მკერდს რომ წინიდან ფატრა დაუწყეთ, ამ დროს გასჭერით ზოგი მაგარი ნაწილები. ესენი წიბოა იყვნენ (ნახატი 1. ა); თვითელი წიბო შემდგარია მაგარ ძვლისა და ხტაქისაგან, უფრო რბილ ნივთიერებისაგან. ტანის სიღრუვიდან მთელი შიგნეულება რომ ამოიღოთ და უკანა ნაწილს თითებით შეეხოთ, იგრძნობთ, რომ ტანს მთელ სიგრძეზე, კისერიდან ფეხებამდე მაგარი ნაწილი აქვს. ეს ზურგის ძვალია (დივა). თვისაგან რომ აღაძიანის სახე გააკეთოთ, თქვენ შუა ადგილას სწორ ჯოხს დაარქობთ, რათა ეს სახე სწორათ დადგეს. ამ ჯოხსავეთ იმაგრებს ჩვენს ტანს ზურგის ძვალი, თუ არ ეს უკანასკნელი — ჩვენი ტანი მოიკუმებოდა და დაიფუკებოდა.


9. მუცელს ზურგის ძვლის მეტი არა იმაგრებს-რა. ფერდები და წინა ნაწილი მუცლისა დაფარულია კანითა და მუსკულებით. მკერდის სიღრუვე კი გამაგრებულია წიბოებით, მოგრძელო და წვრილ ძვლებით, რომლების უკანა ბოლო მიბმულია ზურგის ძვალზე, წინა ბოლო კი მაგარ რაზედმე, რომლის ერთი ნაწილი ძვალია და მეორე ხრტილი; ეს რაივე არის მკერდის ძვალი ანუ გულის ფაწადა.

ზურგის ძვალს ერთი გრძელი ძვალი კი არ შეადგენს. ზურგის ძვალი რომ ერთის ძვლისაგან ყოფილიყო შემდგარი, იმ შემთხვევაში ჩვენ მოხრა აღარ შეგვეძლებოდა. შეგვიძლია ტანი მივხრა-მოვხრათ იმიტომ, რომ ჩვენს ტანს შეადგენს ბევრი პატარ-პატარა და ბრტყლად რგვალი ძვლები; ეს ძვლები ერთმანეთზედ არის დადებული, ერთმანეთთან შეკავშირებული ბრტყელი ბოლოთი. თვითვეული ეს ბრტყლად რგვალი ძვალი არის ხერხემალი და მას თავისებური სახე აქვს. წარმოიდგინეთ ძვლის ბრტყელი ბორბალი, რომელსაც ერთის მხრით

ძვლისავე რგოლი აქვს მიბმული. ესეთია ხერხემალიც. მთლიანი ბრტყელი ბორბალი არის ტანი ხერხემლისა, რგოლი კი მისი მშვილდი. ამნაირი ძვლები რომ ერთი მეორეზე დააწყით, ისე კი, რომ ბორბალი ბორბალზე იყოს და რგოლი რგოლზე, მაშინ მიიღებთ ზურგის ძვლის მსგავსს რასმე (ნახე ნახატი ცალკე ფურცელზე და აგრეთვე 2. ნახატი). ბორბლები შეადგენენ მთლიანს ბოძს, რგოლები კი მილს. ამნაირათვეა ზურგის ძვალიც. ის კია, რომ ხერხემალი ნამდვილი ბორბალი და რგოლი არ არის; ტანი ხერხემლისა ჰგავს კი ბორბალს; მაგრამ მშვილდი უხორკლია როდია, იგი დაკბილულია; ტანი ხერხემლებისა სხვა გვარადვე არის შეკავშირებული. ასეა თუ ისე, ის კი ნამდვილია, რომ ყველა ხერხემლების ტანი შეადგენს მთლიანს ბოძს, და ეს ბოძია კიდევ, რომ იმაგრებს ტანს სხეულისას. რგოლები მილს შეადგენენ; ამ მილს ჰქვია **სეჰხემლის შიდა** (ნახატი 2. C.S.). ამ მილის დანიშნულებასაც მალე გავიგებთ. ბრტყლად რგვალი ტანი ხერხემლებისა მოქცეულია ტანის სიღრუვისაკენ. აი სწორეთ ამ ნაწილებს ხერხემლებისას შეეხებით, როდესაც თითს ააგლებთ ტანს შიგნიდან. რგოლები კი მოთავსებულია ხერხემლების ტანის უკან, ასე, რომ იმათ ვერ შეეხებით მუცლიდან. მაგრამ შინაური კურდღელი რომ გადმოაბრუნოთ და მუცლით დასდოთ და თითი ააგლოთ ზურგზე, კანის ქვეშ იგრძნობთ (ესევე შეგიძლიათ ჰქნათ თქვენსავე ზურგზე) მახვილ ქედს; ეს ქედი შემდგარია იმ ძვლებისაგან, რომელნიც ხერხემლის რგოლებზედ არის ამონახეთქი. ეს ქედი ზურგს სიგრძით მისდევს.

ჩვენი ტანი ამნაირად არის შემდგარი: წინ არის დიდი სიღრუვე; ამ სიღრუვის ქვედა ნაწილში მოთავსებულია შიგნეულობა; ზედა ნაწილს სიღრუვისას კი შემოარტყმული აქვს ძვლის საღტები, რომლებიც ქვედა ნაწილზე ანუ მუცელზე არ არის (ანუ კი არის მხოლოდ ზოგან); უკან არის უფრო მცირე, გრძელი და წვრილი სიღრუვე ანუ მილი, ხერხემლის რგოლებით შემოზღუდული; ეს მილი ყოველივე მხრით ძვლით არის შემოზღუდული და შეიცავს ნივთიერებას, რომელზედაც

შემდეგ ვიტყვით; ამ ორ სიღრუვეებს შუა მოთავსებულია მთლიანი ბოძი—ეს ბოძი ხერხემლების ტანისაგან არი შემდგარი. შინაური კურდღელი რომ გასჭრათ სიგანეზე მკერდის ადგილას, თვალ-წინ იგივე სურათი წარმოვიდგებათ, რასაც ხედავთ 2 ნახატზე, C.; ამ ნახატზე C.S არის წერალი მილი



ნახ. 2. A. ნახატი შუაზე გაჭრილის ადამიანის სხეულისა. C.S: თავის ტვინისა და ზურგის ტვინის მოსათავსებელი. N. ცხვირის ხვრელი; M. პირი; Al. საზრდოს მოსაწყობელი მილი, რომელიც აქ წარმოადგენილია სწორ და პირდაპირ მილათ; H. გული; D. აფსკა; B. თავის სიგანეზე ჩამონაჭერი, ახ. ხაზის მიყოლებით; ასოები აქაც ის მნიშვნელობა აქვს. რაც წინა ნახატზე. C. განდაგანი ნაჭერი სხეულისა cd საზის მიყოლებით; ასოები აქაც იმავე მნიშვნელობისა არიან.

ხერხემლების რგოლებისა; მკერდის დიდ სიღრუვეში კი მოთავსებულია გული, რომელიც შემოფარგლულია წიბოებით; უკანა ბოლო წიბოებისა ხერხემლებზედ არის მიკრული, წინა ბო-

ლო კი მკერდის ძვალზე. ორივე სიღრუვე გარედან დაფარულია მუსკულებით, სისხლის სადენი მილებით, ნერვებით, შემაკავშირებელი ქსოვილით და კანით იმ ნაირათ, როგორც ეს ფეხშიაც იყო.

10. ახლა თავი და კისერა უნდა შევისწავლოთ. შინაური კურდღელს კისრის კანი რომ გაუჭრათ, პირველათ შეგხვდებათ მუსკულები და ნერვები, აგრეთვე სისხლის სადენი რამოდენიმე დიდი მილი; მაგრამ აქ დიდ სიღრუვეს, რაიც ტანში ნახეთ, ვერ იპოვით. ამ მხრით კისერი ფეხს წააგავს. თუ ყურადღებით დააცქერდებით, კისერში ნახავთ ორ მილს, რომელიც სისხლის სადენ მილებს არ წააჰკავს და არც ფეხში მოიპოება რა მათი მსგავსი. ერთი ამ მილთაგანი შქისეა და მაგარ რგოლებისაგან არის შემდგარი; ეს სასულეა ანუ სასუნთქაგვი ყიას. მეორე მილი კი რბილია და იფუკება. ეს მილი წარმოადგენს სანერწყვავს ანუ საყლაპავს ყიას, და აერთებს პირსა და კუქს. ამ მილებისა და მუსკულების უკან ნახავთ ზურგის ძვალს, რომელსაც წიბონი არა აქვს; ეს ძვალი აგრეთვე შემდგარია ხერხემლებისაგან და შეიცავს ხერხემლის მილს. ეს ზურგის ძვალი და ეს ხერხემლის მილი კისრისა მხოლოდ გაგრძელებაა ტანის ზურგის ძვალისა და მალისა.

ამნაირად, კისერი ფეხისაგან განირჩევა მით, რომ შეიცავს ზურგის ძვალსა და მილს, სასუნთქავსა და საყლაპავს ყიას; ტანისაგან კი იმითი განირჩევა, რომ არც სიღრუვე და არც წიბოები არა აქვს.

არც თავი წააგავს სხვა ნაწევართ. თავის აგებულება რომ გაიგოთ, საჭიროა შინაური კურდღლის ქალა და თავი ერთად დასდოთ. ასე თუ მოიქცევით, მაშინვე გაიგებთ პირისა და ყელის აგებულება-შენობასა. კარგათ შეამჩნევთ, რომ ძველი ქალა კრძანას მგლსაგან შესდგება; კიდევ აქვს ერთი თავის სუფალი მოძრავი ძვალიც, რომელიც ყბაა, — უფრო მართალი რომ ვსთქვათ, ის ძვალი ქვედა ყბაა, რადგან ყბა ორია. ორივე ყბაზე კბილებია ამოსული. ზედა ყბა ქალას ნაწილია და მოძრაობა არ შეუძლია. ქვედა ყბას კი მოძრაობა შეუძლია:

ის შეიძლება ზედა ყბას მიუახლოვდეს და ან დავაშორდეს რამდენსამე მანძილზე. პირი ორ ყბას შუაა; პირი შეგვიძლია თავის ნებაზე გავაღოთ და მოვკუმოთ კიდევ. ესევე ნაწილები რომ გაისინჯოთ თავის თავზე, დარწმუნდებით, რომ—როგორც შინაურის კურდღლისა, აგრეთვე თქვენი ქვედა ყბა მოძრაობს პირის გახსნისა და მოკუმვის დროს. ზედა ყბა სრულყოფით არ მოძრაობს, თუ მთელი თავიც არ არის მოძრაობაში. ქალას ქვეშ კისერთან პირი გაწვრილდება და ყელად შეიქმნება; ამ ყელის ზედა მხარეზე გამოდის ცხვირის ნახვრეტი, მაშასადამე ყელისაკენ ორი გზაა მიმართული,—ერთი პირიდან და მეორეც ცხვირიდან (ნახატი 2).

ქალას ქვეშიდამ რგვალი ნახვრეტი აქვს; ამ ნახვრეტში რომ ჩხირი შეუყვით, შეამჩნევთ, რომ ქალას შიგნით დიდი და ცალიერი ადგილია. ცოცხალ შინაურ კურდღელს ეს ცალიერი სივრცე ტვინისა აქვს სავსე. ქალა ძვლის დიდ ყუთს წარმოადგენს და ტვინს შეიცავს. ეს ძვლის ყუთი კისრის ხ. რხემლებზეა ზევიდან დადგმული ისეთ ნაირად კი, რომ რგვალ ნახვრეტს, რომელზედაც ეს-ეს იყო ელპარაკობდით, პირდაპირ შეყავხართ მილში, ხერხემლების რგოლებისგან რომ არის შემოზღუდული. სულ ქვედა ხერხემლის რგოლში რომ შეუყვით მავთული, ეს მავთული გაივლის ყველა ხერხემლების მილს და შევა ქალას ტვინში. ტვინს ყუთი და ხერხემლების მშვილდები ყველა ერთად ერთს მილს შეიცავენ; ეს მილი ზურგისა და კისრის ადგილას წვრილია, თავის ადგილას კი ფართო და რგვალი. (ნახატი 2. A II B, C. S.). ვინემ ცოცხალია ცხოველი, მას ეს მილი სავსე აქვს თეთრითა და ნახვრეთიერებით, რასაც ნერვები და ნაკეთობა ჰქვიათ. ნაწილი ამ ნივთიერებისა, რომელიც რგვალია და ავსებს ქალას სილრუვეს, არის თავის ტვინი. ის ნაწილი კი, რომელიც ჯონსავით წვრილია და მოთავსებულია ზურგის და კისრის ხერხემლების მილში, არის ზურგის ტვინი. ამ ორ ნაწილს ნხოლოდ სხვა და სხვა სახელი ჰქვიათ; ისინი ერთმანერთან მკდროთ არიან შეკავშირებულნი; იმ ადგილზე, სადაც თავის

რვეალი ტვინი ზურგის მოგრძელო ტვინად ჰხდება, ვერ გარჩევთ სად არის დასაწყისი ერთისა და სად ბოლოა მეორესი.

11. ქალას, გარდა დიდის ნახვრეტისა, აქვს კიდევ რამოდენიმე პატარ-პატარა ნახვრეტები; ეს ნახვრეტები გარედან შიგნით არის გატარებული. ზოგი ამ ნახვრეტებისა სისხლის სადენ მილებით არის გამოვსებული, სანამ ცხოველი ცოცხალია; ზოგში კი გატარებული თვითი ძაფები, ესრედ წოდებული ნერვები. ნამდვილად კი ნერვები ნერვულ ნაგოთიერების ტატებს წარმოადგენენ და აწყებან ან თავისა ან ზურგის ტვინისაგან. თავის ტვინის ნერვები გამოდიან ქალას პატარ-პატარა ნახვრეტებისაგან; პირველის შეხედვით გეგონებათ, რომ ეს ნერვები ტანში უსწორ-მაწოროდ ვრცელდებიან. ზურგის ტვინის ნერვები კი უფრო რიგ-რიგად არიან გავრცელებულნი, ჩაწყობილნი. ნერვები გამოდიან ორივე მხრით ყოველ ორ ხერხემალს შუა, ამიტრმაც იქ, სადაც ხერხემლები შეერთდებიან, მოიპოება პატარ-პატარა და რვეალი ნახვრეტები. ზურგის ტვინი ნერვებიანათ წარმოადგენს ორქედისა რამეს და ეს ქედი კი აქა-იქ დაკბილულია. იმ ნერვებს, რომელნიც იწყებიან ზურგის ტვინისაგან, ეწოდებათ ზურგის ტვინის ნერვები. გამოშორდებიან თუ არა ხერხემლის მილს, ეს ნერვები მაშინვე განიყოფებიან ბევრ ტოტებათ და ამ რიგად მთელს სხეულში განიფანტებიან. ხორცისა გინდა კანის ყოველ პატარა ნაჭერში უსათუდ იპოვიან ნერვებს და სისხლის სადენ მილებს. ნერვებს ბოლოდგან რომ ამოყვეთ და ამ მამართულებით კვალი-კვალ აღდევნოთ თვალი, შეამჩნევთ, რომ ნერვები ერთმანეთს უერთდებიან და უფრო მსხვილ ძაფებათ შეიქმნებიან ხოლმე; უკანასკნელნი კვლავაც შეერთდებიან და ასე, ვიდრე ზურგისა ან თავის ტვინში არ შევლენ. ახლა ნერვებს რომ მეორე ბოლოდგან აღდევნოთ თვალი, შეამჩნევთ, რომ ისინი პატარ-პატარა და წვრილ-წვრილ ძაფებად იყოფებიან და ბოლოს ისეთი წვრილნი შეიქმნებიან, რომ თვალითაც კი ვერ გარჩევთ. მიკროსკოპით რომ მიყვეთ კიდევ, დარწმუნდ-

ბით, რომ ეს ნერვები კიდევ უფრო და უფრო წვრილდებიან და ბოლოს ბეწვის ოდენადა შეიქმნებიან.

ამნაირადვე ერთდებიან სისხლის სადენი მილებიც და დიდ-დიდ მილებათ გარდიქცევიან და ეს უკანასკნელნი კი გულამდე მიატანენ. სხეულის ყოველ ნაწილში, რამდენამე ადგილას გარდა, ნერვი და სისხლის სადენი მილი უსათუოდ მოიზარება. ყოველი ნერვი ან თავისა და ან ზურგის ტვინისაგან იწყება, სისხლის სადენი მილი კი გულისაგან, ასე რომ ყოველივე ნაწილს სხეულისას განსებებს რამ ადგილი, გული და ტვინი, ან თავისა ან ზურგისა. ქვევით როცა ცოტა უფრო მეტს რასმე გავივებთ, მაშინ მიხვდებით, რომ ამ ხანათ ნათქვამი ძლიერ საჭიროა და არც დასავიწყებელია.

12. მაშასადამე, ჩვენი სხეული შემდეგ ნაირად არის აგებული. ჩვენს სხეულს თავი აქვს. თავის ქალა კანითა და ხორციით არის დაფარული და შიგნით შეიცავს თავის ტვინს. ქალა ზურგის ძვალს ზემოდან აქვს დადგმული (დივას) იქ, სადაც თავი კისერს უერთდება. კისერში ყელი ორ მილად არის გაყოფილი, ერთი სასუნთქავი ყიაა, მეორე საყლაპავი. ორივე მილი ზურგის ძვლის წინ არის გატარებული და ორივე მუსკულებით არის გადაფარებული. მრებადმდისინ რომ მიაღწევნენ, ორივე მილი ტანის დიდს სიღრუვეში შედიან, — ერთი მათგანი ზედა სიღრუვეში ანუ გუძონძლოში.

გუძონძლოში სასუნთქავი ყია ფილტვებით ბოლოვდება, საყლაპავი კი გაივლის მკერდს ზურგის ძვლის მახლობლივ, გაივლის აფსკას (დიაფრაგმის) ნახვრეტს და შედის მუცლის სიღრუვეში; იქ გაფართოვდება, გაგანიერდება და კუჭათ გარდიქცევა. შემდეგ ამისა კიდევ გაწვრილდება, ნაწლევებათ შეიქმნება, ათასნაირად მიიხვევ-მოიხვევა მუცლის სიღრუვეში და გარე გამოატანს.

როგორც ხედავთ, საზრდოს მოსანჯღებელი მილი (ასე ეწოდება იმ გრძელს მილს, რომელიც შესდგება საყლაპავ ყიასაგან, კუჭასა, ნაწლევებისა და სხვათაგან) სხეულის სიღრუ-

გეშა აჩას გატარებული, მაგრამ ასე კი, რომ ეს მიღმა ანტი-
 კთა ნახეგრეთ ან არას შეერთებული სიღრუვესთან. სწო-
 რედ ამ გვარადვეა გატარებული ლამპის წვრილი და გრძელი
 შუშა დიდსა და რვეალს მინის სახურავში—თალფაქში. შეგიძ-
 ლიათ წყალი ჩაასხათ წვრილს შუშაში, მაგრამ არც ერთი
 წვეთი ამ წყალისა მორგველო თალფაქში არ შევა; პირიქითაც,
 შეგიძლიათ აავსოთ წყლით თალფაქი, გრძელი შუშა კი ცა-
 ლიერი დარჩება. ახლა წარმოიდგინეთ, რომ წვრილი შუშა
 მაგარი და მქისე კი არ არის, არამედ რბილი; წარმოიდგინეთ
 აგრეთვე, რომ ეს შუშა მეტის-მეტად გრძელია, მიხვეულ-მო-
 ხვეული და მთელს თალფაქს სისრულით ავსებს; თუ ამას წარ-
 მოიდგენთ, მაშინ ნამდვილი წარმოდგენა გაქვთ, თუ რა გვა-
 რად არის მოთავსებული საზრდოს მოსანელებელი მილი სხეუ-
 ლის სიღრუვეში.

გუძონდლოში საზრდოს მოსანელებელ მილსა, საყლაპავ
 ყიასა და ფილტვებს გარდა არის კიდევ გული, რომელსაც
 თავისივე დიდრონი მილები აქვს; მუცელში კი ანვე მუცლის
 სიღრუვეში კიდევ არის ღვიძლი, თირკმლები და სხვა ასოებიც.

ეს ორი დიდი სიღრუვე და ის, რაც მათ შიგნით არის
 მოთავსებული, ხორცი და კანი, რაც ამ სიღრუვეების კედელს
 შეადგენენ, წარმოადგენს ტანს; ტანზე მიბმულია სახსრებიანი
 მკლავი და ფეხი. ამ ასოებს დღე სიღრუვე არსად არა აქვთ და
 საზრდოს მომნელებელი მილიც არსად მათ ახლოს არ გაუფ-
 ლის.

ერთიც კიდევ რამ უნდა დაიზახსოვროთ. გვაქვს მხოლოდ
 ერთად-ერთი საზრდოს მოსანელებელი მილი, ერთად-ერთი
 ღვიძლი და გული, ორი კი გვაქვს თირკმელი და ფილტვები.
 ერთა ერთს მხარეზეა და მეორე მეორეზე და ერთი მეორეს
 სრულებით წააგავს.

გვაქვს აგრეთვე ორი ხელი და ორი ფეხიც,—და ერთი
 მეორესაგან არაფრით განირჩევა-განსხვავდება. ერთი თავი
 გვაქვს და ერთი მხარე თავ-სა სრულებით წააგავს მეორე
 მხარეს; ზურგის ძვლის ორივე მხარენიც სრულებით ერთმანეთს

ემზგავსებიან, აგრეთვე მსგავსია ორივე ნახევარი თავისა და ზურგის ტვინისაჲ.

მართლაც, შინაური კურდღელი ცხვირიდგან დაწყებული კულამდე რომ გასკრათ, დარწმუნდებით, რომ ამ კურდღლის სხეულის ერთი ნახევარი სრულიად ემსგავსება მეორე ნახევარს, გარდა საზრდოს მოსანელებლის მილისა, გულისა და ღვიძლისა.

ასეთის აგებულებისაა შინაური კურდღელი, და ჩვენი სხეულიც სწორედ ამნაირადვეა აგებული.

§ III. ჩვენის მოძრაობის დრამს და ჭსდებს ხალქმე?


13. ახლა დავუბრუნდეთ იმ კითხვას, თუ როგორ ვახერხებთ მოძრაობას. პირველად განვიხილოთ ერთი რომელიმე მოძრაობა და ვნახოთ, გავიგებთ თუ არა მას.

თქვენ შეგიძლიათ მოღუნოთ თვისი ხელი. კარგათ იცით, რომ თუ ისურვეთ ხელს მოღუნავთ, როცა იგი მაგიდაზეა პირდაპირ გაწვდილი, ე. ი თქვენ შეგიძლიათ ასწიოთ ხელის ქვედა ნაწილი (იდაყვსა და მაჯის შუა ნაწილი, რასაც წყრთა ეწოდება) ხელის ზედა ნაწილამდე ისე, რომ თითები შეეხებიან თქვენს მხარს. როგორ-ღა მოქმედობთ ამის მისაღწევად?

აბა დაუკვირდით ხელის მილებს ჩონჩხზე (ნახე ნახატი ცალკე ფურცელზე; აგრეთვე ნახატი 3). როგორც ხედავთ, ხელის ზედა ნაწილს მხოლოდ ერთი დიდი ძვალი (H) შეადგენს; ეს ძვალი ბეჭსა და იდაყვს შუაა მოთავსებული. ხელის ქვედა ნაწილში კი ორი ძვალია; ერთი ამ ძვალთგანი II იდაყვთან უფრო მსხვილი და მაგარია, ვიდრე მეორე, რომელიც მაჯასთან უფრო წვრილი და სუბუქია.

ხელის ზედა ნაწილს ჰქვია ყვლივი; ქვედა ნაწილის ძვალთა შორის, ერთს, რომელიც იდაყვთან მსხვილი და ფართოა, ჰქვია წყრთის უკანა ძვალი, მეორე კი, რომელიც მაჯასთან

უფრო ფართოა, არის წებოვანი წინა ძვალი; თუ ყურადღებით დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ყვლივის თავი იდაყვთან მორგვალეებულა, იდაყვის უკანა მილის თავი კი იმავე ადგილას ამოღრმავებულია, ამიტომაც ერთი ძვალი მეორეში მჭიდროთ შედის.



ნახ. მ. ხელის ძვლები ორთავა მუსკულითვე. ორი მყესი, რომლითაც ეს მუსკული მიმაგრებულია ბეჭზე, სჩანან **ა**-ში; **ბ**-გვიჩვენებს, თუ როგორ არის მუსკული მიმაგრებული წყრთის წინა ძვალზე; ამავე ადგილას დაებჯინება ხოლმე ძალა. **ვ** არის მისაბჯენი წერტილი და ყვლივის ქვედა ბოლო, რომელსაც უტრიალებს ზედა ბოლო წყრთის წინა ძვლისა (წყრთის უკანა ძვალთან ერთად); **ვ** არის ასაწევი სიმძიმე (ხელი).

თუ გსურთ ერთი ძვლის მიახლოვება მეორესთან, ნახავთ, რომ იდაყვის ძვლის მიახლოვება ყვლივთან მეტად ადვილი საქმეა; იმასაც შეამჩნევთ, რომ ამავე დროს ამ ძვლების შეერთებული ბოლოები არ დაშორდებიან ერთმანეთს. იმასაც შეამჩნევთ, რომ როდესაც იდაყვის ძვალს ზევითა და ქვევით აიღ-დაიღებთ, ამ დროს იმისი და ყვლივის ბოლო ერთმანეთზე დასრიალებენ. ადვილად ეს ბოლოები დასრიალებენ მხოლოდ ერთის მიმართულებისაკენ, ე. ი. ზევით ან ქვევით. განდა-გან რომ მოინდომოთ იმათი დასრიალება, დარწმუნდებით, რომ ისინი ამ მხრით არ მიმოძრაობენ. ამ ძვალთ შეუძლიათ, იმოძრაონ ერთგვარათ კარებიკით. ამ მოძრაობის მეოხებით წყრთის უკანა ძვალი ყვლივს დაუახლოვდება ხოლმე.

თუ კიდევ კარგად დააკვირდებით, იმასაც შეამჩნევთ, რომ წინიდან იდაყვის ძვლის მიახლოება ყვლივთან ფრიად ადვილი საქმეა, აგრეთვე იმათი დაშორებაც, გაშლაც; ისე კი რომ ორივე ძვალი პირდაპირსა და სწორ ხაზს წარმოარდგენდეს; მაგრამ ყოვლად შეუძლებელია იდაყვის ძვალი ყვლივს უკნიდან მიუახლოვოთ. დაუკვირდით აბა იდაყვის ძვლის ბოლოსა—ამ ძვალს უკნიდან ნისკარტისებურად აქვს ცხვირი წამოჩრილი (ნახატი შ. აგრეთვე ცალკე ფურცელზედაც). ეს ცხვირი ყვლივის ბოლოს დაეჭირება მაშინ, როდესაც მკლავი გამართულია, და ამიტომ იდაყვის ძვალს აღარ შეუძლია უკან მეტი გადინაროს. აი, სწორეთ ეს არის იმის მიზეზი, რომ მკლავის მოღუნვა მხოლოდ წინიდან შეიძლება. თქვენც იცით, რომ მკლავის მოღუნვა იმდენათ შეიძლება, რომ თითებით მხარს შეეხებათ. უკანიდან კი ხელის მოღუნვა არას გზით არ შეგიძლიათ ისე, რომ უკანიდანვე მხარს თითებით შეეხათ. შეგიძლიათ მკლავი გაშალოთ იმდენათ, რომ ორივე ძვალი ერთს სწორ ხაზზე ჩაეწყონ, მაგრამ ამის მეტზე უკანისაკენ აღარ შეგიძლიათ გადალუნოთ მკლავი.

14. ამ ნაირად მკლავის ორი ძვალი, ყვლივი და იდაყვისა ისეთის სახისანი არიან და ისეთნაირად არიან ერთმანეთზე მიდებულნი იმათი ბოლოები იდაყვთან, რომ შეგვიძლია მკლავი გავმართოთ და მოვლუნოთ. ჩონჩხზე ეს ორი ძვალი ერთმანეთს მოშორებულნი არიან ასე, რომ საჭიროა იმათი მიკერა ერთმანეთზე. თუ ჩონჩხი როდისმე გინახავთ, შეამჩნევდით, რომ ეს ორი ძვალი ერთმანეთზე მავთულებით არის მიკრული. ეს ორი ძვალი არც მაშინ დაცილდება ერთმანეთს, მავთულები რომ მოაშოროთ და იმათ მაგიერად მიაკრათ ზონარით ორივე ძვლის ბოლო ერთმანეთს; ისე კი უნდა შეკრათ ეს ბოლოები, რომ მათ ერთმანეთზე სრიალი შეეძლოთ. ადვილია იმათი ასე შეკერა-შეხვევა. რამდენიმე ნაწყვეტი ზონარის, ანუ, უკეთესია, კაუჩუკისა შემოადევით იდაყვს წინიდან, უკნიდან და გვერდებზე; მერმე თვითვეულის ნაწყვეტის ერთი ბოლო ყვლივზე დააკართ, მეორე კი იდაყვის ძვალზე. ასეთ გვარად

შეხვეული ძვლების ბოლო დაგანახვებთ, თუ რა ნაირად არის მკლავისა და იდაყვის ძვლების ბოლოები შეერთებული ერთმანეთთან იდაყვის ადგილას. მაგრამ ის კი უნდა იცოდეთ, რომ თქვენის ხელის ძვლების ბოლო კაუჩუკით კი არ არის შეკრული, — არა. ამ ძვლების ბოლოები ერთმანეთზე მიმაგრებულია იმ ბეწვისებურ, ანუ უკეთ ვსთქვათ, იმ ფიბრიულ ნივთიერების პრტყელ ზონარით, რასაც ჩვენ წინა გაკვეთილებში შემაკავშირებელი ქსოვილი ვუწოდეთ. აი, ამ პრტყელ ზონარებით არის შეხვეული და შეკონილი ძვლების ბოლოები, ამ ზონარებს **შემბოჭველი ზონარები** ვუწოდოთ.

იდაყვთან ბოლო იდაყვისა და ყვლივისა ერთად არის დაკერილი პრტყელ-პრტყელ კონებით, პრტყელ-პრტყელ ზონარებით შემაკავშირებელის ქსოვილისა.

ჩონჩხზე, ზედა პირი ამ ძვლებისა, იდაყვის იმ ადგილას, სადაც იმათი ბოლოები ერთმანეთს ეხებებიან, მშრალია, თუმცა კი ბრწყინვალე და უხორკლო, წყლტუ ცხერის ფეხს, ვიდრე ის შემწვარია, სახსარი რომ გაუშინჯოთ, უნახავთ ორს ძვალსავე, რომლებიც ერთმანეთზე ისეთ ნაირათვე სრიალებენ, როგორც იდაყვთან მკლავის ძვლები; აქ იმასაც შეამჩნევთ, რომ ეს ძვლები საკვირვლოად წყლტუ და ლორწოიანი არიან; ლორწოიანობის გამო ეს ძვლები უფრო ლიპი და სრიალა შეიქნენ.

ამასვე ნახავთ იდაყვში. ყვლივისა და იდაყვის ძვლის ბოლო მეტის-მეტად წყლტუ და ლორწოიანია, ამიტომაც ამ ძვლების ბოლოები თავისუფლად და ადვილად დასრიალებენ ერთმანეთზე. ხომ იცით, რომ თვალი მუდამ ნამიანი გვაქვს. თვალს ცრემლები მუდამ ასველებენ, ანამებენ, ის კია, რომ თვალის ნამს მხოლოდ მშინ ვეძახით ცრემლს, როდესაც ნამი ბევრია თვალში; ნამდვილათ ჩვენ ცრემლებს მუდამ ეამს ვაფრქვევთ, ესტირით ცოტ-ცოტათი. სწორედ ამ გვარათვე, იდაყვიც მუდამ იცრემლება, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, და ცრემლი თავს იყრის ამ შემბოჭველ ზონარების შიგნით, იდაყვს

რომ გარს ახვევია, ამიტომ ორივე ძვლის ბოლოების ზედაპირი მუდამ სველი და ნაშიანია.

ერთმანეთთან ახლო მდებარე ძვლების ბოლო წყლტუ და უხორკლოა იმიტომ, რომ ეს ბოლოები შეხვეულია ნივთიერებით, რომელსაც ხრტილი ჰქვია. ძვალი ყოველთვის მაგარი და მქისეა; მას წყალი ცოტა აქვს, ამიტომ ძვალი ცოტათი შრება. ხრტილი კი ძვალსავით როდია მაგარი; ხრტილში წყალი ბევრია; გახმობის დროს ხრტილი ძლიერ შრება და იფუყებ-იკუმება; გამხმარი და გამოშრობილი ხრტილი როდია ისეთი წყლტუ და უმქისო, როგორც ნეღლი, ნაშიანი ხრტილი. ჩონჩხზე, ყოველ ძვლის ბოლოზე შეამჩნევთ გამომშრალს ხრტილს; აქ ხრტილი ოდნავ წყლტუა კიდევ; მაგრამ მაინც შეუდარებელია ნეღლის ხრტილისა და ჩონჩხის ხრტილის წყლტუობა, უმქისობა.

მაშასადამე, იდაყვში ორი ძვლის ბოლო ისეთ ნაირად არის ერთმანეთზე მიდებული, რომ ძვლებს მხოლოდ ერთის მიმართულებით შეუძლიათ იშოქრან: ხრტილი ამ ბოლოებს წელტუობას, უქქისობას აძლევს, სითხე მათ წნამავს, შეძობჯგელი ზონანები მათ ერთმანეთს არ აცდიებს. ასეთი აგებულება კი მხოლოდ სახსარსა აქვს.

15. სხეულში, გარდა იდაყვის სახსრისა, კიდევ ბევრი სახსარია: არის მხრის სახსარი, შუხლისა, თეძოსი და სხ. ეს სახსრები იდაყვის სახსრისაგან განსხვავდებიან ძვლების გარეგანი სახითა, ამ ძვლების ერთმანეთზე სრიალითა და სხვა ნიშნებითაც, მაგრამ ამ გამასხვავებელ ნიშნების ცოდნა ახლა ჩვენთვის საჭირო არ არის. ის კია, რომ ეს სახსრები იდაყვის სახსარს ჰგვანან: ყოველ ამ სახსრებში ერთი ძვალი მეორეზედ არის კარგად მიდებული, ძვლების ზედაპირი ხრტილშია შეხვეული, ხრტილი ყოველთვისა. ღორწოიანია, ძვლებს თავი შემბოქველ ქსოვილის ძაფებით აქვს დამაგრებული.

უქველია. უკვე შეამჩნიეთ, რომ მე ამდენს მხოლოდ წყრთის უკანა მკლავის ძვლებზე და ყელივზე ვლაპარაკობდი, წყრთის წინა ძვალიც ხომ იდაყვს ეკუთვნის. განძრახ არა

ვსთქვი რა წყრთის წინა ძვალზე, ამითი კი უფრო აღვილათ გასაგებია იდაყვის აგებულება. ნამდვილად ყვლივის ბოლო სრიალებს წყრთის წინა ძვლის ბოლოზედაც ისე, როგორც წყრთის უკანა ძვალზედ; ყწრთის ძვლის ბოლოც გამოხვეულია ხრტილში და მას შემბოქველი ზონარებიცა აქვს. გეტყვით აგრეთვე, რომ წყრთის წინა ძვალი დამოუკიდებელია წყრთის უკანა ძვლისაგან თვის მოძრაობაში. მაგრამ ახლა ამ წერილმანებით რომ თავი მოგაწყინოთ, საჭირო არ არის. ჩემთვის მხოლოდ საჭირო იყო მჩვენებანა, რომ იდაყვი სახსარს წარმოადგენს და ეს სახსარი ისეთის აგებულებისაა, რომ შესაძლებელი ჰხდება მკლავი მოვლუნოთ და ხელის ქვედა ნაწილი ზევითას მივადოთ.

16. ხელი რომ მოგდუნოთ, საჭიროა რაიმე ძალა მოგაძველოთ. იდაყვისა და წყრთის ძვალს, რადგან ორივე ერთათ მოძრაობს, რაიმე უნდა ეწეოდეს ყვლივისკენ ან ყვლივის უნდა სწევდეს რაიმე იდაყვისა და წყრთის ძვლისაკენ. რაღა სწევს ჩვენს ხელში ამ ძვლებს ერთმანეთისაკენ?

აიღეთ ხელის ძვლები. ყვლივის ზედა ბოლო რაზედმე ისე დაამაგრეთ, რომ მას საძრავი არა ჰქონდეს. ბაწარი მიაბით იდაყვისა ან წყრთის ძვალს (სულ ერთია, რომელსაც არ უნდა მიაბათ) იდაყვთან ახლოს. ყვლივი ზედა ბოლოზე ამოხვრიტეთ და ამ ნახვრეტში გაატარეთ ბაწარი. ბაწარი იმ სიგრძე კი უნდა აიღოთ, რომ მკლავს გამართვა შეეძლოს და ბაწარი კი ამ დროს არ გაიჭიმოს. ახლა ჩაველეთ ხელი ბაწრის იმ ბოლოს, რომელიც მკლავის ძვალშია გატარებული, და გამოჭიმეთ. ამ დროს მკლავი მოიღუნება და ქვედა ბოლო ზედან მიუახლოვდება. რატომ მოხდა ესა? იმიტომ, რომ შესაძველად **ზანძვრით** გმოქმედობდათ.

წყრთის ძვალი და ყვლივი აზარმაცს წარმოადგენს. ამ აზარმაცის დასაყრდნობელი წერტილი არის იდაყვთან ყვლივის ბოლო (ნახატი 3. F.). ასაწვევი ტვირთი არის წყრთის უკანა და წინა ქელები (აგრეთვე ხელის მტევანის ძვლებიც). შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ეს ტვირთი წყრთის შუა

ადგილზედ არის ჩამოკიდებული აზარმაცზე, ბაწარი რომ გაი-
ქმდება, ეს კი მომქმედი ძალაა. ეს ძალა აზარმაცის იმ ადგი-
ლას მოქმედობს, სადაც ბაწარი აქვს მიბმული წყრთას, ე. ი.
ეს ადგილი დასაყრდნობელ წერტილთან უფროა ახლო, ვიდრე
იმ წერტილთან, სადაც ტვირთია ჩამოკიდებული. მესამე გვა-
რის აზარმაცს ხომ მაშინ მივიღებთ, როცა აზარმაცს დასა-
ყრდნობელი წერტილი ერთს ბოლოზედა აქვს, მომქმედი ძა-
ლა კი მიღებული აქვს დასაყრდნობელ წერტილსა და ტვირთის
შუა.

ახლა კი ისე მოვაწყობთ საქმე, რომ სინამდვილეს უფრო
მივუახლოვდეთ: ყვლივს ნუ გავხვრეტთ; ბაწარი გავატაროთ
იმ ღარში, რომელიც ყვლივს თითონვე აქვს ზედა ბოლოზე;
ბაწარი ბოლოთი მივაბათ ან ბეჭზედ, ან სხვა რაზედმე მკლავს
ზევით; ბაწარი იმ სიგრძე ავიღოთ, რომ მკლავს მთლათ გა-
მართვა შეეძლოს და ამ დროს ბაწარი მხოლოდ ოდნავ-ღა
გაიჭიმოს, მაგრამ ძალზე მოშვებულიც კი არ იყოს.

ამის შემდეგ დაამოკლვთ ბაწარი, ერთი ბოლო გამოუ-
ნასკვეთ. დაამოკლებთ თუ არა ბაწარს, მაშინვე მკლავის ქე-
და ბოლო ზედას მიუახლოვდება. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ
ისეთი რამ ბაწარი აიღეთ, რომელსაც დაამოკლება გამოსკვნით.
არა სჭირდებოდეს, მაგრამ თქვენს სურვილზე თავის თავად კი
მოაკლდებოდეს. რატა კი ეს ბაწარი დაძაკლდება, მაშინვე
ასწევს მკლავის თავისუფალ ბოლას ზევით და მკლავს იდაყუ-
თან გაღუნავს; რატა კი ბაწარი მიაშვებს, მკლავი კვლავ
გაიძარბება.

მკლავში ბაწარი როდი გვაქვს, გვაქვს კი ისეთი რამ, რო-
მელიც ისეა გაბმული, რთგორც ბაწარი გავაბით, და რომე-
ლიც, როცა საჭიროა, მოიკუმშება. როცა ეს ერთი რამ მო-
მოკლდება, ხელიც მოიღუნება; როცა კი მოიშვებს და მო-
ფაფოვდება, ხელიც გაიძარბება. აი, ამ ნივთიერებას, რომე-
ლიც ასე თავის თავად იკუმშება და გრძელდება, ეწოდება
მუსკული, ატალი.

მხარსა და იდაყვს შუა ერთი ხელი რომ მეორეს დაადოთ და ამავ დროს მეორე ხელი მოღუნოთ, იგრძნობთ, რომ იმ ადგილას, სადაც ხელი გიდევთ, რალაცა ზევით-ზევით იწევს. ეს განლავსთ ის, რომ მკლავის მომღუნველი მუსკული მოკლდება ანუ აკუმშება.

ჩვენს ხელში, აგრეთვე შინაურის კურდღლის ფეხშიაც, რაიცა წინა გაკვეთილში შეისწავლეთ, კონა-კონათ არის ხორცი მოთავსებული; თვითეული კონა სხვა-და-სხვა სიდიდის და ფორმისაა; თვითეულს ასეთს კონას ხორცისას მუსკული ეწოდება. ხელზედ ბევრი მუსკული გვაქვს; მაგრამ ერთი მეტად დიდი მუსკული გვაქვს; ის მკლავის წინა მხარეზედ არის მოთავსებული და **არტაგანა** ჰქვია. ეს მუსკული წითელი ხორცის რგვალ კონას წარმოადგენს; იგი ძლიერ გრძელია, ვანი ანუ სიმსხო მისი კი პატარაა. ეს მუსკული მე-3 ნახატზედ არის ნაჩვენები.

შინაურ კურდღელს ფეხს რომ ვუშინჯავდით, მაშინ შევამჩნიეთ და უეჭველია ახლაც განსოვსთ ის გარემოება, რომ რბილი ხორცი მუსკულის უეცრათ ერთსა ანუ ორივე ბოლოზე გაჰქრება და მის მავიერად თავს იჩენს მაგარი, თეთრი და ბრწყინვალე ნივთიერება. ამ თეთრს და მაგარს ნაწილს მუსკულისას ჩვენ ხომ მყესი დავარქვით. დანარჩენი ნაწილი მუსკულისა შემდგარია ხორცისაგან, ჩვეულებრივ ასე ამბობენ. თქვენ კი ამ ნაწილს ამას შემდეგ **სამუსკულო ნივთიერება** უნდა უწოდოთ. მართლაც ყოველი მუსკული სამუსკულო ნივთიერებისაგან არის შემდგარი. **სამუსკულო ნივთიერება** კი შესდგება ბევრ ნაზ ბეწვებისაგან, ბეწვები ერთას მამართულებათ **არაან ჩაწყობილი** და ერთად კანებათ **არაან შეკრული**. მუსკულის ორივე ბოლოზე ეს რბილი ბეწვები შეუერთდებიან უფრო მაგარს, მაგრამ უფრო წერილს (ფიბრებს) ბეწვებს შემაკავშირებელის ანუ ფიბრიულის ქსოვილისას. ეს უფრო წერილი და უფრო მაგარი ფიბრები შეადგენენ მყესის კონას, და ასეთი მყესი მუსკულს ორსავე ბოლოზედა აქვს.

აი ასეთი მყესით ხანის რბილი მუსკული მიბმული მაკარ
 მკაღზე ანუ სხეულის სხვა მაკარ ნაწილებზედ. მყესი ხან
 რგვალია და ბაწარს მოგაგონებს, ხანაც პტყელი და გაქი-
 მულია. ხან მყესი ფრად გრძელია, ხანაც კი ისე მოკლე,
 რომ თვალთ ვერც კი შეამჩნევთ. მუსკულის რბილი ბეწვი
 მიბმულია ძვალზედ ყოველთვის შეშაკავშირებელის ქსოვილის
 მაგარ ფიბრებით; მყესი მუსკულზე უფრო მაგარიც ან უფრო
 წვრილიც არის.

ორთავიანი მუსკულის შუა ნაწილი მოთავსებულია მკ-
 ლაეის ზედა ნაწილზედ წინიდგან. იდაყვის სახსრის ცოტა
 ზევით ამ მუსკულს ბოლოზედ აქვს მორგვალო და მაგარი
 მყესი, რომელიც იდაყვს წინიდგან გაუვლის და მერმე მიბმუ-
 ლია, ანუ მიზრდილია წყრთის წინა ძვალზე სახსრის ცოტათ
 ქვევით (ნახატი 3, p). მუსკულის ზედა თავს ერთი კი არა,
 ორი მყესი აქვს. *) მხრის ქვევით (ნახატი 3, a); ეს ორი
 მყესი გაივლის ყელივის ბოლოს და მერმე ბექს მიეკვრება.
 ბექი მკლავის ძვალთან სახსრით არის შეერთებული.

სიხანს, რომ ორთავიანი მუსკული შემდგარია მსხვილია
 და ხორციანი ნივთაერებისაგან, რომელიც ხელს წინიდგან
 აქვს მოთავსებული; ერთი ბოლო ამ მუსკულისა ბექზედ
 არის მიბმული მყესით, მეორე ბოლო კი წყრთაზედ. რაღა
 მოხდება მაშინ, როცა ხელი გამართულია და ბექიც თავის
 ადგილზედ არის უძრავად, ორთავიანმა მუსკულმა რომ უეც-
 რად მომოკლება იწყოს? ცხადია, ისვე მოხდება, რაიც მოხდა
 მაშინ, როცა თოკი გამოქაშეთ და მოამოკლეთ, ეს თოკი კი
 თითქმის იმნაირადვე გქონდათ მომართული, როგორც არის
 მომართული ორთავიანი მუსკული თავის მყესით. წყრთას
 წინა და უკანა ძვალა ზევით აიწეგს და წყრთა მკლავის ზედა
 ნაწილს მიუხსლოდებს.

*) საზოგადოთ მუსკულს ერთს ბოლოზედ მხოლოდ ერთი მყესი
 აქვს, აქ კი ეს არა ჩვეულებრივ შემთხვევას წარმოადგენს. იქიდან წარ-
 მოდგა სახელ-წოდება ორთავიანი.

მყესს თავის თავად როდი შეუძლია მოკუმშვა, ეს შესა-
ნიშნავი თვისება მოკუმშვისა მხოლოდ სამუსკულო ნივთიერე-
ბასა აქვს. ამა თუ იმ შემთხვევაში, მუსკულის თვითეული
რბილი ბეწვი უცებ მომოკლდება, მთელი მუსკულიც მაშინვე
დამოკლდება და ორივე იმისი მყესიანი ბოლოც ერთმანეთს
დაუახლოვდება; ამ დროს, თუ მუსკულის ერთი ბოლო უძრავ
რაზედმე არის მიკრული და მეორე მოძრავზედ, ეს უკანასკნელი
მაშინვე მოძრაობაში მოვა.

ამ მოქმედებას, რომლის გამო თვით მუსკული ანუ მუს-
კულის ბეწვი უეცრად თავისთავად დამოკლდება ხოლმე, ჰქვია
მუსკულის მოკუმშვა. ყოველ მუსკულს, ყოველ მის ბეწვს
შეუძლია მოკუმშვას. ორთავიანი მუსკულის მსგავსი რამ ორ
ნაირად შეიძლება დამოკლდეს; შეიძლება ისე მოიკუმოს და
დამოკლდეს, როგორც მაგ. ღრუბელი დაიფუტება ხოლმე,
როცა მას ხელს მოუჭერთ. ასეც შეიძლება, რომ მან, მუსკუ-
ლის მსგავსმა რამემ, ფორმა შეიცვალოს, სიფართოვე კი თე-
სივე შერჩეს; რამოდენასაც მოიმოკლებს, იმდენათვე გამსხვილ-
დება, სწორეთ ისე, როგორნაირადაც დამოკლდება ხოლმე, მაგ-
რამ ამავე დროს გამსხვილდება კიდევ ფიტისაგან გაკეთებული
გრძელი და წვრილი ჯოხი, როცა მას ორივე ბოლოდან ხელს
მოუჭერთ. მუსკულს პირველ და მეორე ნაირადაც შეუძლია
მოიმოკლოს, ნამდვილათ კი მხოლოდ მეორე ნაირად მოკლ-
დება. მუსკული გამსხვილდება, მაგრამ იმავე დროს მოიმოკლებს,
და თითქმის იმოდენა სიმსხოს მოიმატებს, რამოდენათაც კი
დამოკლდა. ამისი ბრალი იყო სწორედ ის გარემოება, რომ
გრძნობდით, რომ რაღაცა ზევით-ზევით იწევდა, როცა ხელი
დაადევით მკლავს მოღუნვის დროს. გჭმნობთ, რომ ერთა-
ნა მუსკულა გამსხვილდება ხოლმე მაშინ, როცა იგი მკლავის
ძახადუხავად დამოკლებას ახიკობს.

ასეთს მდგომარეობაში მუსკული განუწყვეტლივ როდი
იმყოფება; ადრე თუ გვიან მუსკული ისევ გაგრძელდება, კვლავ
გაწვრილდება და უწინდელ მდგომარეობას დაუბრუნდება.
მუსკული როცა გაგრძელდებულია, მაშინ ის მოსვენებაშია. და-

მოკლებისა და მოკუმშვის დროს მუსკულს ძალ-ლონე ეხარ-
ჯება და ასეთი მისი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს.
მოკუმშვა ხელს მოლუნავს, და ვიდრე მუსკული დამოკლებუ-
ლია, ხელიც მოლუნულია. გაგრძელებად თუ არა მუსკული,
ხელიც გაიშლება, გაიმართება თავისივე სიმძიმისა გამო.

**მუსკულის შუა ნაწილი აკუმშება მხოლოდ, ის ნაწი-
ლი, რომელიც შედგება მუსკულის ბეჭებისაგან.** მყესს
სრულებითაც არ შეუძლია მოიკუმშოს. მყესი, პირიქით, კი-
დეცაც გაიჭიმება, ცოტათი, როცა მას მუსკული ეწევა. მყესის
დანიშნულებაც ის არის, რომ მან ძელებს გადასცეს მუსკუ-
ლების მოძრაობა. მყესი აუცილებელ საჭიროებას როდი წარ-
მოადგენს, იგი მხოლოდ დახმარებას უწევს მუსკულს. მუს-
კულს უმყესოდაც შეეძლო ემოქმედნა, მაგრამ ისე მარჯვეთ კი
არა. ორთავიანი მუსკულის ბეჭები ბეჭიდან წყრთამდე ვაწვ-
დილნი რომ ყოფილიყვნენ, მაშინაც შეიძლებოდა ხელის მოლუნვა;
მაგრამ ისე მოხერხებული და ადვილი როდი იქნებოდა, რად-
გან მუსკული გამსხვილდებოდა ან იდაყვის წინა მხარეზე, ან
ბეჭის თავზე—ორივე შემთხვევაში ეს ძლიერ მოუშლიდა ხელს
მოძრაობას. რადგან მუსკულის ხორციანი ნაწილი, რომ
მელსაც შეუძლია მოიკუმშოს, მოთავსებულია მკლავის ზედა
ნაწილის შუაზე და მიკრულია მყესის საშუალებით ბეჭზედ
და წყრთაზე, ამიტომ ხელის მოლუნვა უფრო ადვილი და მო-
ხერხებულია.

ახლა კი შევკვიდრები დაახლოვებით წარმოვიდგინოთ, თუ
რა ნაირად მოვლუნავთ ხოლმე ხელს. ორ თავიანი მუსკული
მოიკუმშება და დამოკლებდა, ამითი ცდილობს დაუახლოვოს
ერთმანეთს თავისი ორივე ბოლო. ზედა მყესს მოძრაობა არ
შეუძლია იმიტომ, რომ ეს მყესი უძრავ ბეჭზედ არის
მიკრული, ქვედა მყესი კი მიბმულია წყრთის ძვალზედ.
წყრთის წინა და უკანა ძვალს კი შეუძლიათ აიწ-დაიწიონ
იდაყვის სახსარზედ; ჩვენ ხომ ვიცით, რომ იმას შესაძლებელია
ჭხდის სახსრის ძელების ფორმა და მათი მოთავსებულება სახს-
რში. მაშასადამე, როცა მუსკული ქვედა მყესს ეწევა, ამ

დროს ის წყრთის ძვალსაც სწევს იმ ადვილიდან, ხადაც მყესია მიბმული. წყრთისა და იდაყვის ძვალი ერთად შეადგენენ მესამე რიგის აზარმაცსა, ამ აზარმაცის დასაყრდნობელ წერტილს კი წარმოადგენს ყვლივის ბოლო. ცხადია, როცა რაიმე თავისაკენ ეზიდება მყესს, ამ დროს ეს წყრთისაც იახლოვებს, და ამ ნაირად მკლავი მოიღუნება ხოლმე.

17. მაგრამ ახლა, აი, რა კითხვა იზადება: რა მოკუმშავს ანუ რა დაამოკლებს ხოლმე მუსკულს? თქვენ გსურთ მკლავი მოღუნოთ და როგორც ვნახეთ, კიდევ შეგიძლიათ მოღუნოთ. თუ კი ორთავიანი მუსკული მოკუმშეთ. რა ნაირადლა მოკუმშავს მუსკულს თქვენი სურვილი, თქვენი ნება?

თვისი ხელი რომ იმ ნაირადვე გაისინჯოთ, როგორათაც გასინჯეთ შინაურის კურდლის ფეხი, ნახავთ, რომ თქვენს ორთავიან მუსკულში შემოდის ერთი ან რამდენიმე თეთრი ძაფი, რასაც, როგორც იცით, ნერვი ჰქვია.

ნერვები შედიან ორთავიან მუსკულში და მასში გაფანტულნი არიან. საჭირო არ არის მათ ამ მხრით კვალ-და-კვალ მივსლიოთ. თუ კი ზევით აეყვებით, შევამჩნევთ, რომ ეს ნერვები სხვა ნერვებს უერთდებიან; რამდენიმე ამისთანა ნერვები შეერთდებიან და შეადგენენ ნერვის მსხვილ ძაფებს. ეს უკანასკნელი კვლავ კიდევ შეუერთდებიან სხვებს და, კიდევ თუ აყევით, ნახავთ თეთრსა და უფრო დიდრონ-დიდრონ ძაფებს ნერვისას; ეს მსხვილი სიმები ნერვისა გაიკლიან ხერხემლების შუა და მეომე შევლონ ხერხემლების მილში; იქ შეერევიან ნერვიულ ნივთიერებას, რომელზედაც წინათ ვლაპარაკობდით და რომელსაც ჰქვია ზურგის ტენი.

ხელის მოღუნვის დროს ნეტავ რას აკეთებენ ეს ნერვები? აი რასა. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ არა გევნებათ რა და არც ნამეტანს შეწუხდებით იმ ნერვების გადაჭრით, რომელნიც ორთავიან მუსკულში შედიან. ვსთქვათ ეს ნერვები მართლაც ვადავსჭერიოთ: რალა მოხდება ამის შემდეგ? თქვენ ამას შემდეგ ხელის მოღუნვა აღარ შეგეძლებათ; რაც უნდა მოინდომოთ, თქვენი ორთავიანი მუსკული აღარ მოიკუმშება.